საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

16 ივნისი **ხუთშაბათი** 2011
№ 139 (13436) ფასი 80 თეთრი



საქართველო 14
## მოგება ბეწვის ხიდზე
არგენტინა 13

13

ფრანგებმა მამუკა გორგოძე აღიარეს

# საუკეთესო უცხოელი



13



15

## უიმბლდონი უკლაისტერსოდ



## რუსული პასპორტი უნიტაზში

14

წარმოგიდგენთ ჩემპიონატის რჩეულებს

საუკეთესო ლეგიონერი აზაიომო ოვონიკოკო



## გაგრელი ნიგერიელის ტკივილი და სიხარული

2

# ზურაბ ხიზანიშვილი ქაისერში წარადგინეს



3

## წარმოგიდგენთ ჩემპიონატის რჩეულებს

# საუკეთესო ლეგიონერი: აბაიომო ოვონიკოკო (გაგრა)

**დოსიე**

დაიბადა: 13 სექტემბერი, 1992

სიმაღლე 182 სმ, წონა 68 კგ

*კარიერა:*

2009 წლამდე ბრაიტონის საფეხბურთო აკადემია (ნიგერია)

2009 წლიდან გაგრა

*ტიტულები:*

საქართველოს თასის მფლობელი (2011 — გაგრა)



# გაგრელი ნიგერიელის ტკივილი და სიხარული

**დიდი ხანია, მშობლიურ ნიგერიაში არ ყოფილა, ცხოვრობს თბილისში, ლაპარაკობს ქართულად და მეგრულად, თავს ნახევრად ქართველად გრძნობს და რაც მთავარია, თავის ასაკში ბარე ორი ქართველი თავდამსხმელი ვერ შეეჯიბრება. იომიმაც და „გაგრას" ხელმძღვანელობამაც მიიჩნიეს, რომ ყოველივე ეს 18 წლის ფეხბურთელისთვის საქართველოს მოქალაქეობის მისანიჭებლად და მისთვის საქართველოს ნაკრებში მოსახვედრი შანსის მისაცემად საკმარისი წინაპირობა იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ოვონიკოკოს ქართული პასპორტი არ მისცეს.**

**მისთვის ეს ბოლო დროს განცდილი ერთადერთი იმედგაცრუება არ ყოფილა. სეზონის ბოლოს მუხლის ჯვარედინი მყესი გაიწყვიტა და ფეხბურთს რამდენიმე თვით ჩამოშორდა.**

**არადა, ამ ორ უსიამოვნებამდე ყველაფერი შესანიშნავად მიდიოდა. „გაგრაში" 2009 წლის დასაწყისში გადასულმა ოვონიკოკომ საოცარი პროგრესი განიცადა და გუნდის უმაღლეს ლიგაში ალზევებასა და თასის ფინალში გასვლაში ლომის წილი დაიდო. განსაკუთრებით შთამბეჭდავი კი, რა თქმა უნდა, თასის ნახევარფინალში „ვიტ ჯორჯიასთან" გატანილი ორი საუცხოო გოლი იყო.**

**„ლელომ" ოვონიკოკო უყოყმანოდ დაასახელა სეზონის საუკეთესო ლეგიონერად. ბოლოდროინდელი უსიამოვნებების მიუხედავად, იომი ოპტიმისტურ განწყობას ინარჩუნებს და ინტერვიუს დროსაც ხალისიანად გამოიყურებოდა.**

- ჩემთვის ეს დიდი აღიარებაა. ძალიან ბედნიერი ვარ, თუ ჩემმა თამაშმა ქართული პრესისა და გულშემატკივრების მოწონება დაიმსახურა. საქართველოში კარგი ლეგიონერების ნაკლებობა არ არის და მიხარია, რომ საუკეთესოდ მე დამასახელეთ.

**- შენი ჯანმრთელობის ამბავი გვითხარი. სად და როდის მიიღე ტრავმა, როგორ გრძნობ ახლა თავს და როდის დაუბრუნდები მოედანს?**

- მარტვილში, „მერანთან" მატჩისას დავშავდი და რამდენიმე თამაში გამიცდა. საქართველოს თასის ფინალში თამაში ძალიან მინდოდა და სწორედ ამიტომ დავუშვი დიდი შეცდომა. ვარჯიში ნაადრევად განვაახლე და ფინალის წინა დღეს ეროვნულ სტადიონზე ვარჯიშისას მარჯვენა მუხლის წინა ჯვარედინი იოგი გავიწყვიტე. მკურნალობის პირველი ეტაპი თბილისში, სამედიცინო ცენტრ „სიტი სპორტში" ჩამიტარდა, მალე კი ოპერაციასაც გავიკეთებ. რამდენიმე დღეში გაირკვევა, რომელ ქვეყანაში გამგზავნის კლუბი საოპერაციოდ და სარეაბილიტაციო პერიოდის გასავლელად. დაბრუნების ზუსტ თარიღს ახლა ვერავინ მეუბნება, გააჩნია, როგორ წარიმართება გამოჯანმრთელების პროცესი. დაახლოებით კი, მოედანზე ოთხ-ხუთ თვეში დავბრუნდები.

**- როგორც ჩანს, ტრავმამ ამ ეტაპზე შენი ტრანსფერი გამორიცხა.**

- რა თქმა უნდა. როგორც იცით, კარიერის საზღვარგარეთ გაგრძელების დიდი შანსი მქონდა, მაგრამ ტრავმირებულ ფეხბურთელს არავინ იყიდის. გული ძალიან კი დამწყდა, მაგრამ ბუნებით ოპტიმისტი ვარ და მჯერა, რომ ყველაფერი წინ მაქვს. ვიცი, ჩემით დაინტერესებული კლუბები გამოჯანმრთელებისთანავე დამაკვირდებიან და ამიტომ საგანგაშო არაფერია. მომავალ სეზონში „გაგრაში" თამაშს აუცილებლად მოვასწრებ, საქართველოს კი, თუ ყველაფერი კარგად იქნა, მომავალ ზაფხულს დავტოვებ.

**- ალბათ, საქართველოს მოქალაქეობის მიღების დიდი იმედი გქონდა.**

- დიახ, მაგრამ, სამწუხაროდ, უარი მივიღე. გულით მინდოდა, მომავალში საქართველოს ნაკრებში მეთამაშა, საქართველო




ჩემი მეორე სამშობლოა და ვოცნებობდი, მისი ღირსება დამეცვა, მაგრამ ოცნებები დამემსხვრა.

**- კანონმდებლობით, გარკვეული პერიოდის შემდეგ კიდევ გაქვს განაცხადის შეტანის უფლება.**

- ასეა, მაგრამ ახლა ამაზე აღარ ვფიქრობ, ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს.

**- ახლა შენ მიერ წარმატებით ჩატარებულ სეზონზე გადავიდეთ. სეზონის წინ ტიტულზე ფიქრობდი?**

- ჩვენი მთავარი ამოცანა უმაღლეს ლიგაში დაბრუნება იყო, მაგრამ თასზე წარმატებასაც ვუმიზნებდით. ტიტულის მოგებას გადაჭრით არავინ გვთხოვდა, მაგრამ გადიოდა დრო, წინ მივიწევდით, ძლიერ მეტოქეებს ვამარცხებდით და ვირწმუნეთ, რომ ჩვენ ეს შეგვეძლო. მე კი თანაგუნდელების გარეშე ვერაფერს მივაღწევდი. „გაგრა" ერთ მუშტად შეკრული და ძალიან მეგობრული გუნდია, აქ თამაში უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. ჩემს ყველა წარმატებას კი ბიჭებს, მწვრთნელებსა და კლუბის თითოეულ თანამშრომელს ვუმადლი.

**- ფინალს ტრიბუნიდან რა განწყობით ადევნე თვალი?**

- მძიმე წუთები გადავიტანე. საკუთარი გუნდის მოედნის გარედან ყურება ძალიან ძნელია. უზომოდ ვინერვიულე, მაგრამ მეორე ტაიმში ვირწმუნე, რომ „გაგრას" გამარჯვება შეეძლო. დამატებით დროში გოლს აღარ ველოდი, მეგონა, ყველაფერს პენალტების სერია გადაწყვეტდა, სადაც გამარჯვების დიდი იმედი მქონდა. დარწმუნებული ვარ, „გაგრა" უჩემოდაც ძლიერად ითამაშებს და ევროტურნირებზე თავს არ შეირცხვენს.

**- საქართველოში უკვე ორწელიწადნახევარი ცხოვრობ. ვიცით, რომ აქაურობას იოლად შეეგუე.**

- უცხო გარემოში მოხვედრა ყოველთვის ძნელია, მაგრამ ეს საქართველოს არ ეხება - აქ ხომ უშუალო და გულლია ხალხი ცხოვრობს... კლუბის ხელმძღვანელობამ მშვენიერი საცხოვრებელი პირობები შემიქმნა, თანაგუნდელებმაც კარგად მიმიღეს, ფეხბურთელად ჩემს ჩამოყალიბებაში კი დიდი როლი ანატოლი პისკოვეცმა ითამაშა.

**- გითამაშია როგორც უმაღლეს, ასევე პირველ ლიგაში. მათ შორის რა მსგავსებასა და სხვაობას ხედავ?**

- დონით, ბუნებრივია, უმაღლესი ლიგა სჯობია, მაგრამ პირველ ლიგაში თამაშიც ძალიან ძნელია. იქ სულ ძალისმიერი ბრძოლა გიწევს, განსაკუთრებით მძიმე კი რეგიონებში თამაშია.

**- როგორ ფიქრობ, გამოჯანმრთელებიდან რამდენ ხანში დაიბრუნებ ჩვეულ ფორმას?**

- აქამდე მძიმედ არასდროს დავშავებულვარ და ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გამიჭირდება, მაგრამ მგონია, რომ დიდი ლოდინი არ დამჭირდება. ვფიქრობ, რომ მომავალი სეზონის მეორე ნახევარში „გაგრასთვის" ძველებურად სასარგებლო ფეხბურთელი ვიქნები.

**ლევან ჯანეზაშვილი**

---

სფფ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ალმასკომის ახალი კანდიდატები

### კერძო რა ცოტაა...

ფეხბურთის ფედერაციის მორიგი ყრილობა 25 ივნისს გაიმართება, სადაც ერთ-ერთი მთავარი საკითხი ალმასკომის წევრთა არჩევა იქნება. გუშინ, 18 საათზე დასრულდა კანდიდატების წარდგენის ვადა, რისი უფლებაც მხოლოდ ფეხბურთის ფედერაციის სუბიექტებს ჰქონდათ.

ალმასკომის წევრობის კანდიდატები:

**1. კახაბერ ებრალიძე** (წარადგინა გურიის რეგიონულმა ფედერაციამ)
**2. ვალერი მანაგაძე** (იმერეთის რფფ)
**3. გიორგი რევაზიშვილი** (შიდა ქართლის რფფ)
**4. სერგო კვარაცხელია** (სამეგრელო-ზემო სვანეთის რფფ)
**5. ლევან ფხაკაძე** („ტორპედო" ქუთაისი)
**6. გოჩა როსტომაშვილი** (კახეთის რფფ)
**7. ვიქტორ ბრძელიშვილი** (მცხეთა-მთიანეთის რფფ)
**8. გია შარაბიძე** (რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რფფ)
**9. გელა მაისურაძე** (სამცხე-ჯავახეთის რფფ)
**10. მურად ანჯაფარიძე** (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფფ)
**11. ალექსანდრე ჩივაძე** (ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი)
**12. გიორგი ფირცხალავა** (ქალთა ფეხბურთის ასოციაცია)
**13. ვახტანგ ძორიძე** (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფფ)
**14. გიორგი ასანიძე** (საქართველოს ფეხბურთის მუშაკთა პროფკავშირი)
**15. ლაშა მინდელი** (ქვემო ქართლის რფფ)
**16. ვლადიმერ ვარძელაშვილი** („დინამო" თბილისი და სკ „მგლები", ზუგდიდი)
**17. დავით ნამგალაური** (ფუტსალის ასოციაცია)
**18. ნუგზარ ლომთაძე** („სიონი", ბოლნისი)
**19. სერგო გაბელაია** (სამხრეთოსეთის ფფ)
**20. გრიგოლ ცაავა** (თბილისის ფფ).

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ავტომატურად ითვლება ალმასკომის წევრად და თავმჯდომარედ. წარდგენილი 20 კანდიდატიდან ალმასკომში 18-ს აირჩევენ.

წინა ალმასკომთან შედარებით, მნიშვნელოვანი სიახლეები მოსალოდნელი არ არის. სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად არჩეულმა **გელა მაისურაძემ ტარიელ ხაჩიძე** შეცვალა. ადრე **დავით ნამგალაური** ფეხბურთის მუშაკთა პროფკავშირმა წარადგინა, ამჯერად - ფუტსალის ასოციაციამ. მის ნაცვლად პროფკავშირმა ყრილობის დელეგატებს **გიორგი ასანიძის** კანდიდატურა შესთავაზა, რომელიც აქამდე „სამტრედიას" რჩეული იყო. ახალი კანდიდატები არიან „ტორპედოს" პრეზიდენტი **ლევან ფხაკაძე** და „სიონის" გენერალური დირექტორი **ნუგზარ ლომთაძე**.

ალმასკომში კერძო კლუბები ამჯერადაც მწირად იქნებიან: სიაში არ ჩანან „ზესტაფონის", „ვიტ ჯორჯიას", „გაგრას", რუსთავის „მეტალურგის", მარტვილის „მერანის" წარმომადგენლები. „ზესტაფონის" პრეზიდენტმა **ილია კოკაიამ** ფედერაციისა და კლუბების წარმომადგენელთა ბოლო შეხვედრაზე ამ საკითხზე საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება, მაგრამ...

ვერ შევდავები, თუმცა უჩვეულოა - კერძო კლუბების ხმა უფრო მეტად უნდა ისმოდეს და ისმინებოდეს.

**მერაბ მამულაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX**. რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

● დინამო



ზურაბ პოლოლიკაშვილი (მარცხნივ) და მამუკა გამყრელიძე

ალექსანდრე კოტორაშვილი ფოტო

# ახალი დინამიკა

## სიახლე ყოველდღე

თბილისის „დინამოს" ძირითადი გუნდი ახალი მწვრთნელის, ესპანელი **ალექს გარსიას** ხელმძღვანელობით სლოვენიაში ემზადება ახალი სეზონისთვის. თბილისში მყოფმა კლუბის ხელმძღვანელობამ კი, დღე არ გავა, სიახლეები არ შემოგვთავაზოს. ერთი მხრივ, მართლაც არ არის პატარა ამბავი: იმის გარდა, რომ ბოლო დროს „დინამო" ვერც ტიტულებით მოიწონებს თავს, საერთოდაც, უსიამოვნო ტენდენციასთანაც გვქონდა საქმე. იმას ვგულისხმობთ, რომ არცთუ შორეულ წარსულში „დინამო" ქართული ფეხბურთის ბრენდად მიიჩნეოდა, ბოლო დროს კი, ცოტა არ იყოს, ერთ ჩვეულებრივ გუნდად „გარდაქმნაც" დაემუქრა...

„დინამოს" ჯერ კიდევ შემორჩენილ ქომაგთა გასახარად, კლუბის ცხოვრებაში ბევრი სასიკეთო სიახლეა; ამის მაგალითად გუნდში (და, საერთოდ, საკლუბო სტრუქტურაში) ესპანელი მწვრთნელების მიწვევაც გამოდგება და სხვადასხვა სახის ღონისძიებებიც, დღეს და ხვალ რომ უნდა გაცხადდეს. აი, დღეს, მაგალითად, „დინამოს" გენერალური სპონსორის ვინაობას შევიტყობთ, ხვალ ცნობილი ესპანური კლუბის, მადრიდის „ატლეტიკოს" წარმომადგენლობითი დელეგაცია უნდა ესტუმროს თბილისს (ისევ და ისევ „დინამოს" გენერალური დირექტორის **ზურაბ პოლოლიკაშვილის** კავშირებით) და ასე შემდეგ.

არანაკლები სიახლე გველოდა გუშინაც: საფეხბურთო კლუბი „დინამო თბილისი" და ჩვენში პირველი სპორტული ტელეკომპანია GMG (გლობალ მედია ჯგუფი) პარტნიორები გახდნენ! მემორანდუმის გაფორმება ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში მოხდა და ორივე მხარის წარმომადგენლები ესწრებოდნენ: „დინამოს" გენერალური დირექტორი ზურაბ პოლოლიკაშვილი, GMG -ის დირექტორი **მამუკა გამყრელიძე**, GMG-ის გენერალური პროდიუსერი **ბიძინა ბარათაშვილი** და „GMG-ფეხბურთის" პროდიუსერი **ლევან სალუქვაძე.** თანამშრომლობის მიზანია თბილისის „დინამოსა" და დინამოელების პოპულარიზაცია, რამაც ხელი უნდა შეუწყოს გულშემატკივრის სტადიონზე დაბრუნებას. „GMG-ფეხბურთის" ეთერით ანონსირებული იქნება „დინამოს" საშინაო მატჩები ვიდეორგოლებისა თუ აფიშების მეშვეობით; გულშემატკივარი სრულად იქნება ინფორმირებული მოახლოებული შეხვედრის შესახებ, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ფეხბურთის ქომაგის დაინტერესებას და მის სტადიონზე მისვლას. ტელეკომპანიის ეთერი დაეთმობა ძველი დიდებისა და წარსული გამარჯვებების ამსახველ ვიდეომასალას. სხვადასხვა სპორტულ გადაცემაში მონაწილეობას მიიღებენ ყოფილი თუ ამჟამინდელი დინამოელები; ფართოდ გაშუქდება კლუბის ყოველდღიური ცხოვრება; „დინამო" უზრუნველყოფს ტელეკომპანიის გადამღები ჯგუფის დასწრებას საერთაშორისო შეხვედრებზე. ეროვნულ სტადიონზე განთავსდება GMG-ის სარეკლამო ბანერი; პრესკონფერენციებისა თუ სხვა ღონისძიებების დროს კლუბის ბანერზე თვალსაჩინო ადგილს დაიკავებს GMG-ის ლოგო.

ერთი სიტყვით, „დინამოსა" და GMG-ის შორის გაფორმებულმა მემორანდუმმა ფეხბურთის პოპულარიზაციას უნდა შეუწყოს ხელი...

**გია ტუხაშვილი**

● U 16

# ნულები სომხეთში

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებმა სომხეთში ადგილობრივ ნაკრებთან პირველი მატჩი ჩაატარა და 0:0-ს დასჯერდა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, შეხვედრამ ქართველთა აშკარა უპირატესობით ჩაიარა და მათ რამდენიმე რეალური საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს.

საქართველოს ნაკრების თავკაცმა **გელა შეყილაძემ** ეს შემადგენლობა ათამაშა: **ბააზოვი, გელაშვილი მალანია, წითლიძე (გაბედავა 59), თევზაძე (ჭიჭალუა 76), ჯაფიაშვილი, ზარანდია (ხორხელი 40), გოროზია (არველაძე 48), ჭანტურია (ბარამიძე 73), მესხი (ხარაიშვილი 48), კობახიძე (მარგველაშვილი 59).**

საქართველოს ნაკრები სომეხ თანატოლებს ხვალაც შეხვდება და სამშობლოში ხვალვე გამობრუნდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**



● ამბები

# ქობალია იქვე იყო

სლოვენიაში შეკრებაზე მყოფი რუსთავის "მეტალურგი" ავსტრიაში გადავიდა და გუშინწინ იქაურ „მატერსბურგს" გაეჯიბრა, რომელმაც ბუნდესლიგა მეცხრე ადგილზე დაასრულა.

მატჩზე უფრო დეტალური ინფორმაცია რუსთავის „მეტალურგის" პრესსამსახურის ხელმძღვანელმა **შოთა შერმადინმა** მოგვაწოდა და ავსტრიული კლუბის ვებგვერდზეც გავეცანით.

პირველი ტაიმი რუსთაველებმა კარგად ჩაატარეს. მე-6 წუთზევე **ირაკლი მაისურაძის** სახიფათო დარტყმული მცირედით ასცდა ავსტრიელთა კარს. ექვსი წუთის შემდეგ მასვე კიდევ მიეცა გატანის შანსი. მე-19 წუთზე **გიორგი მიქაბერიძის** დარტყმული ბურთი ავსტრიელთა მეკარე **შტეფან ბლიემმა** მოიგერია, დამატებაზე კი **ირაკლი ქობალიამ** მას შანსი არ დაუტოვა - 0:1.

ამის შემდეგ თამაში ისევ რუსთაველთა უპირატესობით გაგრძელდა. შერმადინის თქმით, ტაიმის მიწურულს მსაჯმა **ირაკლი მოდებაძის** ნაქცევისთვის მასპინძელთა კარში უდავო თერთმეტმეტრიანი არ დანიშნა.

მეორე ტაიმში გატანის შანსი ჰქონდათ როგორც რუსთაველ, ასევე ავსტრიელ ფეხბურთელებს. "მატერსბურგის" ვებგვერდის ცნობით, უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ და **ლუკას რაცს** ანგარიშის გათანაბრების რეალური შანსიც მიეცა, მაგრამ ეს ვერ მოახერხა.

"მეტალურგმა" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **ბედიაშვილი, მურველაშვილი (57 დობროვოლსკი), ლომაია (45 ორბელაძე), მახვილაძე, ჯაფარიძე (78. კანდელაკი), ტყემალაძე, რაზმაძე, მაისურაძე (88 აბურჯანია), მიქაბერიძე (45 ქავთარაძე), მოდებაძე, ქობალია (75 პავლიაშვილი).**

დაბოლოს, "მეტალურგს" დაუბრუნდა **ლექსო კვახაძე**, რომელიც ლუგანსკის "ზარიაში" გასინჯეს.

# რადიკალიზმი რა საჭიროა?!



ბესიკ ჩიხრაძე

უმაღლეს ლიგაში დაბრუნებული "გაგრას" პრეზიდენტი **ბესიკ ჩიხრაძე** ამბობს, რომ გუნდში ცვლილებებს გეგმავს, მაგრამ – არა რადიკალურს.

"ნამდვილად არ გვყავს ურიგო ფეხბურთელები. თასი სწორედ დღევანდელი შემადგენლობით მოვიპოვეთ და ჩვენს ბიჭებს ვენდობი. თუმცა წლეულს ევროპის ლიგაში "გაგრას" დებიუტი შედგება და, ცხადია, გაძლიერება დაგვჭირდება. ამაზე ვფიქრობთ კიდეც, მაგრამ ყველა შევთანხმდით, რომ სეზონის დაწყებამდე ერთი თვით ადრე რადიკალური საკადრო ცვლილებები გუნდს კი არ გააძლიერებს, პირიქით, დაანგრევს. ევროთასებზე ბევრი ჩვენი გუნდის წარუმატებლობის ერთ-ერთი წინაპირობა ესეც იყო. წარმოუდგენელია, ათი კაცი მოიყვანო და ერთ თვეში შეათამაშო, ამიტომ მსგავს ექსპერიმენტებს არ ვაპირებთ" – გვითხრა ჩიხრაძემ.

"გაგრა" აპირებს ორი ქართველი ფეხბურთელის დამატებას, ერთი მცველია, რომელიც ნახევარდაცვაშიც თამაშობს, მეორე კი თავდამსხმელი, ამჟამად უცხოეთში ასპარეზობს. ჩიხრაძე მათ გვარებს ჯერ არ აკონკრეტებს.

ამას გარდა, ჩიხრაძე ლვოვის ოლქის მორშჩინის საფეხბურთო აკადემია „სკალას" ორი ან სამი აღზრდილის დამატებასაც ფიქრობს. "სკალაზე" "ლელო" უკვე წერდა – "გაგრას" პარტნიორი უკრაინაში ტალანტების აღზრდით ცნობილი აკადემიაა.

**მერაბ მამულაშვილი**

● ლეგიონერი



ზურაბ ხიზანიშვილი (მარცხნივ) წარდგენისას

## როგორც ყოველთვის: კეთილი სიტყვები, სურვილები, იმედები

# ზურაბ ხიზანიშვილი ქაისერში წარადგინეს

გუშინ "ქაისერისფორმა" მედიასა და გულშემატკივრებს **ზურაბ ხიზანიშვილი** წარუდგინა. პრეზენტაციას ფეხბურთელთან ერთად კლუბის ხელმძღვანელობა და მთავარი მწვრთნელი **შოთა არველაძე** დაესწრნენ.

პრეზენტაციას პრესკონფერენცია მოჰყვა. *"თურქეთის ჩემპიონატი მაღალი დონისაა და ძალიან მიხარია, აქ თამაშის საშუალება რომ მომეცა. "ქაისერისფორიც" შესანიშნავი გუნდია და შევეცდები, მის წარმატებებში საკუთარი წვლილი შევიტანო"*, - თქვა 29 წლის ქართველმა მცველმა. არველაძემ კი განაცხადა, დარწმუნებული ვარ, ზურა ჩვენთან დიდხანს დარჩებაო.

შეგახსენებთ, ხიზანიშვილმა თურქეთს ინგლისური "რედინგიდან" მიაშურა, რომლის შემადგენლობაშიც პრემიერლიგაში გადასასვლელი ფინალი წააგო.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ტორპედო

# ახლებმა დაიწყეს

## მინუს მაჭავარიანი და გოცირიძე

ქუთაისის "ტორპედოს" ახალი სამწვრთნელო შტაბი გუნდის მომზადებას შეუდგა. **გიორგი კიკნაძემ** და **ზაზა ზამთარაძემ** ორშაბათს "ტორპედოს" სალორიას ბაზა და ქუთაისის ცენტრალური სტადიონი მოინახულეს. გუშინ კი გუნდის საერთო კრება გაიმართა და ახალი ხელმძღვანელობით გუნდმა პირველად ივარჯიშა.

ცნობილი გახდა ქუთაისელთა მზადების გეგმები. დღეს და ხვალ ფეხბურთელები თბილისში სამედიცინო შემოწმებას გაივლიან, 10 დღე ქუთაისში ივარჯიშებენ, მერე კი მზადებას ურეკში გააგრძელებენ. მეორე ეტაპი ევროპაში დაიგეგმა, მაგრამ სად, ჯერ არ გადაწყვეტილა.

ქუთაისის "ტორპედო" დატოვა 24 წლის მცველმა **ნოდარ მაჭავარიანმა**, კონტრაქტი აღარ გაუგრძელეს გამოცდილ, 30 წლის თავდამსხმელ **რევაზ გოცირიძეს**, რომელიც ბოლო დროს კარგ ფორმაში იყო. გუშინ არც ახალგაზრდული ნაკრების წევრებს, **თორნიკე თარხნიშვილსა** და **გივი იოსელიანს** უვარჯიშიათ – მათ სეზონი ხორვატიის ახალგაზრდულ ნაკრებთან მატჩის გამო გვიან დაუსრულდათ და დასვენების გახანგრძლივების უფლება მისცეს.

ამასობაში ცნობილი გახდა, რომ ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზეც დაიწყო ბალახის საფრის დაგება - სამუშაოებს ის კომპანია აწარმოებს, რომელმაც ეროვნული ნაკრების ბაზაზე ჩინებული საფარი დააგო.

**მერაბ მამულაშვილი**



ზაზა ზამთარაძე (მარცხნივ) და გიორგი კიკნაძე ქუთაისში საქმეს უკვე შეუდგნენ

## მილოცვა

დათო ლორთქიფანიძე ულოცავს საფეხბურთო ლიგაში წინსვლას ვანის „სულორის" ფეხბურთელთა გუნდს, მწვრთნელთა საბჭოს, განსაკუთრებით „სულორის" ვეტერანებსა და ერთგულ ვანელ გულშემატკივარს.

ჩვენ, ყველანი, ვისაც ერთხელ მაინც ჩაუცვია „სულორის" მაისურა, ვხარობთ დღევანდელი თაობის წარმატებით. გისურვებთ გამარჯვებებს ვანის „სულორის" სახელოვანი ტრადიციების ღირსეულად გასაგრძელებლად.

● ნუ დავკარგავთ არდასაკარგს

# რაც იყო, კარგი იყო: საჭირო და საჯარო!

დიდი დრო არ გასულა მას მერე, „ლელომ“ XXII ჩემპიონატის საუკეთესოები რომ წარმოგიდგინათ; სხვადასხვა ნომინაცია იყო: საუკეთესო მწვრთნელი, საუკეთესო დებიუტანტი, სეზონის აღმოჩენა, საუკეთესო მცველი, საუკეთესო ნახევარმცველი, საუკეთესო თავდამსხმელი, საუკეთესო შემცვლელი, საუკეთესო ლეგიონერი, სეზონის მოვლენა და, რალა თქმა უნდა, სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი. მოგეხსენებათ, გემოვნებაზე არ დავობენ და იმასაც შეგუებულნი ვიყავით, რომ „ლელოს“ რჩეულთა დასახელებას არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვებოდა. ასეც მოხდა, თუმცა კიდევ ერთხელ გვინდა განვმარტოთ, რომ „ლელომ“ მხოლოდ და მხოლოდ ახლახან დასრულებული ჩემპიონატის ნომინანტები დაასახელა და არა საერთოდ გასული სეზონისა! თანაც, ეს ნამდვილად არ იყო პირველი შემთხვევა: 2008 წლიდან მოყოლებული, ყოველი სეზონის დასრულების შემდეგ „ლელო“ ჩემპიონატის რჩეულებს ასახელებდა ხოლმე. ანუ, ვიმეორებთ, ამ ოთხი წლის განმავლობაში მხოლოდ საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე მწვრთნელ-ფეხბურთელებს გამოვარჩევდით, აი, სეზონის საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლენის „პრეტენზია“კი ამ ოთხი წლის განმავლობაში არასდროს გაგვჩენია; ანდა, რატომ უნდა გვქონოდა ეს პრეტენზია? ბოლოს და ბოლოს, წლების განმავლობაში ხომ ამ



თემურ ქეცბაია „სარბიელის“ პრიზით



კახა კალაძე „დიას“ პრიზით

საქმეს გაზეთი „სარბიელი“ აკეთებდა და უნდა ითქვას, რომ საკმაოდ გამჭვირვალედაც: გამოკითხვაში ქართველი სპორტული ჟურნალისტები მონაწილეობდნენ და ყოველი გამოკითხვის შედეგებიც გაზეთში ქვეყნდებოდა; ანუ, რომელმა ჟურნალისტმა რომელ ფეხბურთელს მიანიჭა უპირატესობა, საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენდა...

სეზონის საუკეთესო ფეხბურთელის გამოკითხვა „სარბიელმა“ 1993 წლიდან დაიწყო; 1998 წლიდან კი ქართული სპორტული მედია საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელის გარდა, ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელსაც ირჩევდა. და ასე გრძელდებოდა დიდი ხნის განმავლობაში, უფრო ზუსტად, მანამდე, ვიდრე „სარბიელი“ არ დაიხურებოდა...

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „სარბიელის“ გამოკითხვაში მონაწილეობას მხოლოდ ჟურნალისტები იღებდნენ. 2005 წლიდან კი საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა ყოველი სეზონის დასრულების შემდეგ გრანდიოზული სანახაობით გვანებივრებდა, — „დია“ მთელი სეზონის შემაჯამებელი ღონისძიება იყო და უამრავ ნომინაციას შორის უმთავრესად, რალა თქმა უნდა, „სეზონის საუკეთესო ფეხბურთელის“ ნომინაცია მიიჩნეოდა. თანაც, ამ შემთხვევაში (ისე, როგორც სხვა ნომინაციებში) გამარჯვებული ვლინდებოდა არა მხოლოდ ჟურნალისტების, არამედ მწვრთნელების, ვეტერანებისა და, საერთოდ, საფეხბურთო სამყაროს გამოკითხვის შედეგად. მოკლედ, ისეთი სიტუაცია იყო, რომ ოთხი სეზონის განმავლობაში „სარბიელისა“ და პროფლიგის გამოკითხვები „პარალელურ რეჟიმში“ მიმდინარეობდა; თუმცა ოთხიდან ორ შემთხვევაში აზრთა სხვადასხვაობაც მოხდა: „სარბიელის“ გამოკითხვით თუ ერთმა ფეხბურთელმა გაიმარჯვა, პროფლიგის გამოკითხვით მეორე გახდა საუკეთესო. სამწუხაროდ, 2009 წლის მერე „დია“ აღარ ჩატარებულა, შესაბამისად, პროფლიგასაც ორი წელიწადია, საუკეთესოები არ გამოუვლენია. ან რომელ გრანდიოზულ ღონისძიება-სანახაობაზეა (ხან — „ბერიკონში“, ხან — ოპერაში, ხან — „ბაგრატიონში“ რომ ტარდებოდა) ლაპარაკი, როცა საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგაც აღარ არსებობს?!

...„სარბიელი“ სეზონის საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლენას ჟურნალისტების გამოკითხვით აწარმოებდა; პროფლიგა სეზონის ნომინანტებს საერთოდ საფეხბურთო სამყაროს გამოკითხვით გამოავლენდა ხოლმე; 2006 წლიდან კი კიდევ ერთი გამოკითხვა დაემატა: გაზეთმა „მსოფლიო სპორტმა“ „საქართველოს წლის საუკეთესო ფეხბურთელის“ გამოვლენა SMS-ების საშუალებით გადაწყვიტა. არ დავმალავთ: ამ შემთხვევაშიც აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა ამა თუ იმ წელს კონკრეტული ფეხბურთელის გამარჯვებას; ანუ ქართული საფეხბურთო საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილს მიაჩნდა (და ახლაც მიაჩნია), რომ „წლის საუკეთესო ქართველი ფეხბურთელის“ ტექსტური შეტყობინებებით გამოვლენა ბევრად უფრო ნაკლებაობიექტურია, ვიდრე, ვთქვათ, ჟურნალისტებისა თუ საერთოდ ქართული საფეხბურთო სამყაროს გამოკითხვა. ანუ, რაც მეტად გამჭვირვალე და საჯარო იქნება გამოკითხვა, რაც უფრო მეტი პროფესიონალი (ჟურნალისტი, მწვრთნელი, ვეტერანი ფეხბურთელი) მიიღებს საუკეთესოს გამოვლენაში მონაწილეობას, მით უფრო ნაკლები კითხვები თუ აზრთა სხვადასხვაობა გაჩნდება ამ საკითხთან დაკავშირებით.

„სარბიელი“ აღარ ფუნქციონირებს, ისე, როგორც პროფესიული ფეხბურთის ლიგა; აქედან გამომდინარე, უკვე მესამე წელიწადია, ჟურნალისტებისა თუ სპეციალისტების გამოკითხვის შედეგად სეზონის საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლენა აღარ ხდება („მსოფლიო სპორტს“ არაფერს ვერჩით, — თავიანთი გამოკითხვა აქვთ); არადა, ღირს ამაზე დაფიქრება და ვიდრე ახალი, 2011-12 წლების საფეხბურთო სეზონი დაიწყება, ვისურვებდით, რომ სხვათა აზრიც მოგვესმინა; უპირველესად, კოლეგებს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებს, ვეტერანებს, გულშემატკივრებს და, საერთოდ, ყველას, ქართულ საფეხბურთო სამყაროს ვგულისხმობთ. დღესდღეობით ხომ მხოლოდ ერთადერთი გამოკითხვაა, „მსოფლიო სპორტი“ რომ აწყობს („წლის საუკეთესო ფეხბურთელი“), იყოს მეორეც, უფრო ზუსტად, აღვადგინოთ სეზონის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენი გამოკითხვაც. ოღონდ, ვიფიქროთ, ვიმსჯელოთ... ბოლოს და ბოლოს, თითოეული ქართველი ფეხბურთელისათვის ყოველივე ეს ხომ დამატებითი სტიმულიც იქნება. არადა, მართლაც უცნაურია: მესამე წელიწადია, სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი არ გვყოლია...

**გია ტუხაშვილი**

ახლა კი ყველა გამოკითხვის („სარბიელის“, საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის, „მსოფლიო სპორტის“) ლაურეატები გვინდა წარმოგიდგინოთ. აქვე აუცილებელი განმარტებაც: 1990 წელს გამოკითხვა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ჩაატარა და დეკემბრის ბოლოს ოპერის თეატრში ლაურეატთა შთამბეჭდავი დაჯილდოებაც მოაწყო (საერთოდაც, ის პირველი გამოკითხვა ცალკე წერილის თემაა), 1991-92 წლების სეზონის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენი გამოკითხვის ინიციატორი გაზეთი „ქართული ფეხბურთი“ იყო; 1993 წლიდან 2008 წლამდე კი უკვე „სარბიელი“ აწარმოებდა ჟურნალისტების გამოკითხვას. აი, მომავალი წლიდან რა და როგორ იქნება, დღესდღეობით ძნელი სათქმელია...

## საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი

### ფეხბურთის ფედერაციის გამოკითხვა

1990 წელი - თემურ ქეცბაია (იბერია)

### გაზეთ „ქართული ფეხბურთის“ გამოკითხვა

1991-92 - მიხეილ ჯიშკარიანი (ცხუმი)

### გაზეთ „სარბიელის“ გამოკითხვა

1992-93 - გიორგი ქინქლაძე (დინამო)
1993-94 - შოთა არველაძე (დინამო, ტრაბზონსპორი)
1994-95 - აკაკი დევაძე (შევარდენი-1906, როსტელმაში)
1995-96 - გიორგი ქინქლაძე (მანჩესტერ სიტი)
1996-97 - თემურ ქეცბაია (აეკ)
1997-98 - შოთა არველაძე (აიაქსი)
1998-99 - ზაზა ჯანაშია (ლოკომოტივი, მოსკოვი)
1999-2000 - ლევან კობიაშვილი (ფრაიბურგი)
2000-2001 - კახა კალაძე (დინამო კიევი, მილანი)
2001-2002 - კახა კალაძე (მილანი)
2002-2003 - კახა კალაძე (მილანი)
2003-2004 - ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი)
2004-2005 - ლევან კობიაშვილი (შალკე)
2005-2006 - კახა კალაძე (მილანი)
2006-2007 - შოთა არველაძე (ალკმაარი)
2007-2008 - ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი)
2008-2009 - ?
2009-2010 - ?
2010-2011 - ?

## საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი

### გაზეთ „სარბიელის“ გამოკითხვა

1997-98 - დავით მუჯირი (დინამო)
1998-99 - რატი ალექსიძე (დინამო)
1999-2000 - ზურაბ იონანიძე (ტორპედო)
2000-2001 - ზაზა ზირაქიშვილი (დინამო)
2001-2002 - მალხაზ ასათიანი (ტორპედო)
2002-2003 - ზურაბ იონანიძე (ტორპედო)
2003-2004 - დავით კვირკველია (დინამო)
2004-2005 - ლევან მელქაძე (დინამო)
2005-2006 - ოთარ მარცვალაძე (ვიტ ჯორჯია)
2006-2007 - სანდრო იაშვილი (დინამო)
2007-2008 - გიორგი მერებაშვილი (დინამო)
2008-2009 - ?
2009-2010 - ?
2010-2011 - ?

## საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი

### პროფესიული ფეხბურთის ლიგის გამოკითხვა

2004-05 - ლევან კობიაშვილი (შალკე)
2005-2006 - შოთა არველაძე (ალკმაარი)
2006-2007 - შოთა არველაძე (ალკმაარი)
2007-2008 - კახა კალაძე (მილანი)
2008-2009 - ლევან კობიაშვილი (შალკე)
2009-2010 - ?
2010-2011 - ?

## საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი

### პროფესიული ფეხბურთის ლიგის გამოკითხვა

2004-2005 - ლევან მელქაძე (დინამო)
2005-2006 - ზურაბ იონანიძე (ზესტაფონი)
2006-2007 - სანდრო იაშვილი (დინამო)
2007-2008 - გიორგი მერებაშვილი (დინამო)
2008-2009 - გიორგი მერებაშვილი (დინამო)
2009-2010 - ?
2010-2011 - ?

## საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი

### გაზეთ „მსოფლიო სპორტის“ გამოკითხვა

2006 წელი - ლევან ცქიტიშვილი (ვოლფსბურგი, გერმანია; პანიონიოსი, საბერძნეთი)
2007 წელი - გიორგი მერებაშვილი (დინამო, თბილისი)
2008 წელი - გიორგი მერებაშვილი (დინამო, თბილისი)
2009 წელი - ჯანო ანანიძე (სპარტაკი, მოსკოვი)
2010 წელი - გიორგი მერებაშვილი (ვოივოდინა, სერბეთი)

● ამბავი

# გეთიაშვილი და ქანთარია: ზესტაფონიდან დილაში?

“ლელო” უკვე იუწყებოდა, რომ „ზესტაფონი“ ორ მოთამაშეს, 21 წლის **გიორგი გეთიაშვილსა** და **ზვიად ქანთარიას** აკვირდებოდა. მათ ერთი კვირა გუნდის შემადგენლობაში ივარჯიშეს და საკონტროლო შეხვედრაშიც მიიღეს მონაწილეობა.

თბილისის „დინამოს“ დუბლშემადგენლობის წევრებს პერსპექტიულ ფეხბურთელებად იცნობენ, **დუშან უჰრინი** და **რაინერ ცობელი** ორივეს ძირითად შემადგენლობაში უკვალავდნენ გზას, მაგრამ ბოლო დროს გეთიაშვილი დუბლებში იყო, ქანთარიამ კი “დინამო” დატოვა.

“ზესტაფონის” მთავარი მწვრთნელის, **გია გეგუჩაძის** თქმით, ორივე პერსპექტიული მოთამაშეა და მათ ავსტრიულ შეკრებაზე წაყვანას აპირებდა, შესაძლოა, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე შანსიც მიმეცა, ახალგაზრდების დაწინაურება მიყვარსო, მაგრამ ფეხბურთელები კლუბში აღარ ვარჯიშობენ.

თავის დროზე გეთიაშვილსა და ქანთარიას საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებში უთამაშიათ, მაგრამ ახლა ორივე უთამაშებელია, სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობის გამო კი “ზესტაფონში” ერთკვირიანი ვარჯიშის შემდეგ სახლში დაბრუნებულებმა ჩათვალეს, რომ ამჯერად ჩემპიონი გუნდის ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის დიდი შანსი არ ჰქონდათ და ფორმის აღსადგენად შედარებით სუსტ კლუბში თამაში ამჯობინეს.

ჩვენი ინფორმაციით, შესაძლოა, მათ გორის “დილაში” განაგრძონ კარიერა – უმაღლეს ლიგაში დაბრუნებული გუნდიდან “დინამომ” მათ იჯარაზე წინადადება უკვე მიიღო. სხვათა შორის, ქანთარიათი ქუთაისის “ტორპედოს” ძველი მწვრთნელთა შტაბი იყო დაინტერესებული, მაგრამ ისინი გაათავისუფლეს და მოლაპარაკება შეჩერდა.

**მერაბ მამულაშვილი**

# თეთრაძე ვოლგადან ჩამოსვეს

გუშინ ნიჟნი ნოვგოროდის “ვოლგას” პრეზიდენტმა **ალექსეი გოიხმანმა** პრესას განუცხადა, რომ **ომარ თეთრაძე** გუნდის მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან გადააყენეს. ამ გადაწყვეტილების მიზეზად გოიხმანმა “ვოლგას” ბოლოდროინდელი არადამაკმაყოფილებელი შედეგები დაასახელა. გუშინწინ ნიჟნინოვგოროდელები სტუმრად “კრასნოდართან” 2:4 დამარცხდნენ, 16-გუნდიან პრემიერლიგაში კი მე-12 ადგილზე არიან. გოიხმანი თეთრაძესთან შეხვედრასა და მასთან კონტრაქტის გაწყვეტისთვის დაწესებულ თანხაზე საუბარს აპირებს.



ომარ თეთრაძე

გამოქვეყნდა თავად თეთრაძის კომენტარიც, რომელიც ამბობს, რომ მისი გათავისუფლება ბოლო მატჩის წაგებას არ უკავშირდება და მიიჩნევს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში დაითხოვდნენ. *“არ ვიცი, რატომ, მაგრამ ფაქტია, რომ კლუბის ხელმძღვანელობას ჩემი გაშვება უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა. არადა, ჩემი აზრით, გუნდის შედეგების მიხედვით დათხოვნას არ ვიმსახურებდი”*, - აცხადებს თეთრაძე.

მან ჭორი უწოდა იმ ვერსიას, თითქოს “ვოლგამ” მახაჩყალის “ანჟისთან” თამაში განზრახ დათმო და კლუბის ხელმძღვანელობა ამის გამო შემოსწყრა.

თეთრაძის სავარძლის დაკავებას **დმიტრი ჩერიშევს** უწინასწარმეტყველებენ.

შეგახსენებთ, “ვოლგას” ღირსებას ექვსი ქართველი იცავს – **ლაშა სალუქვაძე, გია გრიგალავა, გოგიტა გოგუა, გოჩა ხოჯავა, ოთარ მარცვალაძე** და **მათე ვაწაძე**.

**ლევან ჯანეზაშვილი**

მანჩესტერ იუნაიტედი

# მანჩესტერული რბოლა

„სიტიმ“ ქისას პირი მოხსნა და „უდინეზესგან“ 22 წლის ჩილელი **ალექსის სანჩესის** შესაძენად იტალიაში ხალხი აფრინაო... „იუნაიტედი“ ვერ უშოვიდა თავის წარმომადგენელს თვითმფრინავის ბილეთს? ინგლისის ჩემპიონი დაფაცურდა და, არიქა, საძულველმა თანაქალაქელმა არ მაჯობოსო, „უდინეზეს“ პრეზიდენტთან სალაპარაკოდ აღმასრულებელი შეფი, **დევიდ გილი** მიავლინა. გილი იმედოვნებს, რომ გარიგება რამდენიმე დღეში შედგება. „იუნაიტედი“ „უდინეზეს“ სანჩესის სანაცვლოდ 27 მილიონ ფუნტს სთავაზობს.

ბოლო დღეებში საქმე ისე წავიდა, რომ იტალიური გუნდის თავდამსხმელი ამ წუთას, ევროპაში ყველაზე სასურველი ფეხბურთელი გამოდის და დატაცებაზეა. თუ გილი საქმეს მართლა გაკვაჭავს და სანჩესს „ბარსელონასა“ და „მანჩესტერ სიტის“ ცხვირწინ ააცლის, სერ **ალექს ფერგიუსონის** ზაფხულის დანახარჯი ზუსტად 82 მილიონი ფუნტი გამოვა. ბედის ირონიაა, რომ „იუნაიტედის“ აღმასრულებელი შეფი „უდინეზეს“ ხელმძღვანელ **ჯინო პოცოს** ბარსელონაში შეხვდა — პოცო იქ ცხოვრობს. თუმცა, „ბარსელონასი“ რა მოგახსენოთ და, „იუნაიტედის“ შესაძლო წარმატება „სიტის“ ნამდვილად გაამწარებს. ისტლენდელებს იმედი ჰქონდათ, რომ მათ ფულს წინ ვერავინ დაუდგებოდა და ჩილელს მანჩესტერის თავიანთ უბანში ჩაიყვანდნენ. მეტიც, ზოგი წყაროს ცნობით, „სიტის“ „უდინეზესთან“ ყველაფერი მოგვარებულიც კი ჰქონდა, მაგრამ აგენტმა **ფერნანდო ფელიცევიჩმა** ასე თქვა:

*„სანჩესის თაობაზე „მანჩესტერ სიტისთან“ არანაირი გარიგება არ ყოფილა. ამ წუთას მისი შეძენის მსურველთათვის ყველა გ ზა ხსნილია. ჩვენ რამდენიმე მიმართულებით ვმუშაობთ და „სიტის“ გარდა სხვა კლუბების წარმომადგენლებსაც ვხვდებით“.*

ინგლისური პრესის პროგნოზი ასეთია: მიუხედავად იმისა, რომ 27 მილიონი ფუნტი იმაზე 4 მილიონით მეტია, რაც „იუნაიტედს“ ემეტებოდა, მაგრამ სანჩესს უმალ 19-გზის ჩემპიონი იყიდის, ვიდრე „სიტი“. მეორე მხრივ, ჯერ ცნობილი არ არის „ბარსელონასა“ და ისტლენდელების შემდეგი სვლა ანუ ვაჭრობა გრძელდება. „სიტის“ წარმომადგენლები ამბობენ, რომ მათ ხელი არ ჩაუქნევიათ და ყველა ღონეს იხმარენ, რათა ჩილელი მათი ფეხბურთელი გახდეს, თუმცა პრესაში დაიწერა, რომ საკუთრივ ფეხბურთელს მანჩესტერის ორ გუნდს შორის „იუნაიტედი“ უფრო მოსწონს.

შეგახსენებთ, რომ ფერგიუსონმა ამ ზაფხულს უკვე იყიდა მეკარე **დავიდ დე ხეა**, გარემარბი **ეშლი იანგი** და მცველი **ფილ ჯონსი**.

ახლა კი, მოდი, გაზეთ „სანში“ ჩავიხედოთ და ვნახოთ, როგორ განუმარტავს ის თავის მკითხველს თუ როგორი ფეხბურთელია სანჩესი და რა თვისებებით არის შემკული. გაზეთი ჩილელზე მსჯელობისთვის კითხვა პასუხის ხერხით მსჯელობს, თუმცა მანამდე წერს, რომ სანჩესმა ფართო საზოგადოებას თავი პირველად 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გააცნო. ხალხს თვალში მისი ფინტები და სისწრაფე მოხვდა. ჩილეს ნაკრები მერვედფინალში რომ გავიდა, დიდწილად მისი დამსახურება გახლდათ.

მუნდიალიდან დაბრუნებული სანჩესი „უდინეზეში“ ჩინებულად ათამაშდა. მან 31 შეხვედრაში 12 გოლი შეაგდო და გუნდი ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელ ადგილზე გაიყვანა.



ალექსის სანჩესი

„მანჩესტერ იუნაიტედის“, „სიტისა“ და „ბარსელონას“ გარდა მისი შეძენით დაინტერესებულები იყვნენ „რეალი“ და „ინტერი“. სანჩესს შეუძლია იყოს ფორვარდი, თუმცა გარემარბობაც ეხერხება. იტალიის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა, 1980-იანი წლების ლეგენდარული „მილანის“ თავკაცმა (იმ „მილანს“, როგორც დღევანდელ „ბარსელონას“, ხშირად ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო გუნდს უწოდებდნენ) **არიგო საკიმ** სანჩესს ფენომენალური ფეხბურთელი უწოდა და დასძინა:

*„სანჩესი ის კაცი არ გეგონოთ, რომელიც ძლიერად თამაშს მარტო პეპ გვარდიოლას წარმატებულ „ბარსაში“ შეძლებს. ის ნებისმიერ გუნდში გამოიჩენს თავს“.*

## რა დადებითი მხარეები აქვს სანჩესს?

ყველაზე თვალშისაცემი მისი დრიბლინგია. სწორედ ამაზე გიჟდებოდნენ მთელი სეზონის განმავლობაში იტალიაში და ფერგიუსონსაც სწორედ ეს მოხვდა თვალში. კარიერა მარჯვენა გარემარბად დაიწყო, მაგრამ შემდეგ თავდასხმის ყველა პოზიციაზე გამოიჩინა თავი. მას შეუძლია „სიტიში“ **კარლოს ტევესი** შეცვალოს, თუმცა შეუძლია „იუნაიტედში“ გადავიდეს და უკანდახეული ფორვარდის პოზიციაზე **უეინ რუნის** შეეხიდოს. თუმცა, ფერგიუსონთან ის, სავარაუდოდ, მაინც **კრიშტიანო რონალდოს** მიტოვებულ საქმეს შეასრულებს.

## მართლა რონალდოსავით ძლიერია?

სანჩესს ყოველთვის ადარებდნენ პორტუგალიელს, რომელმაც „მანჩესტერ იუნაიტედში“ დიდებულადაც ითამაშა და შემდეგ ფერგიუსონის გუნდს კარგი ფულიც მოუტანა — „იუნაიტედმა“ კრიშტიანო „რეალს“ 80 მილიონ ფუნტად მიჰყიდა. რატომ ადარებდნენ სანჩესს და რონალდოს? მონახეთ Youtube-ში შესაბამისი კლიპი და ნახავთ რატომაც. იტალიაში მისი და **ლეო მესის** შედარებაც უყვართ, მაგრამ ჩილელი ამ შედარებების წინააღმდეგია:

*„მე მინდა სანჩესი ვიყო და ხალხს სანჩესად დავამახსოვრდე. გარდა ამისა, იმ შედეგებისთვის, რომლებსაც რონალდომ და მესიმ მიაღწიეს, მე ჯერ არ მიმიღწევია“.*

## პრემიერლიგისთვის უღონო ხომ არ არის?

ინგლისში ყველაზე კარგად სწორედ მანჩესტერის ორმა გუნდმა იცის, როგორი იმედგაცრუება სჩვევიათ სამხრეთ ამერიკელ ვარსკვლავებს ინგლისში ჩასვლის შემდეგ. გნებავთ ურუგვაელი **დიეგო ფორლანის** ამბავი გაიხსენეთ და გნებავთ ტევესისა, რომელმაც ბურთი „იუნაიტედშიც“ გააგორა და „სიტიშიც“. ყველაზე დიდი კატასტროფა კი ისტლენდელთა მიერ 35 მილიონ ფუნტად ნაყიდი **რობინიო** იყო. მოკლედ, „სანი“ ეჭვს გამოთქვამს, რომ სანჩესისთვის შესაძლოა მართლაც იტალიაში დარჩენა ან „ბარსელონაში“ გადასვლა ჯობდეს. ის ხომ კაფანდარაა, პრემიერლიგაში კი ჯან-ღონით აღსავსე მცველები თამაშობენ და თან ძალისმიერადაც, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ ჩილელს სისხარტე დაეხმარება.

არსენალი

# მეგობარის ასეთი უნდა



სესკ ფაბრეგასი (მარცხნივ) და ბაქარი სანია

28 წლის ფრანგმა ფეხბურთელმა **ბაქარი სანიამ** თავისი გუნდი, „არსენალი“ გააოგნა — საკუთარ კაპიტანზე, 24 წლის **სესკ ფაბრეგასზე** თქვა, „ბარსელონაში“ გადასვლა უნდა და ხელი არ უნდა შევუშალოთო. სანიას ეს ნათქვამი ახალ ჭორებს დაემთხვა: ამბობენ, „ბარსელონა“ „მეთოფეებისთვის“ ახალ წინადადებას ამზადებს, სესკის სანაცვლოდ 35 მილიონი ფუნტი უნდა შესთავაზოსო.

*„შარშან ამ დროს სხვა სიტუაცია იყო. ახლა ფაბრეგასის წასვლის შანსი გაცილებით დიდია. მის სურვილში გასაკვირიც არაფერია, მას თავის მშობლიურ ქალაქში, საკუთარ ოჯახთან დაბრუნება უნდა. გარდა ამისა, „ბარსელონა“ მსოფლიოს საუკეთესო გუნდია და სესკს იქ უნდა თამაში, თუმცა ამწუთას ის ჯერ კიდევ „არსენალშია“, ჩვენი კაპიტანი გახლავთ“.*

ინგლისური პრესა წერს, რომ ჩრდილოლონდონელები ფაბრეგასში 40 მილიონ ფუნტს ითხოვენ. გადაიხდის „ბარსა“ იმაზე 5 მილიონით მეტს, ვიდრე ამწუთას აქვს ამ საქმისთვის გადადებული? შეგახსენებთ, რომ მართალია, სესკი „ბარსელონას“ ბავშვთა სკოლის აღზრდილია, მას ოდინდელ თანაგუნდელთა მხარდამხარ 15 წლის მერე აღარ უთამაშია — ბავშვობაშივე „არსენალში“ გადავიდა და ვარსკვლავად უკვე **არსენ ვენგერმა** ჩამოაყალიბა. თუ კატალონიელები 40 მილიონ ფუნტს (45 მილიონი ევრო) გადაიხდიან, მაშინ ფაბრეგასი მათთვის, სიძვირის თვალსაზრისით, მეორე ფეხბურთელი გახდება — 2009 წელს „ბლაუგრანამ“ **ზლატან იბრაჰიმოვიჩში** 46 მილიონი ევრო (56 მილიონი დოლარი) გადაიხადა. დღეს სესკ ფაბრეგასი ბარსელონაშია, შვებულებას შინ ატარებს.

მოგეხსენებათ, გაურკვეველია, 23 წლის ფრანგი ვარსკვლავის **სამირ ნასრის** ამბავიც. სანიამ თანამემამულის შესახებ „რადიო მონტე კარლოში“ გამოსვლისას ასე თქვა: *„სამირი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელია. ძალიან მინდა შვებულებებიდან ლონდონში დაბრუნებულს, ის ისევ ბაზაზე დამხვდეს. ნასრის უდიდეს პატივს ვცემ“.*

თუმცა, „არსენალიდან“ განა მხოლოდ გარბიან. არსენ ვენგერი, სადაცაა, მიმდინარე სატრანსფერო სეზონში პირველ ფეხბურთელს იყიდის. ლაპარაკია კოტ დ'ივუარელ **ჟერვინიოზე**, რომელიც 24 წლისაა და 14 მილიონი ფუნტი ღირს. ფრანგული „ლილის“ თავდამსხმელს ლონდონის სხვა გუნდი, „ტოტენჰემ ჰოთსპურიც“ ეპატიჟებოდა, მაგრამ მან „არსენალი“ ამჯობინა.

„ლილის“ დირექტორი **ფრედერიკ პაკე**: *„ჟერვინიოს წასვლა უნდა, გვითხრა, რომ ინგლისში თამაშზე ოცნებობს და ჩვენ ხელს არ ვუშლით. მას „არსენალთან“ მოლაპარაკების ნება მივეცით. მისი ყიდვა „პარი სენ ჟერმენსაც“ სურდა, მაგრამ ჩვენ კონკურენტის გაძლიერებას, ბუნებრივია, არ ვაპირებთ. მოკლედ, შევხვდებით „არსენალის“ წარმომადგენლებს და ვნახავთ. ჟერვინიო ფასეული ფეხბურთელია, მთავარია, მასში ადეკვატური თანხა შემოგვთავაზონ“.*

სანიამ, რომლის მოსაზრებები სესკსა და ნასრიზე ზემოთ უკვე მოგახსენეთ, კოტ დ'ივუარელზეც გამოთქვა თავისი აზრი:

*„ის მართლაც განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ფეხბურთელია, რომელმაც „ლილის“ ჩემპიონობაში უდიდესი წვლილი შეიტანა. მისი განსაკუთრებული მხარე ტექნიკაა და ამიტომაც „ემირეიტ სთედიუმზე“ დიდი სიხარულით შევეგებებით“.*

კარდიფ სიტი



ალან შირერი

# ალანმა არაო

**ალან შირერმა** „კარდიფ სიტის“ წარმომადგენლებთან მოლაპარაკებები გამართა და... მწვრთნელობაზე უარი უთხრა. ინგლისური ფეხბურთის ლეგენდა ჩემპიონშიპში ჩარჩენილი უელსური გუნდის თავკაცობაზე უპირობო ფავორიტად ითვლებოდა, მაგრამ საქმე ჩაიშალა. შეგახსენებთ, რომ კარდიფელებმა **დეივ ჯონსი** მას მერე მოხსნეს თანამდებობიდან, რაც მაისში, „რედინგთან“ პლეიოფის შეხვედრებში დამარცხდა და ახლა ახალი ხელმძღვანელის ძიებაში არიან.

„ნიუკასლ იუნაიტედის“ ვეტერანმა თქვა: *„მოლაპარაკებების მსვლელობისას მართლაც აღფრთოვანებული დავრჩი კარდიფელთა კლუბის მეპატრონის, დატო ჩან ტიენის ხედვით, ამბიციითა და თავდადებით. ძალიან მომეწონა საქმისადმი მისი დირექტორატის წევრების დამოკიდებულებაც, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი თანამშრომლობა ამ ეტაპზე არ შედგა. „კარდიფ სიტი“ უდავოდ დიდი კლუბია და მე მას წარმატებებს ვუსურვებ“.*

კერძოდ, რატომ არ შედგა ტელეჟურნალისტად ქცეული 40 წლის შირერისა და „კარდიფ სიტის“ თანამშრომლობა, გაუგებარია. ამბობენ, რომ ყოფილი ვარსკვლავი მაინც უფრო პრემიერლიგაში მუშაობაზე ოცნებობს და მოუთმენლად ელის როდის შესთავაზებს უმაღლესი ეშელონის რომელიმე კლუბი სამსახურს.

ბოლოს ალან შირერმა სამწვრთნელო საქმეში თავი 2009 წელს მოსინჯა, როდესაც რვა შეხვედრის განმავლობაში „ნიუკასლ იუნაიტედს“ ხელმძღვანელობდა. მაშინ „კაჭკაჭების“ საქმე ცუდად იყო და შირერს სწორედ გუნდის გადარჩენა ევალებოდა, მაგრამ ასეთ მოკლე დროში მან ამოცანას თავი ვერ გაართვა და „ნიუკასლი“ ჩემპიონშიპში გაუვარდა.

ვეტერანი

# პოლ სქოულზი: ალექსი მემუდარებოდა, დარჩიო...

**პოლ სქოულზმა** გულშემატკივარს უამბო, როგორ ეხვეწებოდა „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელი სერ **ალექს ფერგიუსონი** ფეხბურთის თამაშისთვის თავი არ დაენებებინა და როგორ არ დაუჯერა მან. არადა, ფერგი თურმე არწმუნებდა, მომავალ სეზონში 20 თამაშს ისე ჩაატარებ, როგორც არაფერიო. არაფერი გამოუვიდა დიდ შოტლანდიელს. სქოულზმა „იუნაიტედის“ შემადგენლობაში 676 შეხვედრა იკმარა და ფეხბურთელის კარიერა დაასრულა.

*„ფეხბურთთან და „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ბევრი ბედნიერი მოგონება მაკავშირებს, მაგრამ ყოველთვის ვიცოდი, რომ დადგებოდა ერთი დღე, როდესაც მე კარიერას დავასრულებდი და აი, ახლა ვიგრძენი, რომ ეს დღეც დადგა — თქვა 36 წლის ნახევარმცველმა — მწვრთნელი ფიქრობდა, რომ მომავალ სეზონში 20 თამაშს კიდევ შევძლებდი, მაგრამ გადაწყვეტილება მივიღე და დავასრულე. ბოლოს და ბოლოს ოდესმე ყველაფერი მთავრდება“.*

ალექს ფერგიუსონი ერთადერთი საკლუბო მწვრთნელი გახლდათ, ვისაც სქოულზი კარიერის განმავლობაში შეხვდა, მას ხომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ გარდა სხვა გუნდში არ უთამაშია, მაგრამ ბოლოს მაინც ველარ მიჰყვა თავისი ცხოვრების მთავარი პედაგოგის რჩევას, რადგან... ვეტერანს დაღლილი ფეხები უკვე გაჩერებას სთხოვდნენ.

*„ალექსისთვის უარის თქმა და მისი დარწმუნება იმიტომ არ გამიჭირდა, რომ ამქვეყნად ყველაზე კარგად მე ვიცი, რა დღეშია ჩემი სხეული. სეზონის ბოლოს, ვარჯიშებზე თავს ცოცხლად უკვე ველარ ვგრძნობდი, ორგანიზმის დამორჩილება მიჭირდა. ვხედავდი, რომ უძლიერეს კლუბში, საუკეთესო ფეხბურთელებს შორის ვიყავი, მაგრამ ჩემი სხეული იმას ველარ აკეთებდა, რასაც გონება უბრძანებდა. როდესაც „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელი ხარ, ვალდებული ხარ 90 წუთის განმავლობაში მკვირცხლად სირბილისთვის მზად იყო“.*

პოლ სქოულზის გამოსათხოვარი შეხვედრა აგვისტოშია დანიშნული. „იუნაიტედი“ ნიუ იორკის „კოსმოსს“ შეხვდება, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი სქოულზის ძველი თანაგუნდელი **ერიკ კანტონაა**.

*„ვინ იცის, როგორ დამიმახსოვრებენ გულშემატკივრები. იქნებ ყველაზე მეტად ჩემი გოლები და უხეშობები დაამახსოვრდეთ. უხეშობა ხომ კარიერის მეგ ზურად მექცა. თავად ვერ ვხვდები, რა ხდებოდა ჩემს თავს. მე ყოველთვის ბურთის წართმევას ვცდილობდი, მაგრამ რაღაც საშინელება გამომდიოდა. ბოლო წლებში, როდესაც ტრიბუნები დაინახავდნენ, რომ ვინმესთან ორთაბრძოლისთვის ვემზადებოდი, დიდი ღრიანცელი ტყდებოდა“.*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**



პოლ სქოულზი

## უცხოური ფეხბურთი

### არგენტინა. კლაუსურა. XVIII ტურის მიმოხილვა

**ოლიმპო–ნიუელსი 1:1**

გოლები: 1:0 როლი (49-პენ), 1:1 ფიდელეფი (64)

**კოლონი–არსენალი 0:1**

გოლი: 0:1 ბლანკო (45)

**სან ლორენსო–კილმესი 0:2**

გოლები: 0:1 სერო (12), 0:2 კაუტერუკიო (87)

**ოლ ბოისი–ხიმნასია 1:0**

გოლი: 1:0 ჯილიოტი (39)

გაძევება: როხანო (90. ხიმნასია)

**ურაკანი–ველესი 0:2**

გოლები: 0:1 ს. სილვა (51), 0:2 დ. რამირესი (90-პენ)

გაძევება: კვიროგა (74. ურაკანი), ს. დომინგესი (74. ველესი)

**ესტუდიანტესი–რივერი 1:1**

გოლები: 0:1 ფერარი (48), 1:1 სარულიტე (54)

**ლანუსი–არხენტინოსი 0:1**

გოლი: 0:1 ბლანდი (57)

**ბოკა–ბანფილდი 1:1**

გოლები: 1:0 კოლასო (47), 1:1 ფერეირა (84)

**რასინგი–გოდოი კრუსი 2:3**

გოლები: 1:0 გუტიერესი (1), 2:0 გუტიერესი (27), 2:1 დონდა (45), 2:2 რ. რამირესი (55), 2:3 დონდა (90-პენ)

**ტიგრე–ინდეპენდიენტე 0:0**

**გადადებული მატჩი**

**ნიუელსი–სან ლორენსო 0:0**

# VELEZ CAMPEON!!!

## აბრაკადაბრა ცხრილის ბოლოში, რომელიც მსოფლიო ფეხბურთის გრანდის მომავალს წყვეტს




ველესის დამსახურებული ზეიმი ბუენოს აირესში

კლაუსურას 2011 წლის გათამაშების ბოლოსწინა ტურმა მთავარი გადაწყვიტა - ჩემპიონის ვინაობა გაირკვა. უკვე ვწერდით, რომ კონკურენტის უნიათო თამაშის გამო „ველეს სარსფილდმა“ ნაადრევად გაიფორმა ტიტული. ისიც ვახსენეთ, რომ ამ ტურში **მარტინ პალერმო** დაეთხოვა მშობლიურ „ბომბონერას“, თუმცა ტურში ბევრი სხვაც საინტერესო მოხდა, ამიტომაც არ ინანებთ, თუ მთელ მიმოხილვას ჩაიკითხავთ...

ბუენოს აირესის დასავლეთ უბან ლინიერსის კლუბი „ატლეტიკო ველეს სარსფილდი“ არგენტინის 8-გზის ჩემპიონია. ბოლოს ამ გუნდმა ტიტული ზუსტად ორი წლის წინათ, 2009 წლის კლაუსურაზე მოიპოვა. 53 წლის სპეციალისტმა **რიკარდო გარეკამ**, რომელსაც ფეხბურთელობისას მრისხანე სახელი, „ელ ტიგრე“ ერქვა, მეორედ გააჩემპიონა გუნდი. 19-ში, სეზონის დასკვნით მატჩში, 50-ათასიან „ელ ფორტინზე“ დიდი ზეიმია მოსალოდნელი, პუბლიკა ჩემპიონებს „რასინგთან“ მატჩისთვის დიდ დახვედრას მოუწყობს.

### ტურის მოვლენები

„ველესის“ ჩემპიონობა სპეციალისტებმა ნაკლებად ივარაუდეს, ხოლო არგენტინის ჩემპიონატის გულშემატკივრებს სურდათ, რომ ტიტულის ბედი ბოლო ტურში გადაწყვეტილიყო. მაგრამ ეს უკვე ფაქტია - „ველესმა“ ცოტა ინვალა, მაგრამ გზიდან მაინც ჩამოიცილა „ურაკანი“, 4 საათის შემდეგ კი ლანუსიდან ლიდერისთვის საუცხოო ამბავი მოვიდა, ერთადერთი კონკურენტი მოულოდნელად დამარცხდა.

მოკლედ, „ველესის“ ფანატები ნაადრევ ჩემპიონობას „არხენტინოს ხუნიორსის“ შემტევ **ნიკოლას ბლანდის** უნდა უმადლოდნენ, რომელმაც „ლანუსის“ კარში ერთადერთი გოლი გაიტანა. რაც უნდა თქვან, „ველეს სარსფილდის“ ჩემპიონობა საბოლოო ჯამში მაინც დამსახურებულია.

„ველესის“ ჩემპიონობას ისეთი რამ დაემთხვა, რომ ამხელა მოვლენა დაჩრდილა კიდევაც - მარტინ პალერმომ უკანასკნელად ითამაშა მშობლიურ „ბომბონერაზე“ და მას გაცილება მოუწყვეს. არგენტინულ საიტებსა და გაზეთებს თუ გადახედავდით, მოწინავე სტატიები სწორედ „გიჟის“ დამშვიდობებას ეხებოდა, ხოლო ჩემპიონის ამბები უფრო მოკრძალებულად იყო გაშუქებული. აი, ასეთი პოპულარულია ფეხბურთელი სამშობლოში, რომელიც არგენტინის გარეთ ყველას ერთ მატჩში აცილებული სამი პენალტით თუ ახსოვს. „ელ ლოკო“ კარიერაში კიდევ ერთ ოფიციალურ მატჩს გამართავს, „ხიმნასიის“ წინააღმდეგ და შემდეგ ფეხბურთიდან წავა, ისევე როგორც „ხიმნასიას“ ფეხბურთელი და მისი მეგობარი **გილერმო სკელოტო**.

„გოდოი კრუსის“ გამარჯვებას „რასინგთან“ დიდი ფასი ჰქონდა, ამით ამ გუნდმა კოპა სუდამერიკანას საგზური მოიპოვა, სულ 7 საგზურიდან ვაკანტური 2 დარჩა.

„რივერ პლეიტს“ 6 თამაშია არ მოუგია, „სან ლორენსოს“ - 5. არადა, გრანდები მათ ჰქვიათ...

### ტურის ციფრები

შედეგიანობამ, წინა ტურებთან შედარებით, მოიკლო. რომ არა „რასინგისა“ და „გოდოი კრუსის“ 5-გოლიანი თრილერი, სიტუაცია კიდევ უფრო ცუდი იქნებოდა. სულ 18 გოლი (1,8 მატჩში) გავიდა, უმეტესობა (12) მასპინძელთა ანგარიშზეა. ტურში ორი დუბლი შესრულდა, ორივე ზემოთ ნახსენებ მატჩში - **ტეო გუტიერესის** ორ გოლს ამდენივეთი **მარიანო დონდამ** უპასუხა. სხვათა შორის, კოლუმბიელმა გუტიერესმა დაიბრუნა კარგა ხნის წინათ დაკარგული ბომბარდირობა (11 გოლი), თუმცა ის არგენტინელ ფორვარდთა „ალყაშია“ და ბოლო ტურამდე უცნობია, ვინ გახდება კლაუსურას ბომბარდირი.

### ტურის მატჩი

რასინგი VS გოდოი კრუსი

ტურის 18 გოლიდან 5 სწორედ ამ თამაშში გავიდა. სიტუაციაც დრამატულად განვითარდა, თავიდან გუტიერესის წყალობით მასპინძლები 2:0-ს იგებდნენ, მაგრამ საბოლოოდ წაგება „მოახერხეს“.

### ტურის გმირი

ლუის ოხედა
(არხენტინოს ხუნიორსი)

„ლანუსს“ გამარჯვება ჰაერივით ესაჭიროებოდა, მაგრამ მასპინძელთა იმედები ლუის ოხედას კართან ერთმანეთის მიყოლებით იმსხვრეოდა. ოხედა კი კარში იმიტომ დგას, რომ „არხენტინოსის“ ძირითად მეკარე **ნიკოლას ნავაროს** ტრავმა აწუხებს. ოხედა ორი წელია, რაც „არხენტინოსშია“, ის ჯერ 21 წლისაა.

### ტურის კურიოზი

„რასინგისა“ და „გოდოი კრუსის“ მატჩი 2:2 მორჩებოდა, რომ არა მასპინძელთა მეკარე **რობერტო ფერნანდესი...** მეკარემ სტუმართა თავდამსხმელის დარტყმა აილო და, თავისი ჭკუით, გუნდის შეტევა დაიწყო, თუმცა მცველისთვის ხელით გაკეთებული პასი დონდამ ჩაჭრა და ფერნანდესსაც სხვა გზა არ ჰქონდა - ფორვარდი მოცელა.

### ტურის გოლები

**პაულო ფერარი** (რივერი): „ესტუდიანტესის“ კარში.

**ემანუელ ჯილიოტი** (ოლ ბოისი): „ხიმნასიას“ კარში.

**გუსტავო ბლანკო** (არსენალი): „კოლონის“ კარში.

### ვინ ვარდება

მაგარია - ჩემპიონატის დასრულებამდე მხოლოდ ერთი ტური დარჩა და ჯერ ოფიციალურად ერთი გუნდიც კი არ გავარდნილა! მოკლედ, ბოლო ტურში საჩემპიონო ინტრიგის ნაცვლად თავი ამით უნდა შევიქციოთ.

მოგეხსენებათ, არგენტინაში გავარდნა ბოლო სამი სეზონის საშუალო მაჩვენებლით ხდება. ბრძოლა ისე დაიძაბა, რომ აქამდე მაჩანჩალა „კილმესსაც“ კი კარგი შანსი გაუჩნდა პირდაპირ არ გავარდეს, თუკი ბოლო ტურში შინ „ოლიმპოს“ დაამარცხებს.

ცხადი მხოლოდ ისაა, რომ სამი გუნდიდან (კილმესი, ხიმნასია, ურაკანი), ორი აუცილებლად პირდაპირ გავარდება და ერთი „პრომოსიონში“ ითამაშებს. „პრომოსიონის“ მეორე „საგზურის“ მოპოვების შანსი კი ერთბაშად სამ სხვა კლუბს აქვს (ოლიმპო, ტიგრე, რივერი). თუკი „ოლიმპო“ „კილმესის“ წინააღმდეგ უკეთ ითამაშებს, ვიდრე „რივერი“ „ლანუსთან“, მაშინ გადათამაშებაში მსოფლიოს ფეხბურთის გრანდი ითამაშებს! არის კიდევ ერთი, გასაოცარი ვარიანტი - თუკი „ოლიმპო“ და „რივერი“ თავიანთ მატჩებს მოიგებენ და „ტიგრე“ „არხენტინოსთან“ ფრეს ითამაშებს - სამივე გუნდს ერთნაირი კოეფიციენტი დაუგროვდება! ამ შემთხვევაში კლაუსურა გაგვიგრძელდება, დამატებითი მატჩები დაინიშნება.

| | |
|---|---|
| 14. არსენალი | 1,292 |
| 15. ტიგრე | 1,265 |
| 16. რივერი | 1,247 |
| 17. ოლიმპო | 1,216 |
| 18. ურაკანი | 1,106 |
| 19. ხიმნასია | 1,106 |
| 20. კილმესი | 1,054 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ველესი | 18 | 11 | 3 | 4 | 34-16 | 36 |
| 2. ლანუსი | 18 | 9 | 5 | 4 | 27-15 | 32 |
| 3. გოდოი კრუსი | 18 | 9 | 4 | 5 | 32-28 | 31 |
| 4. არხენტინოსი | 18 | 7 | 8 | 3 | 15-10 | 29 |
| 5. ოლიმპო | 18 | 7 | 6 | 5 | 27-23 | 27 |
| 6. ბოკა | 18 | 7 | 6 | 5 | 22-20 | 27 |
| 7. ინდეპენდიენტე | 18 | 6 | 8 | 4 | 25-19 | 26 |
| 8. რივერი | 18 | 6 | 8 | 4 | 14-13 | 26 |
| 9. ბანფილდი | 18 | 7 | 5 | 6 | 23-23 | 26 |
| 10. ოლ ბოისი | 18 | 7 | 4 | 7 | 14-18 | 25 |
| 11. ესტუდიანტესი | 18 | 6 | 6 | 6 | 18-18 | 24 |
| 12. ტიგრე | 18 | 6 | 6 | 6 | 24-25 | 24 |
| 13. რასინგი | 18 | 7 | 2 | 9 | 24-24 | 23 |
| 14. არსენალი | 18 | 5 | 7 | 6 | 24-22 | 22 |
| 15. სან ლორენსო | 18 | 5 | 7 | 6 | 18-16 | 22 |
| 16. კოლონი | 18 | 6 | 3 | 9 | 20-26 | 21 |
| 17. კილმესი | 18 | 5 | 5 | 8 | 24-26 | 20 |
| 18. ხიმნასია | 18 | 3 | 8 | 7 | 17-23 | 17 |
| 19. ურაკანი | 18 | 3 | 5 | 10 | 17-37 | 14 |
| 20. ნიუელსი | 18 | 3 | 4 | 11 | 15-32 | 13 |

**ბომბარდირები:** 11 - გუტიერესი (რასინგი); 10 - კამპორა (ურაკანი), სტრაკვალურსი (ტიგრე); 9 - ფუერტესი (კოლონი); 8 - ობოლო (არსენალი), დ. რამირესი (ველესი), ვალერი (ლანუსი); 7 - რომერო (ლანუსი), ს. სილვა (ველესი).

**ბოლო ტური**

17 ივნისი: **არსენალი-ესტუდიანტესი.**

18 ივნისი: **არხენტინოსი-ტიგრე, ხიმნასია-ბოკა, ინდეპენდიენტე-ურაკანი, კილმესი-ოლიმპო, რივერი-ლანუსი, გოდოი კრუსი-ოლ ბოისი.**

19 ივნისი: **ნიუელსი-კოლონი, ბანფილდი-სან ლორენსო, ველესი-რასინგი.**

### ესპანური მიდი-მოდი




მიგელ ანხელ მოია პრეზენტაციაზე

# ხეტაფე იცლება და ივსება

მადრიდულმა „ხეტაფემ“ სათადარიგო გოლკიპერი დაიმატა - სამშაბათს კლუბში სამედიცინო შემოწმება გაიარა **მიგელ ანხელ მოიამ** და გუშინ „ვალენსიას“ ყოფილი მეკარე ოფიციალურად წარუდგინეს პუბლიკას. შეთანხმება ასეთია - მოია ამ სეზონს იჯარით ჩაატარებს მადრიდულ კლუბში, სეზონის ბოლოს კი „ხეტაფეს“ მისი გამოსყიდვის ექსკლუზიური და სარფიანი უფლება ექნება. შეგახსენებთ, რომ მოია 27 წლისაა, მან „მესტალიაზე“ ბოლო ორი სეზონი სათადარიგოს როლში გაატარა, ბოლო სეზონის მიწურულს მოია უკვე „ღამურების“ მესამე მეკარედ ითვლებოდა **ვისენტე გუაიტასა** და **სესარ სანჩესის** შემდეგ.

„ვალენსიამ“ მომავალ სეზონში მეკარეების საკითხი გაარკვია - „ალმერიიდან“ ბრაზილიელი **დიეგო ალვეში** დაიბრუნა და გუაიტასთანაც გააგრძელა ხელშეკრულება. შედეგად, გუნდში სესარის და მოიას ადგილი აღარ დარჩა. პირველი „ვილიარეალში“ გადავიდა, მოიამ კი „ხეტაფეს“ მიაშურა. შეგახსენებთ, რომ ერთი დღით ადრე, ერთი ტრანსფერი გაცხადდა, რომელშიც ასევე „ვალენსია“ და „ხეტაფე“ მონაწილეობდნენ, ოღონდ, პირიქით მიმართულებით - „ვალენსიამ“ 22 წლის **დანი პარეხო** დაიმატა.

„მარკა“ ამტკიცებს, რომ უკრაინულმა „დნიპრომ“ მოაგვარა განელი **დერეკ ბოატენგის** ტრანსფერის ამბავი და აფრიკელი ნახევარმცველი მომავალ 4 სეზონს ხუანდე რამოსის გუნდში გაატარებს. სავარაუდოდ, უკრაინელები ბოატენგის სანაცვლოდ „ხეტაფეს“ 6 მილიონ ევროს გადაუხდიან.

შეგახსენებთ, რომ „ხეტაფემ“ ჩემპიონატი მე-16 ადგილზე დაასრულა. კლუბის ახალმა არაბმა მეპატრონეებმა გუნდიდან **მიჩელი** გაუშვეს და მის ნაცვლად „ლევანტეს“ ყოფილი თავკაცი **ლუის გარსია** დანიშნეს. ლუის გარსიამ უკვე დაიბევა **დიეგო კასტრო, მეჰდი ლასენი** და **მიგელ ანხელ მოია.**

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

პრიმერაში ბოლო დროს გადაწყვეტილი ტრანსფერები:

| თარიღი | ფეხბურთელი | საიდან | სად | თანხა |
|---|---|---|---|---|
| 30 მაისი | ფელიპე კაისედო (ეკვ) | სიტი | ლევანტე | 1 მლნ |
| 31 მაისი | მარტინ კასერესი (ურუ) | ბარსელონა | სევილია | 3 მლნ |
| 31 მაისი | დიდაკ ვილა | მილანი | ესპანიოლი | იჯარა |
| 31 მაისი | დიდიე ზოკორა (კოტ) | სევილია | ტრაბზონი | 5 მლნ |
| 1 ივნისი | მანოლო რეინა | ლევანტე | კარტახენა | თავ. აგენტი |
| 1 ივნისი | რუუდ ვან ნისტელროი (ჰოლ) | ჰამბურგი | მალაგა | თავ. აგენტი |
| 2 ივნისი | სესარ სანჩესი | ვალენსია | ვილიარეალი | თავ. აგენტი |
| 3 ივნისი | სუელიტონ პერეირა (ბრა) | სან ჟოზე | ვალეკანო | თავ. აგენტი |
| 3 ივნისი | კოკე | ვალეკანო | სევილია | 1,7 მლნ. |
| 3 ივნისი | დანიელ პარეხო | ხეტაფე | ვალენსია | 5 მლნ. |
| 3 ივნისი | ესტებან ანდრადა (არგ) | ლანუსი | ბარსელონა ბ | 4 მლნ. |
| 6 ივნისი | მიგელ ანხელ მოია | ვალენსია | ხეტაფე | იჯარა |
| 7 ივნისი | მარკ ბერტრანი | ტენერიფე | ოსასუნა | თავ. აგენტი |
| 8 ივნისი | მარიო ალვარესი | ხეტაფე | ბეტისი | თავ. აგენტი |
| 10 ივნისი | ნაჩო მონრეალი | ოსასუნა | მალაგა | 6 მლნ. |
| 11 ივნისი | დავიდ ოდონკორი (გერ) | ბეტისი | კარლსრუე | თავ. აგენტი |
| 13 ივნისი | დერეკ ბოატენგი (გან) | ხეტაფე | დნიპრო | 6 მლნ. |
| 13 ივნისი | ედუ ორიოლი | ბარსელონა ბ | სარაგოსა | თავ. აგენტი |
| 13 ივნისი | აბრაჰამ მინეტო | ბარსელონა ბ | სარაგოსა | თავ. აგენტი |
| 14 ივნისი | ნინო | ტენერიფე | ოსასუნა | თავ. აგენტი |

მონაკო

# აღმავლობისა და დაცემის გრძელი ისტორია

**შვიდი წლის წინ "მონაკომ" ჩემპიონთა ლიგის ფინალში ითამაშა, დღეს კი ლიგა 2-ში გავარდა. მგონი უინტერესო არ უნდა იყოს იმ კლუბის ისტორიის გაცნობა, რომელსაც არაფერი აკლია, არც ტიტულები, არც სახელოვანი მწვრთნელები და არც უმაღლესი კალიბრის ვარსკვლავები. მასალა, უცხოურ ვებგვერდებზე მოძიებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით მომზადდა.**

ფეხბურთი ცოცხალი ორგანიზმია. ცოცხალი კი ყველაფერი მოძრაობს. ბევრი მოძრაობა და ბრძოლა სპორტის უპირველესი კრიტერიუმია და მას შესაბამისად პროგრესი და რეგრესი, განვითარება და დაცემა ახასიათებს. ხოლო მარადიული რომ არაფერია, ამას ფილოსოფოსებიც გვეუბნებიან და ცხოვრებაც იმავეს გვიმტკიცებს.



ლორან ბანიდმა ამ ჟესტით ვერავინ ანუგეშა

"მონაკო" 1924 წლის 23 აგვისტოს "დაიბადა". ისედაც პატარა სამეფოში წვრილ-წვრილმა კლუბებმა გაერთიანება და ერთ ორგანიზმად შერწყმა გადაწყვიტეს. გაერთიანებული ორგანიზაცია დიდხანს სამოყვარულო დონეზე თამაშობდა. 1933 წელს საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ მას პატრონაჟი შესთავაზა. "მონაკომ" ფრანგულ კლუბებთან ერთად თამაში დაიწყო, თუმცა ძალზე წარუმატებლად. მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე ისინი ქვედა ლიგებში ყურყუტებდნენ და მხოლოდ 1948-ში ალზევდნენ მეორე ლიგაში, 1953-ში კი ელიტურ ლიგას უწიეს. 50-იანების გუნდმა პირველად მოახერხა ცხრილში ზედა საფეხურებისთვის ბრძოლა. "მონაკოს" პირველი წარმატებები დიდწილად **ლუსიენ ლედუკის** დამსახურება იყო, სპეციალისტის, ვინც "თეთრწითლებს" მოგების გემო ასწავლა.

60-იანებში "მონაკომ" ყველაფერი მოიგო. პირველი ტიტული საფრანგეთის თასი იყო - 1960 წელს ფინალში ზღვისპირელებმა "სენტ ეტიენი" 4:2 დაამარცხეს, 1961-ში გუნდმა ჩემპიონატი და სუპერთასი მოიგო, 1963-ში კი ქვეყნის ჩემპიონიც შეიქმნა და თასის მფლობელიც. ყველაფერ ამას კი "მონაკომ" სწორედ ლედუკის ხელმძღვანელობით მიაღწია და როცა მუსიე ლუსიენი გუნდიდან წავიდა, წარმატებათა სერია შეწყდა. 1964-ში მოგებული ბრინჯაო, მხოლოდ ინერციის დამსახურება იყო. ამის შემდეგ "მონაკო" ჯერ საშუალო გაქანების კლუბად იქცა, შემდეგ კი აუტსაიდერებს შორისაც გაერია. კლუბის ბედი რალაცით კი ჰგავდა მონტე კარლოს სტუმართა ბედს, ამ ქალაქში ხომ შეიძლება დღეს მეფე იყო, ხვალ კი იმდენი წააგო სახელგანთქმულ კაზინოებში, რომ მთლად ნულზე დარჩე. როგორც ხედავთ, სწრაფი აღმასვლა და დაღმასვლა გუნდს მაშინაც სჩვეოდა. არსებობა-არარსებობის ზღვარზე თამაში 1977 წლამდე გაგრძელდა. ამ წელს "მონაკოში" ლედუკი დაბრუნდა და პირველივე ჯერზე გუნდს მესამე საჩემპიონო ტიტული მოუტანა. სპეციალისტის დაბრუნება სანყისებთან არც ისე ხანგრძლივი გამოდგა. 1979-ში ის ისევ წავიდა გუნდიდან. ისტორია, რა თქმა უნდა, განმეორდა - ინერციის წყალობით, 1980 წელს გუნდმა საფრანგეთის თასი მოიგო, მომდევნო წლებში კი ისევ ქვედა საფეხურებზე დაეშვა.

ერთადერთი ადამიანი, ვინც გუნდი დაარწმუნა, რომ გამარჯვებების მიღწევა ლედუკის გარეშეც შესაძლებელი იყო, **ჟერარ ბანიდი** იყო. მან 1982 წელს გუნდს მეოთხე საჩემპიონო ოქრო მოუტანა და ერთ წელიწადში გუნდიდან წავიდა. ესეც გარკვეული ტრადიცია იყო, გუნდიდან მწვრთნელები მოგებულები მიდიოდნენ. მისი გვარი "მონაკოს" ისტორიას მყარად დაუკავშირდა. მუსიე ჟერარი "მონაკოში" ერთხელ კიდევ დაბრუნდა, მისი შვილი **ლორან ბანიდი** კი გუნდს ასევე ორჯერ წვრთნიდა და ამჟამადაც, ლიგა 2-ში დაქვეითებულ გუნდში მოვალეობების შემსრულებლად დროებით ისაა დატოვებული. ჟერარ ბანიდმა ყველაზე მნიშვნელოვანი რაც გააკეთა, ეს კლუბში სისტემის აწყობა იყო. მან გუნდი პერსონებზე დამოკიდებულებისგან იხსნა. მისი წასვლის შემდეგ გუნდი ისე აღარ დასუსტებულა, მიუხედავად იმისა, ვინ იდგა მის სათავესთან. 80-იანების ბოლოს მონაკოელებს უკვე მყარად ეჭირათ ადგილი ფრანგული ფეხბურთის ლიდერებს შორის. გუნდი რეგულარულად იბრძოდა როგორც ჩემპიონობის, ასევე საფრანგეთის თასისთვისაც. მოკლედ, შინაურ ფრონტზე ფეხის მყარად მოკიდების შემდეგ გუნდმა საერთაშორისო ასპარეზზეც გამოთქვა თავისი პრეტენზიები, სადაც იქამდე არასდროს არაფერი გამოსდიოდა.

1987 წელს გუნდში სრულიად ახალი ეპოქა დაიწყო. პატარა სამეფოში სამუშაოდ "ნანსის" ახალგაზრდა თავკაცი, 38 წლის **არსენ ვენგერი** მიიწვიეს. ეს გადაწყვეტილება კონსერვატორული აზროვნების ხელმძღვანელობისგან მოულოდნელი იყო, მაგრამ შედეგები დიდებული მოიტანა. შეიძლება ითქვას, რომ მხარეებმა ერთმანეთი იპოვეს. გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ვენგერის წვლილი კლუბის ისტორიაში უტოლდება ლეგენდარული ლედუკისას. სწორედ მისი თავკაცობით შეძლო პირველად გუნდმა ევროპაში ხმამაღალი სიტყვის თქმა და გუნდში პირველი მეგავარსკვლავებიც მის დროს აღიზარდნენ. ვენგერმა პირველად სწორედ ამ კლუბში დაამკვიდრა ახალგაზრდებთან მუშაობის მისი სტილი. გუნდმა საფრანგეთის ნაკრებს ისეთი ვარსკვლავები აჩუქა, როგორებიც იყვნენ **ლილიან ტურამი, ემანუელ პეტი** და **ტიერი ანრი**. ამას გარდა "მონაკომ" გადაიბირა ისეთი ფეხბურთელები, რომელთა უმაღლეს კლასში ეჭვს ვერავინ შეიტანდა. ლაპარაკია **ჟორჟ ვეაზე, იურგენ კლინსმანზე, გლენ ჰოდლსა** და **იური ჯორკაეფზე**. მოგვიანებით "მონაკოში" ბურთი კიდევ ბევრმა ვარსკვლავმა გააგორა, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. დავუბრუნდეთ ვენგერსა და მის გზას... 1988 წელს მან (სადებიუტო სეზონშივე) "მონაკოს" ოქროს მედლები მოუტანა (რიგით მე-5). ამას გარდა გუნდი ორჯერ ვერცხლს შესწვდა და სამჯერ ბრინჯაოს, 1991-ში კი საფრანგეთის თასი მოიგო. 1991-92-ის სეზონში ვენგერმა პირველი შთამბეჭდავი ევროსეზონი ჩაატარა. 6 მაისს ლისაბონში "თეთრწითლები" მხოლოდ **ოტო რეჰაგელის** "ვერდერთან" დამარცხდნენ. 1993-ში მართალია ისინი ჩემპიონები ვერ გახდნენ, მაგრამ **ბერნარ ტაპის** სახელთან დაკავშირებული სკანდალის გამო დისკვალიფიცირებული "მარსელის" ნაცვლად, პირველად კლუბის ისტორიაში, მათ ჩემპიონთა ლიგის საგზური მიიღეს. ვენგერმა თავი არ შეირცხვინა და გუნდი ნახევარფინალში გაიყვანა, სადაც **ფაბიო კაპელოს** ლეგენდარულ "მილანთან" დამარცხდა. არსენ ვენგერის საკლუბო კარიერა სამშობლოში ამით დასრულდა, თუმცა "მონაკომ" არც სხვა მწვრთნელების ხელში დაკარგა ფრანგული ფეხბურთის გრანდის სტატუსი. მეტიც, 1997-ში **ჟან ტიგანას**, ხოლო 2000 წელს **კლოდ პიუელის** ხელმძღვანელობით, მან ორჯერ შეძლო ლიგა 1-ის მოგება.

2001 წელს "მონაკოს" სათავეში ლეგენდარული ვეტერანი ფეხბურთელი **დიდიე დეშამი** ჩაუდგა. სწორედ მისი ხელმძღვანელობით შეძლო გუნდმა ისტორიაში ყველაზე ხმაურიანი სენსაციის ავტორი გამხდარიყო. გზად ფინალისკენ მონაკოელებმა ჯერ მოსკოვის "ლოკომოტივი" ჩამოიცილეს, შემდეგ "რეალი" და ბოლოს "ჩელსი", თუმცა "აუფ შალკეზე" გამართულ ფინალში უშანსოდ წააგეს **ჟოზე მოურინიოს** "პორტუსთან" 0:3. ამ დღიდან სულ რაღაც 7 წელიწადი გავიდა და გუნდმა ევროგრანდობიდან ლიგა 2-მდე მიაღწია. რისი ბრალია ეს ყველაფერი? აშკარაა, კლუბი სოლიდურ ფინანსურ პრობლემებს განიცდიდა; ბოლო წლებში არც სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობამ გაამართლა; გულშემატკივარმა კი გუნდი თითქმის სრულად მიატოვა. როგორც სტატისტიკოსებმა დაითვალეს, ბოლო სეზონში "ლუის II-ზე" საშუალო დასწრება ყველაზე დაბალი იყო ელიტური ლიგების გუნდებს შორის.

ის რაც წელს მოხდა, ადვილი ასახსნელი არ არის, მაგრამ ლოგიკას ექვემდებარება. "მონაკო" რატომღაც იოლად შეეგუა სატურნირო ცხრილში შუა ხაზში ტივტივს და მიუხედავად იმისა, რომ მთელი სეზონი გასავარდნ ზონასთან ახლოს ტრიალებდა, ვერაფრით დაუშვა, რომ ყველაზე უარესი სცენარი შეიძლებოდა რეალობად ქცეულიყო. არადა, ლიგა 1 ის ტურნირია, სადაც ხშირად ლიდერ და აუტსაიდერ გუნდებს შორის სხვაობა ყოველთვის მინიმალურზე მინიმალურია. "მონაკომ" 44 ქულა დააგროვა და დაქვეითდა - ამდენი ქულით კი ის ინგლისურ პრემიერლიგაშიც დარჩებოდა, იტალიის სერია A-შიც და ესპანურ პრიმერაშიც.

დასასრულს კი ერთს გეტყვით: ზემოთაც ვთქვით, რომ "მონაკოს" ისტორია სავსეა სწრაფი აღმასვლებითა და დაღმასვლებით. ამ ლოგიკით, "მონაკოს" წესით აღმავლობის ხანა მალევე უნდა დაუდგეს.

**ლევან ბიბილაშვილი**

რუსეთი. პრემიერლიგა. XIII ტური



ლოკომოტივი-ნალჩიკი, ოზოდევისა და სირაძის ორთაბრძოლა

# ლეგიონერთა ღვაწლი

**ცსკა-ანჟი 3:0**

**გოლები:** 1:0 ვაგნერ ლავი (5), 2:0 ჰონდა (27), 3:0 ძაგოევი (61).

**კრასნოდარი-ვოლგა 4:2**

**გოლები:** 1:0 მოვსისიანი (3), 1:1 ხაზოვი (16), 2:1 კულჩიი (44), 3:1 ჟოაუზინიო (61), 3:2 სალუქვაძე (66), 4:2 ჟოუაზინიო (73).
**გაძევება:** მიხეევი (68, კრასნოდარი)

**ზენიტი-როსტოვი 4:0**

**გოლები:** 1:0 იონოვი (1), 2:0 ლაზოვიჩი (39), 3:0 ხუშტი (72), 4:0 ბუხაროვი (90)

**ლოკომოტივი-ნალჩიკი 3:1**

**გოლები:** 1:0 სიჩოვი (2), 1:1 სირაძე (21), 2:1 გატაგოვი (89), 3:1 მინჩენკოვი (90)

**კრილ სოვეტოვი-ყუბანი 1:0**

**გოლი:** 1:0 პეჩნიკი (59)

**ტომი-სპარტაკი 1:1**

**გოლები:** 0:1 ძიუბა (20), 1:1 კანუნნიკოვი (90)

**ამკარი-ტერეკი 1:0**

**გოლი:** 1:0 პეევი (90)

**რუბინი-დინამო 3:0**

**გოლები:** 1:0 ბოკეტი (42), სესარ ნავასი (77), 3:0 ნათხო (90-პენ)

რუსული პრემიერლიგის წლევანდელი გათამაშება მართლაც განსაკუთრებულია: იმის გარდა, რომ ჩემპიონატი სამ წრედ ტარდება, თითქმის ყველა გუნდი აქცენტს შემტევ ფეხბურთზე აკეთებს. გამონაკლისი, „ტერეკი" და „კრილია სოვეტოვია", უმაღლესი ლიგის გუნდებიდან მეტოქეთა კარში ყველაზე ნაკლები ბურთი (შესაბამისად, 9 და 8) რომ აქვთ გატანილი. აი, დანარჩენი გუნდების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა თავის ქომაგებს შედეგიანი თამაშით ანებივრებს და საერთოდაც, ამ ბოლო დროს რუსულ პრემიერლიგაში შედეგიანობის მაღალი მაჩვენებლით მოიწონებს თავს. ახლაც, XIII ტურში 24 გოლი გავიდა და ამათგან ორი, ჩვენებურებმა გაიტანეს; სამწუხაროდ, **ლაშა სალუქვაძისა** და **დავით სირაძის** გოლებმა „ვოლგასა" და ნალჩიკის „სპარტაკს" ვერ უშველა და ორივე ეს გუნდი აუტსაიდერთა შორის იმყოფება. განსაკუთრებით საგანგაშოა ნალჩიკელთა მდგომარეობა — **ვლადიმერ ეშტრეკოვის** გუნდი „მყარად" არის მოკალათებული ბოლო ადგილზე. გასულ ტურში „სპარტაკმა" მატჩის დასაწყისშივე მიიღო გოლი საკუთარ კარში — „ლოკომოტივის" საუკეთესო თავდამსხმელმა, 27 წლის **დმიტრი სიჩოვმა** ოსტატურად შეასრულა ყველაფერი. „სპარტაკმა" I ტაიმშივე შეძლო ანგარიშის გათანაბრება, როცა საქართველოს ნაკრების 29 წლის ფორვარდმა დავით სირაძემ შორეული დარტყმით ეფექტური გოლი გაიტანა. მატჩის ბოლომდე საყაიმო ანგარიში იყო, მაგრამ მასპინძლებს შეცვლაზე შემოსულმა ახალგაზრდა ფეხბურთელებმა მოაგებინეს — 20 წლის **ალან გატაგოვმა** და 22 წლის **ალექსანდრ მინჩენკოვმა.** სხვათა შორის, ამ ტურში, გოლების უმეტესობა ლეგიონერებმა გაიტანეს და საერთოდაც: რომ არა უცხოელი ფეხბურთელების მოზღვავება, რუსული პრემიერლიგა, ალბათ, ჩვეულებრივ ტურნირად უნდა მიგვეჩნია. ამის დასტურად ქვემოთ მოყვანილი ფაქტებიც გამოდგება: „რუბინმა" სწორედ ლეგიონერთა შთამბეჭდავი თამაშის წყალობით დაამარცხა ბოლო დროს წარმატებით მოასპარეზე „დინამო". ყაზანელთაგან თავი გამოიჩინეს: 24 წლის **სალვატორე ბოკეტიმ** (იტალია), 21 წლის **სესარ ნავასმა** (ესპანეთი) და 22 წლის **ბიბრას ნათხომ** (ისრაელი). ასევე ლეგიონერთა წარმატებულ თამაშზეა დამოკიდებული ცსკა-ს ასპარეზობაც: ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ლიდერმა მორიგი შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა და კვლავაც დიდი ანგარიშით გაიმარჯვა. 27 წლის **ვაგნერ ლავსა** (ბრაზილია) და 25 წლის **კეისუკე ჰონდას** (იაპონია) არაერთი ცნობილი უცხოური კლუბი იწვევს, მაგრამ არმიელები თავიანთ ლიდერებს ჯერჯერობით ვერ ელევიან. ისე, ბევრისთვის მოულოდნელიც იყო ცსკა-სა და „ანჟის" მატჩის შედეგი: ერთმანეთს ხომ ცხრილის სათავეში მყოფი გუნდები ხვდებოდნენ. თუმცა, არმიელთა უპირატესობა აშკარა იყო და ერთი-ორ ეპიზოდში „ანჟისა" და საქართველოს ნაკრების 24 წლის მეკარეს **ნუკრი რევიშვილს** რომ არ ეყოჩაღა, დაღესტნური გუნდისათვის ანგარიში ბევრად უფრო კატასტროფული იქნებოდა. ლიდერთა მატჩს უინციდენტოდ არ ჩაუვლია: პირველ ტაიმში ჯერ ორივე გუნდის ფეხბურთელებმა გაიწიეს ერთმანეთზე, მერე არეულობა ტრიბუნებზეც გაგრძელდა და შეხვედრაც 5 წუთით იყო შეჩერებული.

ცსკა-ს მსგავსად დიდი ანგარიშით მოიგო ჩემპიონატის კიდევ ერთმა ფავორიტმა, სანკტ-პეტერბურგის „ზენიტმა": **ლუჩანო სპალეტის** გუნდმა 4 უპასუხო გოლი გაიტანა „როსტოვის" კარში. ამ შეხვედრის პირველი გოლი მე-12 წამზე გავიდა — თავი მასპინძელთა 22 წლის გარემარბმა **ალექსეი იონოვმა** გამოიჩინა. ჩემპიონატში მორიგი გოლი გაიტანა „ზენიტის" სერბმა ლეგიონერმა, 28 წლის **დანკო ლაზოვიჩმა**, რომელიც 9 ბურთით ბომბარდირთა სიას ლიდერობს.

დაბოლოს, სამწვრთნელო ცვლილებებზეც: გასული ტურის მერე ერთდროულად ორი გუნდის მთავარ მწვრთნელს მოუწია თანამდებობის დატოვებამ. აქედან ერთ-ერთი, ჩვენდა სამწუხაროდ, **ომარ თეთრაძე** აღმოჩნდა: ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგას" 41 წლის თავკაცს, სავარაუდოდ, რუსეთის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი **დიმიტრი ჩერიშევი** შეცვლის. ასევე ახალი მწვრთნელი ეყოლება გროზნოს „ტერეკსაც" — წარსულში ცნობილ ჰოლანდიელ ფეხბურთელს **რუუდ გულიტს** სამწვრთნელო ასპარეზზე ინგლისის მსგავსად, რუსეთშიც ხელი მოეცარა...

**გია ტუხაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ცსკა | 12 | 7 | 4 | 1 | 24-9 | 25 |
| 2. ზენიტი | 13 | 6 | 5 | 2 | 23-12 | 23 |
| 3. ლოკომოტივი | 13 | 6 | 4 | 3 | 22-13 | 22 |
| 4. ანჟი | 13 | 6 | 4 | 3 | 12-11 | 22 |
| 5. რუბინი | 13 | 5 | 6 | 2 | 18-10 | 21 |
| 6. ყუბანი | 13 | 6 | 3 | 4 | 15-12 | 21 |
| 7. დინამო | 13 | 5 | 5 | 3 | 16-17 | 20 |
| 8. სპარტაკი | 13 | 5 | 3 | 5 | 12-15 | 18 |
| 9. კრასნოდარი | 13 | 4 | 5 | 4 | 15-17 | 17 |
| 10. ტომი | 13 | 3 | 6 | 4 | 14-19 | 15 |
| 11. ამკარი | 13 | 4 | 3 | 6 | 11-17 | 15 |
| 12. ვოლგა | 12 | 4 | 1 | 7 | 14-13 | 13 |
| 13. როსტოვი | 13 | 3 | 3 | 7 | 15-21 | 12 |
| 14. ტერეკი | 13 | 3 | 3 | 7 | 9-17 | 12 |
| 15. კრილია | 13 | 2 | 5 | 6 | 8-17 | 11 |
| 16. ნალჩიკი | 13 | 1 | 6 | 6 | 11-19 | 9 |

**მომდევნო ტური**

**18 ივნისი:** დინამო-ტომი, ამკარი-ანჟი, ტერეკი-კრილია, ვოლგა-ზენიტი, ყუბანი-კრასნოდარი, სპარტაკი (მ)-ლოკომოტივი, როსტოვი-რუბინი, სპარტაკი (ნ)-ცსკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი. სატრანსფერო სიახლეები




არტურო ვიდალს გული ბაიერნისკენ მიუწევს

ლევერკუზენის ჩილელ ნახევარმცველ არტურო ვიდალს მოთმინების ფიალა აევსო და „ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში პირდაპირ თქვა, მიუნხენის „ბაიერნში“ გადასვლა მინდა, თანაც ახლავე და აუცილებლადო. რეკორდმაისტერს 24 წლის ვიდალის ყიდვა რომ უნდა, ამაზე არაერთხელ დაგვიწერია. მკითხველი ინფორმირებულია იმის შესახებაც, რომ ლევერკუზენელებს არაფრით არ სურთ გასული სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშის კონკურენტისთვის დათმობა და ურჩევნიათ, ვიდალი „ნაპოლის“ მიჰყიდონ, რომელიც მზადაა, ჩილელში 12 მილიონი ევრო გადაიხადოს.

თუმცა ახლა ხმა თვითონ ფეხბურთელმა აიმაღლა და „ბაიერნში“ გაშვებას უკვე კატეგორიულად ითხოვს. *„ბაიერნმა“ ლევერკუზენს ჩემი ყიდვის სურვილით ოფიციალურად მიმართა. არ დაგიმალავთ: ძალიან მინდა, რომ მხარეები სატრანსფერო თანხაზე შეთანხმდნენ,“* - აცხადებს „ბილდთან“ საუბრისას ვიდალი, რომელიც ახლა ნაკრებთან ერთად „კოპა ამერიკისთვის“ ემზადება.

## ლევერკუზენის შეფები ჯიუტობენ

ჩვენი გერმანელი კოლეგების ინფორმაციით, „ბაიერნმა“ „ლევერკუზენს“ ვიდალის სანაცვლოდ 10 მილიონი ევრო შესთავაზა, რაც „ნაპოლის“ წინადადებაზე ორი მილიონით ნაკლებია. თუმცა ამ შემთხვევაში მნიშვნელოვან როლს თავად მოთამაშის სურვილი თამაშობს, რომელიც ღიად საუბრობს იმის შესახებ, რომ ნეაპოლს მიუნხენი ურჩევნია. თუმცა „ლევერკუზენის“ ხელმძღვანელებს 10 მილიონი ძალიან ეცოტავებათ და არ მალავენ, რომ ვიდალის სანაცვლოდ მინიმუმ 14 მილიონი ევრო სურთ. თანაც, „ფარმაცევტებმა“ სატრანსფერო თანხის გარკვეული ნაწილი, ძველი შეთანხმების საფუძველზე, ვიდალის ყოფილ კლუბს, „კოლო კოლოს“ უნდა გადაურიცხონ. ეს უკანასკნელი არტუროს სატრანსფერო უფლებების 30-პროცენტიან პაკეტს ფლობს.

გარდა სატრანსფერო თანხისა, ლევერკუზენელებს არ უნდათ, რომ წამყვანი ფეხბურთელი, რომელმაც გასულ სეზონში 10 გოლი გაიტანა და 9 საგოლე პასი გააკეთა, უშუალო კონკურენტს დაუთმონ. „ფარმაცევტების“ ხელმძღვანელები პირდაპირ ამბობენ, „ბაიერნს“ ვიდალს მხოლოდ იმ შემთხვევაში მივყიდით, თუ მიუნხენელები ბევრ ფულს გადაიხდიანო.

*„არტურო ვიდალის სიტუაცია არ შეცვლილა. მიუნხენელთა წინადადება არ არის ისეთი, რომ დაგვასუსტოს და ტრანსფერისთვის მწვანე შუქი აგვანთებინოს,“* - ამბობს „ლევერკუზენის“ სპორტული დირექტორი **რუდი ფიოლერი**.

*„არსებობს ზღვარი, რომლის იქითაც ჩვენ უკვე ველარ ვივაჭრებთ და აუცილებლად დავთანხმდებით, მაგრამ ამ ზღვრამდე ჯერ კიდევ მილიონებია,“* - ეს კი მენეჯერ **ვოლფგანგ ჰოლცჰოიზერის** სიტყვებია. ჩვენი გერმანელი კოლეგები ვარაუდობენ, რომ ეს ზღვარი 14 მილიონი ევროა.

## ვიდალი გაისად უფასო იქნება

თვითონ ფეხბურთელი „ბარსელონაში“ თამაშზე ოცნებობს, მაგრამ კატალონიური გრანდი მისი შეძენით დაინტერესებული არ არის. ამიტომაცაა, რომ ჩილელი ნახევარმცველი პრიორიტეტს „ბაიერნს“ ანიჭებს, „ნაპოლი“ კი არ აინტერესებს. *„რაკი „ბაიერნში“ გადასვლის შანსი გამიჩნდა, მისი ხელიდან გაშვება დიდი შეცდომა იქნება. მიუნხენური კლუბი ყველა მოთამაშისთვის საოცნებო ნავსაყუდელია. თანაც, „ბაიერნს“ ჩემი საყვარელი სპეციალისტი, იუპ ჰაინკესი ჩაუდგა სათავეში. მის ხელში თავს ისე ვგრძნობ, როგორც თევზი წყალში,* - ამბობს ვიდალი და იქვე დასძენს, - *იმედია, გამიშვებენ. არ მესმის, რატომ არ უნდა გამიშვან. რა სარგებელს ნახავს „ლევერკუზენი“ იმ შემთხვევაში, თუ არ გამყიდის? მე ახალ კონტრაქტს არ გავაფორმებ, გაისად კი წასვლა უფასოდ შემეძლება, რადგან ხელშეკრულებას ვადა ეწურება და „ლევერკუზენი“ ჩემი ტრანსფერით ფინანსურ ხეირს ველარ ნახავს.“*

როგორც ხედავთ, არტურო ვიდალი „ლევერკუზენის“ ხელმძღვანელებს ულტიმატუმს უყენებს. საქმეს კი ისეთი პირი უჩანს, რომ ყველაფერი ისე იქნება, როგორც არტუროს და მიუნხენის „ბაიერნს“ უნდათ – მთავარია, რეკორდმაისტერმა ჯიბეზე ხელი უფრო მაგრად გაიკრას და „ლევერკუზენისთვის“ შეთავაზებულ 10 მილიონს მინიმუმ 3-4 მილიონიც წაამატოს.

## ბოატენგის ტრანსფერი იწელება

როგორც იცით, „ბაიერნი“ დაცვის გაძლიერებასაც ცდილობს და მიუნხენში გადასვლის უპირველესი კანდიდატი „მანჩესტერ სიტისა“ და გერმანიის ნაკრების 22 წლის მცველი **ჟერომ ბოატენგია**. სიახლე ის არის, რომ ბავარიელები ჟერომს უკვე ყველაფერზე შეუთანხმდნენ, რაც თვითონ ფეხბურთელმა დაადასტურა. „ბაიერნსა“ და „მანჩესტერ სიტის“ შორის შეთანხმება კი ვერ ხერხდება, რადგან ინგლისელებს ჟერომი იაფად არ ეთმობათ. ბოატენგს „სიტისთან“ კონტრაქტი 2015 წლამდე აქვს გაფორმებული, „ბაიერნი“ მზადაა, მასში 12.5 მილიონი ევრო გადაიხადოს, მანჩესტერელები კი 20 მილიონს ითხოვენ.

## ალექსი ბოატენგის ნაცვლად?

შეთავაზებულ და მოთხოვნილ თანხას შორის კი სხვაობა იმდენად დიდია, რომ ექსპერტები ტრანსფერის ჩაშლას ვარაუდობენ. ბავარიელებმა არაერთხელ აღნიშნეს, რომ ჟერომ ბოატენგში ფანტასტიკურ თანხას არ გადაიხდიან – მათ მიაჩნიათ, რომ ბოატენგი 12.5 მილიონზე მეტად არ ფასობს. უახლესი ინფორმაციით, თუ ამ დღეებში „სიტისთან“ შეთანხმება ვერ მოხერხდება, ბავარიელები მიზანს ლონდონის „ჩელსის“ ცენტრალური მცველისკენ, 28 წლის **ალექსისკენ** მიმართავენ. ეს უკანასკნელი კი 15 მილიონი ევრო ღირს.

შალკე

# რაული: კარიერას ბოლომდე შალკეში

გონსალეს ბლანკო ფეხბურთს კიდევ მინიმუმ ერთი წელი ითამაშებს



რაული შალკედან წასვლას არ აპირებს

„შალკეს“ ვეტერანი ესპანელი გოლეადორი **რაული** სხვა კლუბში გადასვლას გამორიცხავს და ამბობს, რომ კარიერას აუცილებლად გელზენკირხენულ კლუბში დაასრულებს. დიდი შანსია, რომ მომავალი სეზონი რაულის კარიერაში უკანასკნელი გამოდგეს – გონსალეს ბლანკოს **ლევან ყენიას** კლუბთან კონტრაქტი სწორედ ერთი წლის შემდეგ უმთავრდება. რაულის მრჩეველმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს დაუდასტურა: *„არსებობს მხოლოდ ორი ვარიანტი. რაული ან მომავალი სეზონის ბოლოს დაასრულებს კარიერას, ანაც „შალკესთან“ ახალ კონტრაქტს გააფორმებს და გელზენკირხენში დარჩება!“*

*„ფაქტი ერთია: აქტიურ სპორტულ კარიერას „შალკეში“ დავასრულებ. ჯერ არ ვიცი, როდის ჩამოვკიდებ ბუცებს ლურსმანზე. შესაძლოა, ეს გაისად მოხდეს და გამორიცხული არც ისაა, რომ „შალკეში“ კიდევ ერთი წლით დავრჩე. გადაწყვეტილებას სეზონის მსვლელობისას მივიღებ. მინდა, შევხედო, რამდენად გამომყვება სხეული, რამდენად შევძლებ მაღალ დონეზე თამაშს,“* - ეს კი თავად რაულის სიტყვებია, რომელმაც „შალკეს“ ფორმით 51 ოფიციალურ მატჩში 19 გოლი გაიტანა და გარდა იმისა, რომ გელზენკირხენულ კლუბთან ერთად ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში ითამაშა, გერმანიის თასიც მოიგო.

შარშან, სანამ რაული „შალკეში“ გადავიდოდა, მას „მანჩესტერ იუნაიტედში“ ეპატიჟებოდნენ, მაგრამ გელზენკირხენელთა მაშინდელმა მწვრთნელმა **ფელიქს მაგათმა** 33 წლის ესპანელი დაარწმუნა, რომ მისთვის „შალკეში“ გადასვლა ჯობდა. რაული გელზენკირხენში სწორედ მაგათმა ჩაიყვანა და მიუხედავად იმისა, რომ დღეს ფელიქსი „შალკეში“ აღარ მუშაობს, ესპანელი გელზენკირხენში რჩება.

## წამსვლელთა გრძელი სია

რაული რჩება, სხვები კი მიდიან: ფელიქს მაგათმა „შალკეს“ ახალ მენეჯერ **ჰორსტ ჰელდტს** საკმაოდ დიდი შემადგენლობა დაუტოვა, გელზენკირხენელთა ახალ თავკაც **რალფ რანგნიკს** კი ამდენი ფეხბურთელი არ სჭირდება. ამ ეტაპზე „შალკე“ უკვე დატოვა ექვსმა ფეხბურთელმა, გუნდს ჰყავს სამი ახალწვეული, ოთხი ფეხბურთელი კი განათხოვრებული იყო და ოთხივე დაბრუნდა. რანგნიკის განკარგულებაში დღეს სულ 33 ფეხბურთელია, „პროფესორ რალფს“ კი განაცხადში 25-ზე მეტი მოთამაშე არ სჭირდება. შესაბამისად, რანგნიკი არაერთი ფეხბურთელის გაყიდვას აპირებს.

გასხვისების მთავარი კანდიდატები არიან: 29 წლის საყრდენი ნახევარმცველი **ჯერმეინ ჯონსი**, რომელიც „ბლექბერნში“ იყო განათხოვრებული, 24 წლის გამთამაშებელი **ხოსე მანუელ ხურადო** და 24 წლის ნახევარმცველი **ალექსანდერ ბაუმიოჰანი**. ჯონსის ხელფასი წელიწადში 4 მილიონ ევროს შეადგენს, რაც, რანგნიკის აზრით, მეტისმეტია, 13 მილიონად ნაყიდმა ხურადომ იმედები კი გაამართლა, მაგრამ არა ისე, რომ ასეთ ფასს შეესაბამებოდეს, ბაუმიოჰანის იმედი კი რანგნიკს საერთოდ აღარ აქვს.

ამ ფეხბურთელებთან ერთად, „შალკე“ სიამოვნებით შეელევა 30 წლის **ნიკოლა პლესტანს**, 22 წლის **ლუკას შმიტცს**, რომელსაც „ვერდერში“ ეპატიჟებიან, 21 წლის **კრისტოფ მორიტცს**, 24 წლის **ენტონი ანანს**, 24 წლის **ხუნმინ ჰაოსა** და 29 წლის ბრაზილიელ თავდამსხმელ **ედუს**. გარდა იმისა, რომ რანგნიკს ამდენი ფეხბურთელი არ ეპიტნავება, „შალკემ“ სახელფასო ფონდიც მნიშვნელოვნად უნდა შეამციროს, რაც ამჟამად წელიწადში 70 მილიონ ევროს შეადგენს. რაკი გუნდმა ჩემპიონთა ლიგის საგზური ვერ მოიპოვა, გელზენკირხენელები ვალდებულები არიან, ეკონომიაზე იფიქრონ

ბუნდესლიგა. სეზონის შეჯამება: საშუალო ასაკი

# შეუჩერებელი დორტმუნდელი ბავშვები

## ჰამბურგი კი ტრადიციას არ ღალატობს...

დასრულდა თუ არა სეზონი, „კიკერმა“ ბუნდესლიგა 2010/2011-ის სტატისტიკისა და შედეგების შეჯამება დაიწყო და ტრადიციული ბალანსიც გამოაქვეყნა, თუმცა აქამდე თქვენი ყურადღება სეზონის შემაჯამებელ ციფრებსა და ანალიზებზე არ გაგვიმახვილებია, რადგან სასაუბრო და განსახილველი სხვაც ბევრი იყო. ახლა კი, როცა შედარებით „მკვდარი სეზონია“ და სატრანსფერო ორომტრიალიც არ გახურებულა ისე, როგორც ეს ივლის-აგვისტოშია ხოლმე, თამამად შეგვიძლია, დრო და ადგილი ამა თუ იმ საინტერესო ფაქტებს დავუთმოთ.

დღეს რუბრიკის მთავარი თემა გუნდების მიხედვით იმ ფეხბურთელების საშუალო ასაკია, რომლებმაც გასულ სეზონში გერმანიის ჩემპიონატში იასპარეზეს.

მთელი სეზონის განმავლობაში არაერთხელ მოგვიხდა იმის აღნიშვნა, რომ დორტმუნდის „ბორუსიას“ უაღრესად ახალგაზრდული გუნდი ჰყავდა. მიუხედავად იმისა, რომ **იურგენ კლოპის** შეგირდების აბსოლუტური უმრავლესობა ძალიან გამოუცდელი იყო, BVB-მ მთელი საფეხბურთო ევროპა გააოცა ბრწყინვალე ფეხბურთით და გერმანიის ჩემპიონი გახდა. გუნდის საშუალო ასაკი კი 24.22 წელი იყო.



დორტმუნდელი ბავშვები: მარიო გიოტცე, სვენ ბენდერი, შინჯი კაგავა და კევინ გროსკროიტცი

18 წლის **მარიო გიოტცემ**, 22 წლის **კევინ გროსკროიტცმა** და სხვებმა გამოცდილების არქონის კომპენსირება უდიდესი მონდომებისა და ნიჭის ხარჯზე მოახერხეს. თუმცა, გაგიკვირდებათ და „დორტმუნდს“ ამ სეზონში ყველაზე ახალგაზრდული გუნდი მაინც არ ჰყოლია – ამ მხრივ პირველი „ჰოფენჰაიმი“ იყო (საშუალო ასაკი 24.01 წელი). „ჰოფენჰაიმთან“ და „დორტმუნდთან“ ერთად, საკმაოდ ახალგაზრდული კოლექტივით იასპარეზა „შტუტგარტმაც“ (25.28 წელი).

ყველაზე ასაკოვანი გუნდი კი ტრადიციულად „ჰამბურგს“ ჰყავდა. HSV-ს საშუალო ასაკმა 27.89 წელს მიაღწია. ასეთივე „ბებრული გუნდი“ ჰყავდა ჰამბურგის მეორე კლუბსაც, „ზანკტ პაულის“ (27.05 წელი), რომელმაც ბოლო ადგილი დაიკავა და მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითდა. არც მიუნხენის „ბაიერნს“ ჰყოლია ახალგაზრდული გუნდი – რეკორდმაისტერი ბოლოდან მესამე ადგილზეა (საშუალო ასაკი 26.92 წელი). ამ სტატისტიკიდან გამომდინარე, გასაკვირი სულაც არ არის ის, რომ ყველაზე ასაკოვანი ფეხბურთელები სწორედ ჰამბურგში თამაშობდნენ: 37 წლის მეკარე **ფრანკ როსტი** და 36 წლის ნახევარმცველი **ზე რობერტო**.

**გუნდების საშუალო ასაკი**

| გუნდი | საშ. ასაკი |
|---|---|
| 1. ჰოფენჰაიმი | 24.01 |
| 2. ბორუსია (დ) | 24.27 |
| 3. შტუტგარტი | 25.28 |
| 4. ნიურნბერგი | 25.29 |
| 5. შალკე | 25.42 |
| 6. კაიზერსლაუტერნი | 25.43 |
| 7. ლევერკუზენი | 25.65 |
| 8. ფრაიბურგი | 26.00 |
| 9. ბორუსია (მ) | 26.18 |
| 10. მაინცი | 26.19 |
| 11. ჰანოვერი | 26.24 |
| 12. კიოლნი | 26.25 |
| 13. ვერდერი | 26.44 |
| 14. აინტრახტი | 26.51 |
| 15. ვოლფსბურგი | 26.75 |
| 16. ბაიერნი | 26.92 |
| 17. ზანკტ პაული | 27.05 |
| 18. ჰამბურგი | 27.89 |

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პალერმო

# ხავიერ პასტორე ტრანსფერზე დააყენეს

## ფასი: 50 მილიონი ევრო

**ალექსის სანჩესთან** ერთად, **ხავიერ პასტორეა** ის ფეხბურთელი, რომლის შესახებაც იტალიურ სპორტულ პრესაში ყველაზე ხშირად წერენ. ეს ბუნებრივიც არის, რადგან ორივე ახალგაზრდა ფეხბურთელია, დიდი შესაძლებლობებით და ისეთ გუნდებში თანამშობენ, ფაქტია, რომ ადრე თუ გვიან სხვაგან გადასვლა მოუწევთ. სანჩესზე სხვა დროს ვისაუბროთ, დღეს კი პასტორეზე უნდა გავამახვილოთ თქვენი ყურადღება. ამის საფუძველი ნამდვილად გვაქვს, რადგან "პალერმოს" პრეზიდენტი, როგორც იქნა, ჩამოყალიბდა თუ რას უპირებს 21 წლის უნიჭიერეს პლეიმეიქერს. მოვუსმინოთ **მაურიციო ძამპარინის**:



ხავიერ პასტორე

"არაერთხელ მაქვს ნათქვამი, რომ პასტორე ხელშეუხებელია, მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული და დიდია შანსი, ხავიერმა ამ ზაფხულს დაგვტოვოს. ჩემი აზრით, თანამედროვეობის ყველაზე ნიჭიერი ფეხბურთელია და ნამდვილად იმსახურებს მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდში ასპარეზობას. გამომდინარე აქედან, უკვე დავაყენეთ ტრანსფერზე და მოლაპარაკების პროცესშიც ვართ ჩაბმული. ძირითადად უცხოური კლუბები აქტიურობენ და ეს არ მიკვირს, რადგან პასტორეს ფასი 50 მილიონი ევროა. ასეთ თანხას სერია A-ს ვერც ერთი გუნდი ვერ გადაიხდის, ამაში თითქმის დარწმუნებული ვარ. გული კი მწყდება, რომ ასეთ ნიჭიერ ფეხბურთელს იტალიის დატოვება მოუწევს, მაგრამ სხვა გზა, უბრალოდ არ გვაქვს – პასტორეს დონის ფეხბურთელის 20 და 25 მილიონ ევროდ გასხვისება დიდი სისულელე იქნება".

"გაძეტა დელო სპორტის" ვარაუდით, პასტორეს გადაბირებით ყველაზე მეტად ლონდონის "ჩელსი" და "მანჩესტერ სიტი" არიან დაინტერესებულნი. პრინციპში, ასეთი ვარაუდის გაკეთება ძალიან იოლია, რადგან კოლოსალურ თანხებს ფეხბურთელებში სწორედ "არისტოკრატები" და "ქალაქელები" იხდიან. ჯერჯერობით, ინგლისური კლუბების მესვეურებს პოზიცია არ დაუფიქსირებიათ, თუმცა არც ეს არის დიდად გასაკვირი, რადგან იტალიელებისგან განსხვავებით ბრიტანელებს წინასწარ ლაპარაკი არ უყვართ.

ამასობაში, "პალერმომ" არგენტინელი მცველი **მაურო სეტო** დაიმატა, რომელიც ბოლო ათი წლის განმავლობაში საფრანგეთის პრემიერდივიზიონში ასპარეზობდა. ბოლო სეზონი სეტომ "ტულუზაში' გაატარა და თითქოს უნდა გაეგრძელებინა კონტრაქტი გუნდთან, თუმცა სწორედ ამ დროს მიიღო შეთავაზება იტალიიდან და თავისუფალი აგენტის სტატუსით სიცილიაში ჩავიდა. 29 წლის არგენტინელმა სამწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რის შემდეგაც ჟურნალისტებს გაესაუბრა:

"საფრანგეთში დაუვიწყარი წლები გავატარე, თუმცა ყოველთვის მსურდა, რომ ევროპის რომელიმე ტოპ ლიგაში მომესინჯა ძალები. ასეთი შესაძლებლობა "პალერმომ" მომცა და ბუნებრივია, რომ დიდხანს არ მიფიქრია, ისე დავთანხმდი წინადადებას. ამბიციურ გუნდში მოვხვდი, რომელიც ევროპის ლიგაზე იასპარეზებს და გამომდინარე აქედან, ენთუზიაზმით ვარ აღსავსე. ერთი სული მაქვს, როდის დაიწყება ახალი სეზონი და როდის მოვირგებ "პალერმოს" მაისურს".

ტრანსფერი



მარიო ალბერტო სანტანა

# ნაპოლიმ კიდევ ერთი არგენტინელი

"ფიორენტინას" პრეზიდენტი **ანდრეა დელა ვალე** გულშემატკივრებს ჰპირდება, რომ ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში გუნდს აუცილებლად გააძლიერებს. თუმცა, ჯერჯერობით მსგავსი არაფერი ხდება და პირიქით, "ვიოლას" ფეხბურთელები ტოვებენ. ბოლო ინფორმაციით, ფლორენციული კლუბის მესვეურებმა ვერაფრით გამონახეს საერთო ენა **მარიო ალბერტო სანტანასთან**, ვერ გაუხანგრძლივეს ხელშეკრულება, რომელსაც პირველ ივლისს გასდის ვადა და შესაბამისად, მასთან განშორება მოუწევთ. 29 წლის არგენტინელი შემტევი "ნაპოლიში" გადადის, ამას ფეხბურთელის პირადი აგენტი, **მარკო პიჩიოლი** ადასტურებს:

"ჩემს კლიენტს ჰქონდა იმის სურვილი, რომ "ფიორენტინასთან" ხელშეკრულება გაეგრძელებინა, მაგრამ პირობებზე ვერ შევთანხმდით. ამიტომ, გავწყვიტეთ ყველანაირი ურთიერთობა და ახალი კლუბის ძიებას შევუდექით. საბედნიეროდ, ბევრმა გამოხატა ინტერესი, რომელთა შორის ყველაზე კარგი უდავოდ "ნაპოლის" ვარიანტი გახლავთ. ნეაპოლელებმა სამწლიანი ხელშეკრულება შემოგვთავაზეს, რომელსაც ივლისის პირველ რიცხვებში მოვაწერთ ხელს. თვითონ სანტანა ძალიან კმაყოფილია მოვლენათა ასეთი განვითარებით, რადგან ვალტერ მაძარის ამბიციური გუნდი ჰყავს, რომელიც მომდევნო სეზონში ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში იასპარეზებს. ამასთან, ახალ გუნდში არაერთი თანამემამულე დახვდება, რაც ადაპტაციის პროცესს გაუადვილებს".

ინტერი

# მორატიმ ბიელსა გამორიცხა

## და სნეიდერი დაარიგა

**მასიმო მორატიმ** კატეგორიულად უარყო ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს **მარსელო ბიელსასთან** გამართა მოლაპარაკებები და მასთან ხელშეკრულების გაფორმებას აპირებს. ასეთი ცნობა „გაძეტა დელო სპორტმა" გაავრცელა და იტალიური საფეხბურთო საზოგადოება ძალიან გააკვირვა, რადგან ყველამ იცის, რომ მორატი **ლეონარდოს** სრულ მხარდაჭერას უცხადებს. მორატის კომენტარი ზემოთქმულის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა:

„ბიელსა? - საიდან მოიტანეთ? - მისი „ინტერის" მთავარ მწვრთნელად დანიშვნა აზრადაც კი არ მომსვლია და რა მოლაპარაკებებზეა საუბარი? - ლეონარდო იდეალური მწვრთნელია „ნერაძურისთვის" და მასთან ხელშეკრულების გაწყვეტას ნამდვილად არ ვაპირებ. ლეოს რამდენიმე დღის წინ ველაპარაკე, ძალიან კარგი გეგმები აქვს და დარწმუნებული ვარ, რომ ერთად ბევრ წარმატებას მივაღწევთ".

მორატის 27 წლის **ვესლი სნეიდერის** განცხადებაზეც სთხოვეს კომენტარის გაკეთება - ჰოლანდიელის თქმით, ჯერ კიდევ არ იცის, სად გააგრძელებს კარიერას: „ვესლი ბრწყინვალე ფეხბურთელია და მისი სხვაგან გაშვების არავითარი სურვილი არ გვაქვს. მისი თქმით, ძალიან უყვარს „ინტერი", თუმცა არ იცის, სად გააგრძელებს კარიერას. სიმართლე გითხრათ, ამ სიტყვებმა გული დამწყვიტა, რადგან სულ რაღაც ორიოდე კვირის წინ, ჩემთან საუბარში კარიერის „ნერაძურიში"'დასრულების სურვილი გამოხატა. როგორც ჩანს, ბოლო დღეებში მაცდური წინადადება მიიღო და თავგზა აებნა. დიდი იმედი მაქვს, რომ სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს და იქ გააგრძელებს კარიერას, სადაც მას ყველაზე მეტად აფასებენ".

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

რომა

# ბორიელო რომაში რჩება

## ლუის ენრიკე: ბურთზე კონტროლს დავაწესებთ

დღე არ გავა, რომ იტალიურ სპორტულ პრესაში "რომას" შესახებ, ანუ ამ გუნდში არსებულ ვითარებაზე ვრცელი სტატია არ გამოქვეყნდეს. "ჯალოროსის" ახალი მფლობელი, ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს და ასეთი ინტერესიც სწორედ აქედან გამომდინარეობს. არაერთ ფეხბურთელზე ითქვა, რომ უახლოეს პერიოდში შესაძლოა "რომაში" ამოყონ თავი და ანალოგიურად ბევრიც გაუშვეს ტრიგორიადან. თუმცა, ხშირად ასეთი ცნობები არ მართლდება და სწორედ ასე მოხდა 28 წლის **მარკო ბორიელოს** შემთხვევაში. რამდენიმე დღის წინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მარკო პრაქტიკულად გადაიყვანეს "ნაპოლიში" და ამ გუნდთან სამწლიანი ხელშეკრულებაც გააფორმებინეს, თუმცა ეს ყველაფერი სიცრუე აღმოჩნდა. მოვუსმინოთ "რომას" სპორტულ დირექტორ **ვალტერ საბატინის** და ამაში ყველანი დავრწმუნდებით:

"ბორიელო იტალიის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია და მასთან განშორება აზრადაც არ მოგვსვლია. "ნაპოლისგან" არავითარი შეთავაზება არ მიგვიღია და თუ მართლა გეგმავენ ნეაპოლელები რაიმე მსგავსს, მინდა გავაფრთხილო ისინი, რომ დროს ტყუილად დაკარგავენ. მომდევნო სეზონში უმაღლესი მიზნებისთვის ვაპირებთ ბრძოლას და ბორიელოს კლასის ფეხბურთელი ნამდვილად გამოგვადგება. რაც მთავარია, თავად მარკოს სურს ტრიგორიაზე დარჩენა და ამის შესახებ პირად საუბარში განმიცხადა".

სანამ საწვრთნელი პროცესი განახლდება, **ლუის ენრიკე** ჟურნალისტებთან ურთიერთობით ირთობს თავს – ერთ-ერთ საფეხბურთო თოქშოუში მიიღო მონაწილეობა და რამდენიმე საინტერესო კითხვას გასცა პასუხი. საყოველთაოდ ცნობილი ამბავია, რომ "ბარსელონას" აბსოლუტურად ყველა ასაკობრივი გუნდი ერთი ტაქტიკით თამაშობს, ეს სქემა კი 4-3-3-ია – შესაბამისად, ჟურნალისტის ერთ-ერთი კითხვა ასეთი იყო: "თქვენი "რომა" სამი შემტევით ითამაშებს, ვის მოიაზრებთ გარემარბებად და ცენტრფორვარდად?" – აქვე, ესპანელის პასუხი:

"რატომღაც ყველა დარწმუნებულია, რომ ჩემი „რომა" 4-3-3 ტაქტიკით იასპარეზებს, თუმცა არა მგონია, რომ ასე მსჯელობა სწორი იყოს. ტაქტიკაზე ჩაციკვლა არამართებულია, მთავარია ჩვენ სწორი სტრატეგია გვქონდეს და კარგად გამოვიყენოთ ის ფეხბურთელები, რომლებიც გვეყოლება. ერთს კი ნამდვილად შემიძლია დაგპირდეთ – "რომა" ბურთზე დააწესებს კონტროლს და ითამაშებს პირველი ნომრიდან, როგორც ამას "ბარსელონა" აკეთებს. ეს იოლი არ იქნება, მაგრამ საკუთარ თავში რომ დარწმუნებული არ ვიყო, იტალიაში არც ჩამოვიდოდი".



მარკო ბორიელო

საირმეს დაბადება 40 წლის შემდეგ

განახლებული კურორტი საირმე!

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, მიმდინარე წლის ივლისში განახლებული კურორტი საირმე უკვე პირველ დამსვენებლებს მიიღებს. სამკურნალო, მინერალური და თერმული წყლებით მდიდარი საბადოები, წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყეები, მთის კლიმატი – ეს ყველაფერი ერთად გვხვდება ბალნეოლოგიურ კურორტ საირმეში, რაც მას მთელ ევროპაში გამოარჩევს და უნიკალურს ხდის.

3-ვარსკვლავიანი სასტუმრო, რომელიც მსოფლიო სტანდარტებს პასუხობს სასტუმრო კომფორტული ნომრებით- ყველა ნომერში არის ტელეფონი, საკაბელო ტელევიზია, სწრაფი ინტერნეტი და სრული საყოფაცხოვრებო კომფორტი, თანამედროვე ავეჯით.

**ბუნებრივი თერმული წყლების კურორტი უდაბნო - ევროპული სტანდარტების სპა ცენტრი.**

უფრო მეტს, საირმის განახლებული კომპლექსის შესახებ ვებგვერდის:
www.sairme.com.ge
შეიტყობთ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სპორტი

● ცხოვრების ჯანსაღი წესი

# ინიციატივა ფართოვდება

საქართველოს პირველი ლედის ინიციატივამ ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის, საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია. ამიერიდან პროცესში ჩვენი ქვეყნის სპორტული სამყაროც ჩაერთვება. გაეროს ბავშვთა ფონდის ეგიდით ამ თანამშრომლობის დაწყებას მიეძღვნა გუშინ ფონდის ოფისში პროექტის პრეზენტაცია და შეხვედრა სპორტული ფედერაციების ხელმძღვანელებთან. ინიციატივის პრიორიტეტული საკითხებია: ჯანსაღი კვება; ფიზიკური აქტივობა, ქალთა და ბავშვთა ჯანმრთელობა; გარემოს დაცვა; საგზაო უსაფრთხოება. შემუშავდება კონკრეტული ღონისძიებები, რომლის მიმართულებები თავიანთ გამოსვლებში ჩამოაყალიბეს მოწვეულმა სპეციალისტებმა.

პროექტის ხელმძღვანელია **ეკა ლალიაშვილი.**

შეხვედრას ესწრებოდნენ და პროექტისადმი მხარდაჭერა გამოხატეს საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ **გიორგი ასანიძემ** და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა **ირაკლი სამყურაშვილმა.**

**თენგიზ თომაშვილი**

● ჭადრაკი

# რუბიკონი გადალახეს

ქუთაისში 20 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობაზე (მთავარი მსაჯი **ალეკო არსენიძე**) გუშინ მე-6 ტურის შედეგებმა გათამაშების ცხრილში საგრძნობი ცვლილებები შეიტანა, განსაკუთრებით გოგონებში. აქ პირველი ტურიდანვე დიდოსტატი **ქეთი წანალაშვილი** მეწინავეობდა, მაგრამ ზედიზედ ორი ყაიმი საკმარისი გახდა საიმისოდ, რომ ლიდერს მეტოქეები წამოწეოდნენ. წანალაშვილი გუშინ შავი ფიგურებით **სალომე ხაჟომიას** დაუზავდა, აი, **მერი არაბიძემ** და **ანა შამათავამ** კი, შესაბამისად, **სოფო ხუციძე** და **თეკლა ფარჯიანი** დაამარცხეს და წანალაშვილთან ერთად 4-4 ქულით პირველ-მესამე ადგილებს იყოფენ. მე-5 ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ადა ქაქუთია-მარიამ ჭოლაძე 1:0, დეა ჩაკვეტაძე-მარიამ მჟავია 1:0, ანა თედოშვილი-მარიამ წულაია 0,5:0,5, ხატია კიკვიძე-თათია კოხრეიძე 0:1. ხუთი ტურის შემდეგ სატურნირო მდგომარეობა: წანალაშვილი, არაბიძე, შამათავა-4-4, ხაჟომია-3,5, ქაქუთია-3, ხუციძე-2,5, კოხრეიძე, ჭოლაძე, წულაია, ფარჯიანი-2-2, მჟავია, თედოშვილი-1,5-1,5, კიკვიძე-0,5 ქულა. მე-6 ტურში მეტოქეები ასე დაწყვილდნენ: წანალაშვილი-შამათავა, ჩაკვეტაძე-არაბიძე, ქაქუთია-ხაჟომია, ხუციძე-კოხრეიძე, ჭოლაძე-წულაია, კიკვიძე-ფარჯიანი, მჟავია-თედოშვილი.



ვაჟებში 4,5 ქულით ერთპიროვნულად დაწინაურდა **დავით ბენიძე,** რომელმაც თეთრი ფიგურებით **ნინო ხომერიკს** სძლია. **დავით ლომსაძემ** თეთრი ფიგურებით დათმო პარტია **ირაკლი ჯანიაშვილთან.** ამ უკანასკნელმა 4 ქულით მეორე ადგილზე გადაინაცვლა. ტურის დანარჩენი ორთაბრძოლები: ტატო ქორჩაკიძე-მამუკა ქორჩაკიძე 0,5:0,5, ნოე თუთისანი-ბექა ახალაძე 0:1, არჩილ სვანიძე-მერაბ ცომაია 0:1, ლევან ნემსაძე-ლეონტი ხუბუნაია 0:1, ნიკოლოზ ბერძენაძე-გიორგი სიბაშვილი 0:1, გიორგი ცხადაძე-ირაკლი შარიქაძე 1:0, ისვენებდა დათო კაპანაძე.

მე-6 ტურში ითამაშებენ: ახალაძე (3)-ბენიძე (4,5), ჯანიაშვილი (4)-ტ. ქორჩაკიძე (3), ხუბუნაია (3)-ლომსაძე (3,5), მ. ქორჩაკიძე (3)-ხომერიკი (3), ცომაია (3)-სიბაშვილი (2,5), სვანიძე (2)-თუთისანი (2), კაპანაძე (2)-ცხადაძე (2). ბერძენაძე (1,5)-ნემსაძე (1,5). ისვენებს შარიქაძე (1,5).

პირველობის დამთავრებამდე 4 ტური დარჩა.

**ვაჟა დანელია**

● ძიუდო. ოლიმპიური რეიტინგი



# რეიტინგი ჩვენი მღელვარებისა

### ტურნირების ნაცვლად შეკრებაზე

ვიდრე ქართულმა ძიუდომ მსოფლიოს პირველობისთვის სპეციფიკურად მოსამზადებლად ტაიმ-აუტი აიღო, ამასობაში მსოფლიოს ძიუდო თავისი გზით მიდის და ზედიზედ მართავს სალიცენზიო შეჯიბრებებს. მოგეხსენებათ, ჩვენი ნაკრების ავსტრიელმა თავკაცმა **პეტერ ზაიზენბახერმა** ამ რანგის ტურნირებში გამოსვლაზე უარი თქვა და სანაცვლოდ შეგირდები იაპონიაში მიჰყავს ხუთკვირიან შეკრებაზე. ამ მიზეზით ჩვენებმა უკვე გამოტოვეს ტალინში გამართული მსოფლიოს თასი, ხოლო მომდევნო უქმეებზე ასევე გამოაკლდებიან ბრაზილიაში ზედიზედ გასამართ შეჯიბრებებს - რიო დე ჟანეიროს „დიდ მუზარადსა“ და სან პაულუს მსოფლიოს თასს. დაგვეთანხმებით, ამ ფონზე კიდევ უფრო საინტერესოა სალიცენზიო რეიტინგში შექმნილი მდგომარეობა, ქართველთა პოზიციები სადღეისოდ...

### სარეიტინგო აბრაკადაბრა

მსოფლიოს რეიტინგში ყველაზე დამაიმედებელი ვითარება ჯერჯერობით კვლავაც 60 კილოგრამში გვაქვს, სადაც ბაქოსა და როტერდამის „დიდი პრიზების“ მომგები **ამირან პაპინაშვილი** მეექვსეა 748 ქულით, თუმცა ოლიმპიურ რეიტინგში მეხუთე პოზიციაზეა - ხუთეულში ორი რუსი შედის და რადგანაც ოლიმპიადაზე ქვეყნიდან წონაში მხოლოდ ერთი კაცის გამოყვანაა შესაძლებელი, ოლიმპიურ რეიტინგში მარტო ერთი მათგანის შედეგი შედის. ერთ საფეხურით უკან დაიხია ევროპის ვიცე-ჩემპიონმა და ახლახან რუმინეთის მსოფლიოს თასის მომგებმა **ბეთქილ შუკვანმა** - 360 ქულით 23-ეა, ოლიმპიურ რეიტინგში კი მე-17, რადგან მის წინაც არიან ერთი და იმავე ქვეყნის წარმომადგენლები. მსოფლიოს რეიტინგში 125 ქულით ჯერჯერობით 25-ეა **დავით ასუმბანი**, თუმცა მან უკვე შეიცვალა წონითი კატეგორია და 66-ში გადავიდა. აქედან გამომდინარე, რეალურად თუ ვიმსჯელებთ, 60-ში საგზურის მოპოვების ორი კანდიდატი გვყავს, რომლებსაც საამისოდ საკმაოდ მყარი საფუძველი გააჩნიათ. საკითხავი მხოლოდ ისაა, რომელს მისცემენ ლონდონში გამოსვლის უფლებას? სალიცენზიო ქულებს კონკრეტული სპორტსმენი კი აგროვებს, მაგრამ საგზური მაინც ფედერაციის კუთვნილებაა და არა ამ ათლეტის. ამიტომ მწვრთნელთა გადასაწყვეტია, ვინ წავა ოლიმპიადაზე. მართალია, ისინი ამ უფლებას ძირითადად ისევ ქულების მომპოვებელს აძლევენ, მაგრამ ზოგჯერ გამონაკლისებიც ხდება, რისი მომსწრენიც ჩვენც გავხდით პეკინის ოლიმპიადაზე. ვფიქრობთ, ამ კონკრეტულ - შუკვან-პაპინაშვილის შემთხვევაში გადამწყვეტი ის იქნება, ვინ უფრო უკეთეს ფორმაში შეხვდება მომავალ ზაფხულს, ჯერჯერობით კი მთავარი და ყველაზე სასიამოვნო ისაა, რომ ორივე დაახლოებით თანაბარი დონის და, რაც მთავარია, მაღალი მიზნებისთვის მებრძოლი ფალავანია. რაც შეეხება ოლიმპიურ რეიტინგს ამ წონაში, პირველ ადგილზე უზბეკი მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **დიშოდ სობიროვია** - 2370 ქულა. მეორეზე ჩვენი უკრაინელი თანამემამულე, მსოფლიოს შარშანწინდელი და ევროპის წლევანდელი ჩემპიონი, პლანეტის შარშანდელი პირველობის ფინალში სობიროვთან დამარცხებული **გიორგი ზანთარაიაა** 1224 ქულით. მესამეზე იაპონელი მსოფლიოს პრიზიორი და აზიის ჩემპიონი **ჰიროაკი ჰიროაკაა** (1000).

ყველაზე მეტად ქულები 66 კილოგრამში გვიჭირს. აქ ჩვენგან საუკეთესო **შალვა ქარდავა** 196 ქულით მე-40 ადგილზეა. რაც უნდა გამოვაკლოთ მის წინ მდგომი ერთი ქვეყნის გაორებული წარმომადგენლები, აშკარაა - სალიცენზიო ჩათვლაში სანუკვარ 22-ეულს მაინც ბევრი აშორებს. ვნახოთ, რას შეგვმატებს ამ წონაში ასუმბანის გადმოსვლა. აქ მსოფლიოს რეიტინგს 1478 ქულით დამაჯერებლად ლიდერობს მონღოლი მსოფლიოს ჩემპიონი **ჩაგანბაატარ ხაშბაატარი.** მეორეზე რუსთა ყაბარდოელი ევროპის პრიზიორი **ალიმ გადანოვია** 1340-ით, მესამეზე - იაპონელი მსოფლიოს ჩემპიონი **ჯუნპეი მორიშიტა** 1280-ით.

მსოფლიოს რეიტინგში ბოლო ტურნირების შემდეგ **ნუგზარ ტატალაშვილი** (73) 236 ქულით უკვე 32-ე ადგილზე გადავარდა, მაგრამ სალიცენზიო რეიტინგში ზუსტად 22-ეა. ამ წონაში 176 ქულით 44-ეა **ამბაკო ავალიანი,** რეიტინგს კი 1524-ქულიანი კორეელი ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი, ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი **კი ჩუნ ვანგი** ლიდერობს. მეორეზე ბელგიელი ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს პრიზიორი **დიკ ვან ტიხელტია** 1010-ით, მესამე - ჰოლანდიელი ევროპისა და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **დექს ელმონტი** 988-ით.

ლიცენზიის მოპოვების შანსს 81-შიც ორი ქართველი ინარჩუნებს - **ლევან ნიკლაური** მსოფლიოს რეიტინგში 360 ქულით 24-ეა, ოლიმპიურში – მე-17. **ავთანდილ ჭრიკიშვილმა** რუმინეთში მოპოვებული გამარჯვებისთვის 100 ქულა მიიღო, 284 დაუგროვდა და ჯერჯერობით 35-ეა, თუმცა ვიმედოვნებთ, მისი კრიზისი დასრულდა და სამომავლოდ კვლავაც შეიმატებს ქულათა მარაგს. ამ წონაში რეიტინგს 1760-იანი კორეელი **ჯაე-ბუმ კიმი** ლიდერობს, რომელიც ჩინებულად ასპარეზობს - მოიგო მსოფლიოსა და აზიის პირველობები, საფრანგეთის „დიდი მუზარადი“ და რამდენიმე ავტორიტეტული საერთაშორისო შეჯიბრება. 1300 ქულით მეორეა ბრაზილიელი ორგზის ოლიმპიური პრიზიორი და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი (შარშან სწორედ კორეელთან წააგო ფინალი ტოკიოში) **ლეანდრო გილეირო,** მესამე - 882-იანი რუსი ევროპისა და მსოფლიოს ექსჩემპიონი **ივან ნიფონტოვი.**

» მე-11 გვერდზე




# ექვსი ჩვენებურით იასპარეზებს

გუშინ სომხურ ჯერმუკში საზეიმოდ გაიხსნა კარენ ასრიანის მე-4 საერთაშორისო მემორიალი, რომელშიც შვეიცარიული სისტემით 9 ტურად სხვადასხვა ქვეყნის 70 მოჭადრაკე იასპარეზებს, მათ შორის - 21 დიდოსტატი. ტურნირის საპრიზო ფონდია 15 ათასი ამერიკული დოლარი. გამარჯვებული 3000 დოლარს მიიღებს, მეორე-მეხუთე ადგილებზე გასულნი, შესაბამისად, 2000, 1500, 1200 და 1000 დოლარს. ქალებისთვის (12 მონაწილე) სამი ფულადი ჯილდოა დაწესებული - 800, 500 და 200 დოლარი. შეჯიბრებაში ჩვენებურთაგან პრიზებისთვის იბრძოლებენ: **კონსტანტინე შანავა, დავით მალალაშვილი, შოთა აზალაძე, ნინო ბაციაშვილი, ბაჩანა მორჩიაშვილი და სოფიო გვეტაძე.**

დღეს პირველი ტურის პარტიები გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

● იუბილარი

# მრავალმხრივ გამორჩეული

## ცნობილ ქართველ ტანმოვარჯიშეს, სპორტის ოსტატს გურამ ბანძელაძეს 70 წელი შეუსრულდა

გურამ ბანძელაძე დაიბადა ქუთაისში 1941 წლის 15 ივნისს. მისი, როგორც მოქალაქისა და მაღალი დონის ტანმოვარჯიშის აღზრდაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ქუთაისელ მწვრთნელებს: ელდარ დათიაშვილს, შოთა ჩაჩხიანს და იაშა თავდიდიშვილს, ხოლო თბილისში - მწვრთნელს ოთარ იროდიონის ძე ქორქიას.

ბატონი გურამი იყო 1960 წლის საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონი. იმავე წელს მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე, ქალაქ ბაქოში კი ცალკეულ იარაღებზე: ღერძზე, რგოლებზე და თავისუფალ ვარჯიშში დაიკავა მეორე და მესამე საპრიზო ადგილები. საქართველოს სპორტული დელეგაციის საბჭომ — ტრავმირებული ხელის მტევანით, ამოვარდნილი თითებით და ღია ჭრილობით შეჯიბრების გაგრძელებისა და მისი ბოლომდე მიყვანის გამო, იგი სპარტაკიადის „გმირ“ სპორტსმენად გამოაცხადა.

შემდგომში გახდა საქართველოსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის სპორტსაზოგადოების „ქარიშხალას“ ნაკრების გუნდის წევრი და ცალკეულ იარაღებზე მრავალგზის ჩემპიონი. განსაკუთრებით ძლიერი იყო ღერძზე ვარჯიშში. იყო ნოვატორი სპორტსმენი. მან მსოფლიოში პირველმა შეასრულა ღერძზე „ჩინური“ და „იტალიური“ ალმატრიალებიდან 360-გრადუსიანი ბრუნი, ხოლო მეორემ (მოსკოველი ტანმოვარჯიშის ს. ილინიხის შემდეგ), ჩამოხტომი „ორმაგი მალაყი კეცით“ (ორივე ილეთი ითვლებოდა ურთულეს და უმაღლესი კლასის ილეთად). მას მრავალგზის მიუღია ამ იარაღებზე უმაღლესი შეფასება 10 ქულა, როგორც საქართველოში გამართულ შეჯიბრებებში, ისე საკავშირო ჩემპიონატებში. ქალაქ გომელში, სპორტსაზოგადოება „ქარიშხალას“ საკავშირო პირველობაზე, მისმა ღერძზე შესრულებულმა ვარჯიშმა, ვეტერანი სპორტის დამსახურებული ოსტატის, ღერძზე ვარჯიშში საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონის ი. სტოლბოვის განცვიფრებაც კი გამოიწვია და მან, როგორც ამ იარაღზე მთავარმა და ყველა დანარჩენმა მსაჯმა, შესრულებული ვარჯიში შეაფასა უმაღლესი 10 ქულით.

ხალხთა VI საკავშირო სპარტაკიადაზე გურამ ბანძელაძემ იასპარეზა ფინალში და სხვა ტიტულოვან სპორტსმენ ტანმოვარჯიშეებთან ერთად ღერძზე ვარჯიშში დაიკავა საპატიო IV ადგილი.

მიუხედავად სოლიდური ასაკისა, იგი დღესაც მხნედ და ახალგაზრდულად გამოიყურება. მუშაობს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ გენერალურ ინსპექციაში. ჰყავს მეუღლე, სიძე, ქალიშვილი და ორი წარმატებული და ერთმანეთზე უკეთესი შვილიშვილი.

ვუსურვოთ ბატონ გურამს დიდხანს სიცოცხლე და ჯანმრთელობა, მის ლამაზ ოჯახთან ერთად.

**მეგობრების ჯგუფი** ®

« მე-10 გვერდიდან

90-ში სალიცენზიო 22-კაციან სიაში ერთადერთი მონაწილე გვყავს, მაგრამ მყარი პოზიციით - **ვალერი ლიპარტელიანი**, ცოტა არ იყოს და, საბედისწერო ციფრით, 666-ით მეცხრეა. ოლონდ ეს მსოფლიოს რეიტინგში, სადაც მას სხვებთან ერთად ორი იაპონელიც უსწრებს ანუ სალიცენზიოში მერვეა. სამწუხაროდ, აქ ამ ერთის გარდა, სხვა დამაიმედებელი წერტილი არც გვაქვს. ჩვენებიდან რეიტინგში მეორე **ზვიად გოგოჭურია**, რომელიც 146 ქულით 48-ე ადგილზეა. თუმცა ის რუმინეთში რომ არ წაეყვანათ, ესეც არ იქნებოდა. რატომღაც ამ ბიჭს აქამდე თავის გამოჩენის შანსს ლამის არ აძლევდნენ, რუმინეთში კი ენდნენ და ბრწყინვალედაც იასპარეზა, მოიგო ტურნირი. მოარული ხმებით, ამით მან მსოფლიოზე წასვლაც გაინაღდა. ყოველ შემთხვევაში, ვიმედოვნებთ, შეჯიბრებებში უფრო ხშირად გამოსცდიან და ისიც ისევ მოიპოვებს ქულებს.

ამ წონით კატეგორიას 1416 ქულით დამაჯერებლად ლიდერობს ჩვენი გაბერძნებული თანამემამულე **ილიას ილიადისი (ჯარჯი ზვიადაური)**. რაც მან წელის ტრავმა მოირჩინა, იმდენად კარგ ფორმაშია, ღმერთმა დაიფაროს და ოლიმპიადამდე მისი შემჩერებელი ისევ ტრავმა თუ ჩანს, თორემ მეტოქეები ტატამზე ვერაფერს უხერხებენ. შესაბამისად ჯარჯიც ტრიუმფით იგებს ყველაფერს, სადაც კი გამოდის - ევროპის ჩემპიონატი იქნება, მსოფლიოსი, „დიდი მუზარადის" თუ სხვა რანგის შეჯიბრება. 1306-ით მეორეა იაპონელი მსოფლიოს პრიზიორი **ტაკაში ონო**, რომელიც საერთაშორისო ტურნირებს კარგად ჭიდაობს, მაგრამ პირველხარისხოვან შეჯიბრებებში (ოლიმპიადა, მსოფლიოსა და კონტინენტური პირველობები) ამ ერთი მედლის მეტი ვერაფერი მოიგო. სალიცენზიო რეიტინგში 1238-ით მესამეა რუსი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი **კირილ დენისოვი**.

100 კილოგრამში 516 ქულით მსოფლიოს რეიტინგში მე-18 **ლომერ ჟორჟოლიანი**, სალიცენზიოში კი მე-15 საფეხურზეა. 31-ეა მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ირაკლი ცირეკიძე** (304 ქულა), თუმცა სპორტში მისი დარჩენის საკითხი ჯერაც კითხვის ნიშნის ქვეშაა. აქ რეიტინგს 1536 ქულით იაპონელი მსოფლიოს ჩემპიონი **ტაკამასა ანაი** ლიდერობს, 1224-ით მეორეა ჰოლანდიელი ორგზის მსოფლიოს ვერცხლის მედალოსანი და ოლიმპიური პრიზიორი **ჰენკ ხროლი**, მესამეზე მყოფ ყაზახ მსოფლიოს ჩემპიონს **მაქსიმ რაკოვს** კი 1084 ქულა დაუგროვდა.

მძიმე წონაში უკვე ჩვენგან საუკეთესო **ზვიად ხანჯალიაშვილია** - 25-ე ადგილი 324 ქულით, თუმცა სალიცენზიო ჩათვლაში ის მე-19 ადგილზეა. მან **ადამ ოქრუაშვილს** ბუქარესტში მოპოვებული ვერცხლით გადაუსწრო, ოქრუაშვილი კი 254 ქულით 31-ეა. მას უკვე დაუმთავრდა დისკვალიფიკაცია და მომავალში სალიცენზიო ტურნირებშიც ჩაერთვება.

## ქართული პრობლემა მსოფლიოს ჭრილში

აი, ასეთია სადღეისოდ არსებული ვითარება, თუმცა თავის დამშვიდების უფლება ჯერჯერობით არც ერთ წონაში არ გვაქვს. იქაც კი, სადაც მოწინავე პოზიციებზე ვიმყოფებით. აქ პრობლემაა ლიცენზიების განაწილების წესის ერთი თავისებურება - უკვე ლიცენზირებული ძიუდოისტი რომ დაგიშავდეს, მისი შეცვლა მხოლოდ 22-ში მოხვედრილი ფალავანით შეგიძლია, თორემ ადრინდელივით ყველას უკვე ველარ გადასცემ საგზურს. სადღეისოდ არსებული მდგომარეობაც ნებისმიერი შეჯიბრების შემდეგ შეიძლება გაუარესდეს. თავის მხრივ, გაუმჯობესებაც ასევე ყოველი ასპარეზობის შემდეგაა მოსალოდნელი, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ მსოფლიომდე ჩვენები სალიცენზიო ტურნირებში აღარ გამოვლენ. ესეც ცოტა საჭოჭმანო გადაწყვეტილებაა - ავსტრიელი აქცენტს მსოფლიოს პირველობაზე კარგად გამოსვლაზე აკეთებს. ერთი შეხედვით, ეს სავსებით გასაგებია - მედლები თავისთავად, მაგრამ მსოფლიოზე მეხუთეზეც რომ გახვიდე, 100 ქულას მაინც მიიღებ ანუ იმდენივეს, რამდენსაც მსოფლიოს თასის მოგებისთვის. საკმაოდ მაღალია შეფასება 1/16-ფინალში გასვლისთვისაც - 60 ქულა, ამ დროს კი, მაგალითად, ევროპის ჩემპიონატზე მესამე ადგილი 72-ს იძლევა. ზოგადად, მსოფლიოს პირველობა ერთ-ერთი ყველაზე მაღალქულიანი შეჯიბრებაა, მაგრამ ერთბაშად რამდენიმე მედლის დაგეგმვა ცოტა გადამეტებული სითამამე ხომ არაა? ცხადია, არ ვიქნებით წინააღმდეგნი, ასეც თუ მოხდება, მაგრამ ისე არ დაგვემართოს, მედლების ძებნაში ლიცენზიებიც ხელიდან გაგვიფრინდეს. შედარებით სუსტ შეჯიბრებებში ქულების მოპოვება ხომ ბევრად იოლია, რასაც აკეთებენ კიდეც სხვები. მართალია, ამ რანგის შეჯიბრებები მსოფლიოს მერეც ბლომად გაიმართება, მაგრამ იქ უფრო მეტი დატვირთვა იქნება, ვიდრე - ახლაა, რადგან ყველა, ვისაც კი ულიცენზიოდ დარჩენის შანსი დაემუქრება, აუცილებლად იასპარეზებს. თან ადრევე განაღდებას ის დადებითი მხარეც აქვს, რომ მერე ოლიმპიადისთვის მშვიდად მოემზადები. თუმცა ზაიზენბახერის ამგვარ ჩანაფიქრსაც აქვს არსებობის უფლება, ჩვენ კი უფრო საყურადღებოდ ქართული ძიუდოს ის პრობლემა მიგვაჩნია, რაც მწვრთნელის ამ გადაწყვეტილების მიღმა იმალება - მე არ ვიცი, როგორ ვარჯიშობენ ნაკრების ის კანდიდატები, რომლებსაც ტურნირებზე წასვლისას აქ ვტოვებო, განაცხადა მან. სამწუხაროა, რომ მართლაც არაა ისეთი სისტემა შექმნილი, როცა ყველა დარბაზი, ყველა სექცია ერთიანი გეგმით ივარჯიშებს. მაშინ ეს პრობლემაც აღარ იქნება და ნაკრებშიც ყველა დაახლოებით თანაბრად მომზადებული მივა. შედეგად, არც მწვრთნელს დასჭირდება თითოეული შეგირდისთვის კუდში დევნა. არც იმის შეეშინდება, ვინმე თვალს თუ მიეფარება, ვაითუ, აღარ ივარჯიშოსო. სამწუხაროა, რომ მუშაობის ქართული მოდელი ნაკრების მთავარ და შეგირდთა პირად მწვრთნელებს შორის ასეთ კოორდინირებულ თანამშრომლობას არ ითვალისწინებს, რაც სხვა სახეობებზეც ვრცელდება და არა მხოლოდ ძიუდოზე.

**ირაკლი თავაძე**



ლომერ ჟორჟოლიანი (მარჯვნივ)

# თავგადასავლები

# საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი, ვეტერანი ფალავანი ჯუმბერ დავლიანიძე

**ბატონი ჯუმბერი იმ კატეგორიის პიროვნებაა, რომელსაც მსოფლიო იცნობს, ამიტომ გვერდს ავუვლი მისი ტიტულების ჩამოთვლას და ამ უაღრესად უკეთილშობილესი კაცის მოგონებებს პირდაპირ, შეულამაზებლად ვთავაზობ „ლელოს" მრავალრიცხოვან მკითხველს**

## ნორმაა, ნორმა!

ყველასათვის ცნობილია, რომ ქალები მამაკაცებს ტოლს არაფერში უდებენ. არც ჭიდაობაა გამონაკლისი.

ერთხელ, ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატზე თავისუფალ ჭიდაობაში ანონვებს ვხელმძღვანელობდი.

გამოცხადებულ დროს სამ ელექტრონულ სასწორზე დავიწყეთ მუშაობა. მონაწილე, რომელიც აბარებს დადგენილ ნორმას, კენჭისყრით ირჩევს თავის ნომერს. ჰოდა, ერთ სასწორზე მიმიხმეს, სუსტი სქესის წარმომადგენელს 100 გრამით მეტი აქვსო. ჭარბი წონაა აშკარად. ვეუბნები „ნოუ ნორმა, გოუ!" ის კი ჯიუტობს - არა, გინდა თუ არა, ნორმა ვარო. მე მაინც ვუმეორებ: „ნოუ ნორმა, ნოუ, გოუ!" არ დაგვეთანხმა და უცებ... ჩვენ თვალწინ შეიხსნა აზლუდი, გაიძრო ქვედა საცვალი და დედიშობილა არ ავიდა სასწორზე!

ამას ნამდვილად არ ველოდი და ავყვირდი: „ნორმა! ნორმა! ჩაიცვი! ჩაიცვი!"

დადგენილ ნორმამდე 100 გრამი აღმოაჩნდა „თადარიგში".

## რაო, რა გინდათ? „კნიაზი"?

მახსოვს, ერთხელ მოსკოვში, კურსკის ვაგზლიდან თბილისში ვბრუნდებოდით. კურსკის ვაგზლის ახლოს გასტრონომში შევიარეთ პროდუქტების შესაძენად. მოლარეს სალაროში ქვითრები გამოვარტყმევინე, თან თანმხლებ კოლეგას ვუთხარი: „მე სანამ სხვა რამეებს ვიყიდი, მიდი აი, იმ ქერათმიან გოგოსთან (სხვა გამყიდველზე ვანიშნე) და სამი „ბატონი" გამოართვი-მეთქი. ისიც ადგა და მივიდა: „დევუშკა, დავაი ტრი გასპადინ". გაოცებულმა გამყიდველმა ჩეკი გამოართვა.

- ჩტო? ჩტო ვი ტრებუიტე?

ამან იფიქრა სწორად ვერ ვუთარგმნეო და ცეცხლზე ნავთი დაასხა:

- ტაგდა... ტრი კნიაზა დავაი...

გამყიდველი ჩაბჟირდა. და რომ ავუხსენი სიამოვნებით შეგვიფუთა „ტრი ბატონჩიკი"... „ნუ შუტნიკი!"

## შენ რა გითხარი, ვაჭარო თურქო!

სტამბულში ვართ. ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობაში ევროპის პირველობა ტარდება. მსაჯებს ასეთი რამ შეგვემთხვა.

პროგრამით გათვალისწინებული შეხვედრების შემდეგ ავტობუსით ვბრუნდებით სასტუმროში. როცა ავტობუსიდან გადმოვედით, კარებში ჩანთებით დატვირთული თურქები დაგვხვდნენ. ისინი კოხტად შეფუთულ პარკებს სულ... სამ დოლარად გვთავაზობდნენ. თითოეულ მათგანში მსაჯის თეთრი მაისურა და ხუთი თეთრი წინდა უნდა ყოფილიყო. მათი გახსნის და ნახვის ნება არ დაგვრთეს იმ მიზეზით, რომ პოლიცია უთვალთვალებდათ. მოკლედ, სულ დავუცარიელეთ ჩანთები და სასტუმროს ვესტიბიულში შესვლისას გავხსენით ეს პაკეტები. ყველა მათგანში უხარისხო, დახეული და თვალწასული, „დეფექტიანი" საქონელი იდო.

სასწრაფოდ გამოვცვივდით გარეთ, მაგრამ რა დაგიკარგავს, რას ეძებ?

მოკლედ, საღამოს, გულის ჯავრზე მსაჯებმა ჭიქის მიჭახუნებით ერთმანეთს ვუსურვეთ, რომ მეტი დანაკლისით ღმერთს აღარ დავესაჯეთ.

## ფრთხილად ქართველებო - რადიაციაა!

ჩერნობილის ტრაგედია ახალი მომხდარია. მაშინდელმა სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობამ - „ნუ გეშინიათო", მსოფლიოს ყურადღების მისაქცევად ჩერნობილთან ახლოს დანიშნეს სსრკ თასის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში, თან გაგვაფრთხილეს, რომ ყველა უმაღლესი კატეგორიის მსაჯს უნდა მიეღო მონაწილეობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მსაჯებსაც და ფალავნებსაც გამოიყვანდნენ ნაკრების შემადგენლობიდან.

მოსკოვშივე გაგვაფრთხილეს, რომ გომელში ონკანის წყლით არ გვესარგებლა, ქალაქში ნაკლებად გვემოძრავა და მხაპიც კი... არ მიგვეღო. საშინელ დღეში ვართ. სერიოზულად გაგვაფრთხილეს, რომ შავი ღვინო მიგვეღო.

ჩვენც იოდიზირებული წყლით და შავი ღვინით (არ გვექნებოდა?) „შეიარაღებულები" ჩავედით გომელში.

მიუხედავად გამაფრთხილებელი კონსულტაციებისა, დარბაზში სულ მალე თავბრუსხვევა და გულისრევა დაგვეწყო, ყველას. რამდენიმე მონაწილე ასპარეზობასაც კი გამოეთიშა.

როგორც გაირკვა, დარბაზის შემინული მხრიდან რადიაცია გვასხივებდა. შემინულ მხარეს სქელი ფარდები ჩამოაფარეს და გვირჩიეს, ტანზე იოდის უჯრედები გაგვეკეთებინა და „ცოტაოდენი ალკოჰოლიც" მიგვეღო. ჰოდა, ჩვენც შეჯიბრება კარგად გვარიანად (ქართველების „ცოტა" იცით) შეჭუკჭუკებულებმა ჩავატარეთ. ქვემძიმე წონაში პირველი ადგილი „შეზარხოშებულმა" ლერი ხაბელოვმა აიღო.

ჩვენ კი ალბათ პირველები ვიყავით, რომ ასპარეზობის დროს „ქეიფის" უფლება მოგვცეს და დისკვალიფიკაციაზე არც არავის გავხსენებივართ. არა, კაცმა რომ თქვას, რაა ცუდი - რადიაციაში?



ჯუმბერ დავლიანიძე

## „როზი" ატ გრუზინა!"

პოლონეთის ქ. ლოძში ტრადიციული დიდი საერთაშორისო ტურნირი ტარდებოდა თავისუფალ ჭიდაობაში. ერთ-ერთ შეჯიბრებაზე საქართველოს მოჭიდავეთა დელეგაციას მე ვხელმძღვანელობდი.

მძიმე წონაში ჩვენი გუნდის ინტერესებს მსოფლიოს თასის მფლობელი და ევროპის ჩემპიონი ნოდარ მოდებაძე იცავდა.

ჩვენმა ფალავანმა თანმიმდევრობით დაამარცხა ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი, პოლონელი ა. სანდურსკი, უნგრელი ევროპის ჩემპიონი ი. ბალა; რუმინელი მსოფლიოს ჩემპიონი შიმონი და შეჯიბრების დამთავრებამდე ერთი დღით ადრე პირველი ადგილი გაინაღდა.

საღამოს სასტუმროში ვახშმობის შემდეგ მე და ნოდარი მასპინძლებმა ღამის „სტრიპტიზ ბარში" დაგვპატიჟეს.

შუაღამისას, მიმზიდველმა ქალბატონმა ურიკაზე დამაგრებულ-დამონტაჟებული ვარდებით სავსე კალათები შემოაგორეს.

ნოდარი გამარჯვებისგან გამოწვეულ ეიფორიაშია. სულ არ დაგიდევთ სადაა და სად ზის და თავის გამარჯვების აღსანიშნავად თითოეულ იქაურ ქალბატონს (ბარში ვინც იმყოფებოდა) თითო ვარდი „შეუძინა" „ოტ გრუზინსკავა ბარცა".

რაც ზლოტები და დოლარები ჰქონდა, პირწმინდად იქ დაატოვებინა „ურიკიანმა" ქალმა.

რალაც თანხა მეც დავუმატე, თორემ აშკარად „ვიწვებოდით", რადგანაც თურმე იქ თითო ვარდი ღამის ბარში, ქუჩასთან შედარებით 10-ჯერ ძვირი ღირდა.

ჩაშხამდა ის ჩემპიონობა.

რაც სახლიდან „საყიდლები" დააბარეს, სულ ვარდებში „დაიფშვნა". მეორე დღეს მეხვეწებოდა, „თბილისში ეს იალლიში არ წამოგცდეს, ვითომ ფული გზაში დამეკარგაო".

## სასიკვდილოა!!!

1975 წელია.

როგორც საერთაშორისო არბიტრები ჭიდაობაში, მე და ანზორ გვიმრაძე ამერიკის შეერთებულ შტატებში მიგვავლინეს ქ. სანტიაგოში.

აქ ერთდროულად ტარდებოდა ჩემპიონატი თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.

სასტუმროდ სამოთახიანი კოტეჯი შეგვირჩიეს. დაძინების წინ კედელზე დამაგრებულ რეგულატორს დავუწყე გასინჯვა. ვაი ამ გასინჯვას!..

შუაღამისას ტემპერატურამ 40 გრადუსს მიაღწია, მოკლედ - „ტაშკენტია" სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. თავი ორთქლის აბანოში გვგონია. ვარ ოფლის წურვაში.

- რა ქენი ბიჭო, რას მოკიდე ხელი? - მეკითხება უზომოდ შეწუხებული ანზორი. - ვუჩვენე ის, რის მიზეზითაც ასე გადავხურდით.

- ახლავე გადმოატრიალე უკან - იყო გასავათებული კაცის (ანზორის) ბრძანება.

ასეც მოვიქეცი.

15 წუთში ისეთი სიცივე დატრიალდა ნომერში, რომ კბილებიდან პლომბები გადმოგვცვივდებოდა, იღბლად - არ გვქონდა დაპლომბილი კბილი არც ერთს. ანზორმა რვეულის ფურცელზე ინგლისურად დაწერა - „არ მიეკაროთ, სასიკვდილოა!" და რეგულატორს მიაკრა.

## არ გეპატიებათ, არა!

1959 წელია. მოსკოვში ტარდება სსრკ II სპარტაკიადა. უძლიერესი ნაკრებით წარვსდექით.

ჩვენმა მოჭიდავეებმა შესაშური წარმატებით ჩაატარეს ჩემპიონატი.

სასტუმროში დაბრუნებულებს ავტობუსთან ერთ-ერთი ჩვენი მინისტრი შეგვხვდა:

- როგორ იასპარეზეს ბიჭებმა? - ეკითხება მწვრთნელ პეტრე იორდანიშვილს.

პეტრე მიხვდა, რომ მინისტრი ჭიდაობის გაგებაში არაა და მხოლოდ პირად ამბიციებს იკმაყოფილებდა „პაეზდკით!"

- შვიდი ჩვენ გავიტანეთ (ვითომ ფეხბურთი იყო) - ერთი მოწინააღმდეგემო - პეტრემ.

- რაო? - „აღშფოთდა" მინისტრი - ის ერთიც როგორ გაატანინეთ, მე თქვენ მოგივლით თბილისშიო... მალე გადააყენეს ის კაცი. ისე - ასეც უნდა მომხდარიყო - ლოგიკით.

**მურმან მერკვილიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სპორტი

**ცურვა**



ქართველები შამქორში

# 26 მედალი აზერბაიჯანიდან

შამქორში ჰეიდარ ალიევის ხსოვნისადმი მიძღვნილი აზერბაიჯანის ღია ჩემპიონატი გაიმართა ცურვაში. მედლებისთვის პაექრობაში 13 ქართველი სპორტსმენიც მონაწილეობდა (დელეგაციის ხელმძღვანელი **გიორგი აბზიანიძე**, მწვრთნელები - **მანანა თურქია** და **ნინო გოგინაშვილი**), რომლებმაც 26 მედალი მოიხვეჭეს, მათ შორის - 2 ოქროსი, 15 ვერცხლისა და 9 ბრინჯაოსი. ჩვენებურთაგან განსაკუთრებით გამოიჩინა თავი თბილისელმა **ლუკა კერვალიშვილმა.** 100 და 200 მეტრზე ბრასით ცურვაში იგი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა, ხოლო 50 მეტრზე მესამე ადგილით დაკმაყოფილდა. ცალკე აღნიშვნის ღირსია 11 წლის თბილისელი **ნატალია ჯაფარიძის** წარმატება. 4-5 წლით უფროსებთან პაექრობაში მან 3 ბრინჯაო (50, 100 და 200 მ გულაღმა ცურვა) დაიმსახურა.

არაერთხელ გვითქვამს, რომ საჩხერის რაიონის სოფელ ჭორვილაში 25-მეტრიანი აუზის გახსნით ამ კუთხეში ცურვა სპორტის პოპულარული სახეობა გახდა. და აი, იქაურებმა პირველი საერთაშორისო ჯილდოებიც დააჭაშნიკეს - **მარიამ ზუბიაშვილმა** შამქორში ერთი ვერცხლისა (50 მ ბრასი) და ორი ბრინჯაოს (100 და 200 მ ბრასი) მედალი მოიპოვა. ხუთი ვერცხლის მედალი (50 და 100 მ თავისუფალი ყაიდა, 50 და 100 მ ბატერფლაი, 100 მ კომბინირებული ცურვა) ჩაიტანა რუსთავში 12 წლის **თამთა გიგილაშვილმა.** მისმა თანაქალაქელმა **თეონა ბოსტაშვილმა** კი ორი მეორე (100 და 200 მ ბრასი) და ერთი მესამე (50 მ ბრასი) ადგილი დაიკავა. სხვადასხვა დისციპლინაში ხუთი ვერცხლი (50 და 100 მ გულაღმა ცურვა, 100 მ თავისუფალი ყაიდა, 50 მ ბრასი და 100 მ კომპლექსი) ერგო თბილისელ **ნიკოლოზ კოკელაძეს.** დანარჩენი ოთხი მედალი ჩვენი დელეგაციის სპორტულ ყულაბას რუსთაველმა **ირაკლი შავიძემ** (50 და 100 მ ბატერფლაი, II ადგილები), თბილისელებმა - **ილია პაპიძემ** (200 მ ბრასი, III ადგილი) და **ნიკოლოზ სიხარულიძემ** (200 მ გულაღმა ცურვა, III ადგილი) შესძინეს.

რამდენიმე დღეში საქართველოს მოცურავეთა ექვსკაციანი ნაკრები ალიტუსში გაემგზავრება და 28 ივნისიდან ლიტვის ღია ჩემპიონატში ჩაებმება.

**ვაჟა დანელია**

**ჩოგბურთი**

# სამი ქართველი მერვედფინალში




სტამბოლის საერთაშორისო ტურნირში (25 ათასი დოლარი) პირველ ნომრად განთესილმა **მაკა ჩახნაშვილმა** თურქ **ლუტფიე ესენს** იოლად მოუგო - 6:2, 6:1. **სოფიო ქვაცაბაიამ** რუს **მარინა შამაიკოსთან** წააგო - 1:6, 4:6. მერვედფინალში ჩახნაშვილი კიდევ ერთ თურქს ხვდება, „უაილდ ქარდით“ მიწვეულ **მელის სეზერს.** ხარკოვის საერთაშორისო ტურნირში (25 ათასი დოლარი) პირველ ნომრად განთესილმა **სოფიო შაფათავამ** უკრაინელ **ნადია კოლბს** მოუგო - 6:2, 6:3. მეორე წრეში სოფო ისევ მასპინძელს, **მარინა ზაკარლიუკს** შეხვდება. **ეკა გორგოძემ** მე-8 ნომრად განთესილ უზბეკ **ვლადა ეკიშბაროვას** მოუგო - 6:1, 6:4. მერვედფინალში ეკა უკრაინელ **ოლგა იანჩუკს** ეთამაშება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



## ქართული სპორტის ქრონიკები

ბიბლიოთეკა

### მსოფლიოს ჩემპიონები საქართველოდან

# ნუგზარ ასათიანი



დაიბადა 16. 07. 1937 წელს ქუთაისი. გარდაიცვალა 02. 04. 1992 წელს, თბილისი. ფარიკაობა, ხმალი. 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გუნდურ ასპარეზობაში და 1960 წლის რომის ოლიმპიური თამაშების მონაწილე (მეოთხედფინალი), მსოფლიოს ჩემპიონი გუნდურ შეჯიბრებაში (1965), ორგზის მეორე (1961, 63) და მესამე (1962) პრიზიორი, სტუდენტთა მსოფლიო თამაშების მეორე პრიზიორი (1961), სსრკ ჩემპიონი პირად (1961) და გუნდურ შეჯიბრებებში (1960, 62, 64), სსრკ თასის ოთხგზის მფლობელი (1960, 62, 66, 68). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი. ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერი (გარდაცვალების შემდეგ).

### იყო ასეთი შემთხვევა

# ნოუ სტანდარტ!

ბოლნისის გამგებლის მოადგილის მონაყოლი: ბოლნისის „სიონი“ ევროთასებზე რომ გავიდა და ახალი სტადიონი ავაშენეთ, სტადიონის სტანდარტების შესამოწმებლად უეფას წარმომადგენელი უნდა ჩამოსულიყო. დიდ საგონებელში ჩავვარდით, რადგან ვიცოდით, რომ მოედნის სიგრძე სტანდარტულზე მეტრანახევრით მოკლე იყო. ბევრი ვიფიქრეთ და ასეთი ეშმაკობა მოვიფიქრეთ: ვიყიდეთ 30 ცალი ორმეტრიანი რულეტი და ისე გადავაბით ერთმანეთს, რომ რულეტი ასე ორ მეტრას „იტყუებოდა“. მოკლედ, მთელი ერთი კვირა ვიწვალეთ იმ გიგანტური რულეტის გაკეთებაზე და დანიშნულ დღეს რის ვაი-ვაგლახით მივათრიეთ სტადიონზე. მოვიდა უეფას წარმომადგენელიც და ისეთი რამ გააკეთა, კინაღამ ინფარქტმა დაგვარტყა. დადგა ის უპატრონო კარის ხაზზე, ამოიღო ჯიბიდან რაღაც მობილურის მსგავსი, ერთი დააწკაპუნა და დაიძახა - ნოუ სტანდარტო. ასე რომ, სულ ოხრად დაგვრჩა ის გიგანტური რულეტკა. საბედნიეროდ, ბოლოს უეფამ მაინც დაუშვა გამონაკლისი და ბოლნისში თამაშის უფლება მოგვცა.

### პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** საქართველოს ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში ჩატარდა 1961 წლის იანვარში ბაკურიანში 7 გუნდის მონაწილეობით, ორ ჯგუფად. ადგილები ასე განაწილდა: 1. ახალქალაქი, 2. აჭარა, 3. ქუთაისი.

**პირველმა** ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში საქართველოდან იასპარეზა ბაკურიანელმა **კობა წაქაძემ.** საერთოდ, ტრამპლინიდან ხტომაში კობა წაქაძე ზამთრის ოთხი (1956, 1960, 1964, 1972) ოლიმპიადის მონაწილეა.

**პირველად** სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატში 1987 წელს გამოჩნდა გრანდიოზული ქვეყნის ყველაზე პატარა ქალაქის გუნდი და ეს იყო ლანჩხუთის „გურია“.

### ფოტომატიანე. 1935 წელი, 24 მაისი




### თარიღი

**16-22 ივნისი**

**16. 1991 წ.** დაფუძნდა საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაცია.

**16. 2007 წ.** ერთა თასის გათამაშების დასკვნით ტურში საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა იტალიის A გუნდს სძლია - 22:20.

**18. 1956 წ.** თბილისის „დინამომ“ საერთაშორისო ამხანაგურ მატჩში 3:1 დაამარცხა ეთიოპიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები.

**20. 1916 წ.** დაიბადა **გიორგი ვარძელაშვილი** - ბ/რ ჭიდაობა (მწვრთნელი). გარდაიცვალა 1988 წელს.

**21. 1950 წ.** დაიბადა **გოჩა მაჩაიძე** - ფეხბურთი.

**21. 1964 წ.** დაიბადა **ამირან ტოტიკაშვილი** - ძიუდო.

**21. 1964 წ.** დაიბადა **ალექსი დავითაშვილი** - ძიუდო, ქართული ჭიდაობა.

**22. 1962 წ.** დაიბადა **სერგო შალიბაშვილი** - წყალხტომა. ტრაგიკულად დაიღუპა ასპარეზობისას კანადაში 1983 წელს.

**22. 1976 წ.** იუნიორთა შორის ფეხბურთში **დავით ყიფიანი** და **ვლადიმერ გუცაევი** გახდნენ ევროპის ჩემპიონები.

**22. 1945 წ.** დაიბადა **ტარიელ ალიბეგაშვილი** - თავისუფალი ჭიდაობა. გარდაიცვალა 1991 წელს.

### თქვენთვის ერუდიტებო

**1. ვისი სახელით ასპარეზობს მშვილდოსნობაში ნატო ნასარიძე?**

ა — თურქეთის
ბ — გერმანიის
გ — საფრანგეთის

**2. რამდენ ფალავანს აქვს საქართველოდან თავისუფალ ჭიდაობაში მოპოვებული ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალი?**

ა — ოთხს
ბ — ხუთს
გ — ექვსს

**3. მორაგბეთა ეროვნულ ნაკრებში რა პოზიციაზე თამაშობს მალხაზ ურჯუკაშვილი?**

ა — შუამარბია
ბ — ფულბეკია
გ — მგეზავია

**4. დაასახელეთ ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ფალავანი საქართველოდან.**

ა — შოთა ჩოჩიშვილი
ბ — რომან რურუა
გ — ლევან თედიაშვილი

**5. რამდენი ათლეტი მონაწილეობდა 1984 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში საქართველოდან?**

ა — რვა
ბ — არც ერთი
გ — თამაშები არ ჩატარებულა

პასუხები: 1-ა, 2-გ, 3-ბ, 4-გ, 5-ბ

# კროსვორდი



**თარაზულად:** 3. საფარიკაო იარაღი. 5. მშვილდოსნობის ცენტრი აჭარაში, 6. ბარქაიას მეტსახელი, 9. ერთ-ერთი ნატურალიზებული ბრაზილიელი ქალის ქართული სახელი, 10. ცხენოსანი... 11. ზუგდიდის საფეხბურთო კლუბი, 14. ერთ დროს წნორის მქუხარე სახელის საფეხბურთო კლუბი, 15. იაპონური სპორტულ-ლოგიკური თამაში, 17. ალპინისტ ჯაფარიძეთაგან ერთ-ერთის სახელი, 18. სასჯელი სპორტულ შეჯიბრებაში, 19. საქართველოს სამბისტთა ეროვნული ნაკრების თავკაცი, 20. საჭადრაკო ფიგურა, 25. საფრანგეთში მოთამაშე თბილისელი ფრენბურთელი, 26. საქართველოს ყველა დროის საუკეთესო ბატუტისტი ქალი, 27. თბილისთან მდებარე ტბა, 31. ქართული ცხენოსნური თამაშობა, 32. ძალოსნობის ერთ-ერთი დისციპლინა, 33. თბილისის ბავშვთა საფეხბურთო სკოლა.

**შვეულად:** 1. სამაგიდო თამაში, 2. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია (შემოკლებით), 3. ორძელის ნაწილი, 4. სპორტის ზამთრის ერთ-ერთი სახეობის ინვენტარი, 5. მცხეთის ყოფილი საფეხბურთო კლუბი, 7. მძლეოსნობის სახეობა რამდენიმე დისციპლინით, 8. შეჯიბრებისას უპირატესობის მიცემა, 12. ვუნდერკინდი ქართველი ფეხბურთელი, 13. ტყიბულის საფეხბურთო გუნდი, 14. ცნობილი ქართველი ჩოგბურთელი ქალი, 16. სპორტში შესაძლებლობის გამოვლენის თვისება, 21. ტანვარჯიშული იარაღი, 22. ოლიმპიური ჩემპიონი ქართველი კალათბურთელი, 23. პრიზი, რომელიც ქართულ რაგბში თამაშდებოდა, 24. არბიტრი, 28. სპორტის თავგამოდებული ქომაგი, 29. ჩოგბურთის პარტია, 30. თბილისის ბავშვთა საფეხბურთო კლუბი და სტადიონი.

**შეადგინა თენგიზ თომაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები



## მამუკა გორგოძე საუკეთესო უცხოელია

საქართველოს ნაკრებისა და „მონპელიეს“ მესამეხაზელი **მამუკა გორგოძე** ყოველდღიურმა ფრანგულმა სპორტულმა გაზეთმა „ეკიპმა“საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო უცხოელ მორაგბედ აღიარა.

საფრანგეთში, სადაც მილეთის უამრავი ძლიერი მორაგბე ასპარეზობს, ეს მართლაც უდიდესი აღიარებაა. ქართველი მორაგბეებიდან აქამდე ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ჩემპიონატის ლაურეატი არავინ გამხდარა.

IRB-ს ერთა თასი

## არგენტინის A ნაკრებს მეორედ ვძლიეთ

| | |
|---|---|
| საქართველო | 14 |
| არგენტინა A | 13 |

**საქართველო:** (15-9) ურჯუკაშვილი, გუგავა, თოდუა, გიგაური, ჩხიკვაძე (ხამაშურიძე 60, ხმალაძე, ბეგაძე. (1-8) კაკოვინი (შველიძე 60), მამუკაშვილი (ა.გიორგაძე 60), ქუბრიაშვილი (კაკოვინი 75), ზედგინიძე (ვ.მაისურაძე 56), ნემსაძე, ს.მაისურაძე, კოლელიშვილი (ბერიშვილი 41), ბასილაია.
**ლ:** გუგავა. 3ს: ურჯუკაშვილი
**სინბინი:** ბეგაძე
**არგენტინა** (15-9) მირალესი, ლუნა (იგლესიასი 58), გომესი, ნანინი, აგულა, მადერო (ტუკულეტი 71), მენდესი (ლენდახო 62). (1-8) პიჩინინი, ბორდოი (გუიდონე 63), არაოზა (გომესი 46), შეირანო (არანგურენი 62), გუზმანი, პესამი, დე ლა ვეგა, აუალი.
**ლ:** აუალი. 2ს: მადერო. გ: ლენდახო
**მსაჯი:** პასკალ გუზერი (საფრანგეთი)

რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში მიმდინარე IRB-ის ერთა თასის გათამაშების მეორე ტურში საქართველოს ნაკრები არგენტინის A ნაკრებს დაუპირისპირდა და მინიმალური სხვაობით 14:13 მოიგო.

„ბორჯღალოსანთა“ შოტლანდიელმა თავკაცმა **რიჩი დიქსონმა** ამ მატჩისთვის გუნდის ძირითადი შემადგენლობა ძირფესვიანად შეცვალა. პირველ ტურში სამხრეთაფრიკელებთან მოასპარეზე გუნდიდან არგენტინელებს მატჩის პირველი წუთებიდანვე მხოლოდ ხუთი, **ვასილ კაკოვინი, ილია ზედგინიძე, ვიქტორ კოლელიშვილი, ლაშა ხმალაძე** და **ირაკლი ჩხიკვაძე** დაუპირისპირდა. ძირითადი შემადგენლობის დარჩენილ ათ მოთამაშეს პირველ მატჩში ან არ უთამაშია, ანაც შეხვედრაში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო.

ეროვნულ ნაკრებში, შეიძლება ითქვას, წარმატებული დებიუტი ჰქონდათ „ყოჩების“ მორაგბეებს, შერკინების კვაჭ **შალვა მამუკაშვილს** და ცხრა ნომერ **გიორგი ბეგაძეს.**

თამაში ჩვენმა მორაგბეებმა აქტიურად დაიწყეს და ანგარიშის გახსნის საშუალება უკვე მე-2 წუთზე შეეძლოთ. ფულბეკმა **ბექა ურჯუკაშვილმა** საჯარიმო ცენტრიდან, 50 მეტრიდან დაარტყა და ვერ გაიტანა. მორიგი, საკმაოდ კარგი იერიში „ბორჯღალოსნებს“ მე-7 წუთზე გამოუვიდათ, როცა მგეზავმა ლაშა ხმალაძემ მეტოქის ხაზი გაჭრა და გარემარბ ირაკლი ჩხიკვაძეს ბურთი ფეხით შეუცურა. ის მეტოქის ნადავლი შეიქნა, თუმცა ჩვენმა მორაგბეებმა არგენტინელთა ლელოდან ხუთ მეტრში შერკინების უფლება მოიპოვეს. სამწუხაროდ, შეტევის ლელოთი დაგვირგვინების საშუალება ვერ გამოვიყენეთ.

ანგარიში ქართველმა მორაგბეებმა მე-16 წუთზე გახსნეს. არგენტინელები საკმაოდ სახიფათოდ მოგვეძალნენ. ხელდახელ ბურთაობით ჩვენი გუნდის მოედნის ნახევარზე გადმოვიდნენ და როცა მარცხენა ფრთიდან ცდილობდნენ საქართველოს ნაკრების დაცვის გარღვევას, მგეზავი **ბენხამინ მადეროს** გადაცემა „ბორჯღალოსანთა“ გარემარბმა **ლექსო გუგავამ** ჩაჭრა და მეტოქის ლელომდე 60 მეტრი ირბინა. ბექა ურჯუკაშვილმა გარდასახვა ვერ გამოიყენა - 5:0.

არგენტინელებმა ანგარიში სხვაობა მალევე შეამცირეს, საჯარიმო მადეროს ანგარიშზეა - 3:5. 26-ე წუთზე საქართველოს ნაკრები კაცნაკლული დარჩა. ფრანგმა არბიტრმა რაკში ბინძური თამაშისთვის ცხრა ნომერი გიორგი ბეგაძე გაასინბინა. მიუხედავად ამისა, სამ წუთში ანგარიშის გაზრდა შევძელით. საჯარიმო ბექა ურჯუკაშვილმა გაიტანა - 8:3.

ტაიმის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე სამხრეთამერიკელებმა ანგარიში ორ ქულამდე შეამცირეს. საჯარიმო ისევ მადერომ მიითვალა - 6:8. ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

მეორე ნახევრის 30 წუთი საქართველოს ნაკრების უპირატესობით წარიმართა. ჩვენმა გუნდმა ეპიზოდებში შესანიშნავი, მაღალი დონის რაგბის ელემენტები უჩვენა, თუმცა, არაერთი მცდელობის მიუხედავად ლელოს გატანა ველარ მოახერხა. სამაგიეროდ, ბექა ურჯუკაშვილმა ორი საჯარიმო გაიტანა და ანგარიშში სხვაობა რვა ქულამდე გაზარდა - 14:6.

ამის შემდეგ არგენტინელები საგრძნობლად გააქტიურდნენ და ყველაფერი იღონეს საიმისოდ, რომ მატჩის ბედი სათავისოდ გადაეწყვიტათ. 70-ე წუთზე მათ ჩვეულ სტილში, ხელდახელ ბურთაობით ჩვენი დაცვის ხაზის გაჭრა შეძლეს და მესამეხაზელმა **ანტონიო აუალიმ** ლელო გაიტანა, **მარტინ ლენდახომ** გარდასახა.

არგენტინელებს მატჩის მოგებაც შეეძლოთ, თუმცა ლენდახომ საჯარიმო ვერ გამოიყენა და „ბორჯღალოსნებმა“ სასურველი ანგარიშის შენარჩუნება შეძლეს.

**IRB-ს ერთა თასი**

**II ტური**

| | |
|---|---|
| რუმინეთი-ს.აფ.კინგზი | 23:27 |
| ნამიბია-პორტუგალია | 29:23 |

**სატურნირო მდგომარეობა**

1. სამ.აფ. კინგზი - 8 ქულა, 2. ნამიბია - 5, 3. პორტუგალია - 5, 4. რუმინეთი - 5, 5. საქართველო - 4, 6. არგენტინა A - 2.

**19 ივნისი**

საქართველო-ნამიბია, პორტუგალია- სამ.აფ. კინგზი, რუმინეთი-არგენტინა A

მსოფლიოს ჩემპიონატი, U-20

## ოლ ბლექსი სულ გადაირია

იტალიის დედაქალაქ რომში მიმდინარე მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის მეორე ტური პირველზე გაცილებით საინტერესო და დაძაბული გამოდგა.

A ჯგუფის ლიდერმა და გათამაშების უმთავრესმა ფავორიტმა, ვარსკვლავებით მოჭედილმა ახალი ზელანდიის ნაკრებმა უელსელი თანატოლები დიდი ანგარიშით დაამარცხა - 92:0. უელსელებს მთელი თამაშის განმავლობაში ქულების მოპოვების შანსიც არ ჰქონიათ. „უმცროსმა ოლ ბლექსმა“, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო სარაგბო ქვეყნის, ახალი ზელანდიის ხვალინდელი დღეა, მეტოქეს 14 ლელო გაუტანა. აქედან სამი მესამეხაზელი **სემ კენის** ანგარიშზეა, ორიც შუამარბმა **ლიმა სოპოგამ** მიითვალა. მგეზავმა **გერეთ ანსკომბმა** კი თოთხმეტიდან თერთმეტი გარდასახვა გაიტანა.

ამავე ჯგუფში არგენტინის ნაკრებმა მასპინძელთა გუნდს 27:3 მოუგო.

საკმაოდ უხვლელოიანი გამოდგა B ჯგუფის ლიდერის ავსტრალიის ნაკრების დაპირისპირება ფიჯელ თანატოლებთან. „უმცროსმა ვოლაბებმა“ მეტოქე 50:25 დაამარცხეს. მათ კუნძულელებს რვა ლელო გაუტანეს. ფიჯის ნაკრებმა საპასუხოდ მხოლოდ სამი ლელო მიითვალა. თუმცა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კუნძულელებმა, მარცხის მიუხედავად ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს.

ავსტრალიელებს ჯგუფში კონკურენციას საფრანგეთის ნაკრები უწევს, რომელმაც ორი თამაშიდან ორივე მოიგო და „ფავორიტებს“ კვალში უდგას. ფრანგებმა მეორე ტურში ტონგას ნაკრები დაამარცხეს - 27:14. ბოლო, მესამე ტურში „უმცროსი ლე ბლე“ ავსტრალიელ თანატოლებს დაუპირისპირდება. სწორედ ამ შეხვედრაში გაირკვევა ჯგუფში საუკეთესოს ვინაობა.

საკმაოდ მწვავე ბრძოლა მიმდინარეობს პირველობისთვის C ჯგუფშიც. სამხრეთ აფრიკის ნაკრებმა, რომელიც ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტია, მეორე ტურში ირლანდიელ თანატოლებს 42:26 მოუგო. ორი ლელო „უმცროსი ბოკეს“ შემადგენლობიდან შუამარბმა **ფრანსუა ვენტერმა** გაიტანა.

სამხრეთაფრიკელთა მსგავსად, ორიდან ორი მოგება აქვს ინგლისის 20-წლამდელთა ნაკრებსაც, რომელმაც მეორე ტურში შოტლანდიის ახალგაზრდული გუნდი დაამარცხა - 39:18.

C ჯგუფის გამარჯვებულის ვინაობა ბოლო ტურში, სამხრეთ აფრიკისა და ინგლისის ნაკრებების დაპირისპირებაში გაირკვევა.

**მსოფლიოს ჩემპიონატი**

**II ტური**

**A ჯგუფი**

ახალი ზელანდია-უელსი 92:0, იტალია-არგენტინა 3:27

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ახალი ზელანდია - 10 ქულა, 2. უელსი - 5, 3. არგენტინა - 4, 4. იტალია - 0

**B ჯგუფი**

ავსტრალია-ფიჯი 50:25, საფრანგეთი-ტონგა 27:14

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ავსტრალია - 10 ქულა, 2. საფრანგეთი - 9, 3. ფიჯი - 0, 4. ტონგა - 0.

**C ჯგუფი**

ინგლისი-შოტლანდია 39:18, ირლანდია-სამხრეთ აფრიკა 26:42

**სატურნირო მდგომარეობა**

1.სამხრეთ აფრიკა - 10 ქულა, 2. ინგლისი - 10, 3. ირლანდია - 0, 4. შოტლანდია - 0.



ახალი ზელანდია-უელსი

მეტოქეები

## მაქკი წავიდა, ვინ მოვა?

ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრების მეტოქის შოტლანდიის ბანაკში არეულობაა. ყველასთვის უცნობი მიზეზებით, თანამდებობას ტოვებს შოტლანდიის რაგბის კავშირის აღმასრულებელი დირექტორი **გორდონ მაქკი.**

მაქკის პოსტიდან წასვლის თუ გადაყენების (გაურკვეველია) შესახებ ახლახან შოტლანდიის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **ალან მონრომ** განაცხადა. ცხადია, ეს უკომენტაროდ არც უკვე ყოფილ აღმასრულებელ დირექტორს დაუტოვებია.

*„ჩემთვის დიდი პატივი იყო შოტლანდიის რაგბის კავშირის აღმასრულებელ დირექტორად მუშაობა. ექვსი წლის განმავლობაში ვხელმძღვანელობდი გუნდს, რომელიც ერთგულად ემსახურებოდა შოტლანდიური რაგბის განვითარებას. მინდა, ამ გუნდის ყველა წევრს დიდი მადლობა გადავუხადო და ჩემი უდიდესი პატივისცემა დავუდასტურო.*

*ახლა, ამ გადასახედიდან განვლილ გზას რომ ვუყურებ, უდიდესი სიამაყის გრძნობა მეუფლება. 2005 წელს შოტლანდიური რაგბი კატასტროფის წინაშე იდგა. სწორედ ამ რთულ პერიოდში დავინიშნე აღმასრულებელ დირექტორად. მას შემდეგ ბევრი რამ შევცვალეთ და რაგბის მდგომარეობა ჩვენს ქვეყანაში ბევრად უკეთესი გახდა. ვფიქრობ, დროა, ამჯერად მის შემდგომ განვითარებაზე სხვებმა იზრუნონ. გადაწყვეტილება თანამდებობიდან წასვლის თაობაზე ოჯახის წევრებთან კონსულტაციის შემდეგ მივიღე“* - თქვა გორდონ მაქკიმ.

საქებარი სიტყვები მაქკის მისამართით არც მონრომ დაიშურა, თუმცა გორდონის თანამდებობიდან წასვლის რეალური მიზეზი არც მის ნაამბობში ჩანს.

*„გორდონმა ბევრი და ნაყოფიერად იმუშავა. 2005 წლის შემდეგ ჩვენ დიდი ნაბიჯი გადავდგით წინ. რაგბის პოპულარობა ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაიზარდა, ოვალური ბურთით თამაშით სულ უფრო მეტი ადამიანია დაკავებული. ეროვნული ნაკრები კი მსოფლიო რეიტინგში აქამდე მიუღწეველ მეექვსე საფეხურამდე ალზევდა.*

*2005 წელს შოტლანდიის რაგბის კავშირს გაკოტრება ემუქრებოდა. მაქკიმ შეძლო ფინანსური კრიზისის დაძლევა და საკმაოდ მყარი საფუძვლის შექმნა. ის თანამდებობას ამაყი ტოვებს, ვინაიდან მის შემცვლელს სრულიად გამართულ, ფინანსურად ძლიერ სისტემას ახვედრებს“* - თქვა ალან მონრომ.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

● კალათბურთი




# რუსული პასპორტი უნიტაზში

რუსული მოქალაქეობის მქონე ამერიკელმა კალათბურთელმა **კელი მილერმა** კუთვნილი რუსული პასპორტი დახია და უნიტაზში გადაუძახა. ამის შესახებ ჟურნალისტებს მოუყვა რუსეთის ქალთა ნაკრების გენერალურმა მენეჯერმა **ოქსანა რახმატულინამ**. როგორც ჩანს, ამერიკელი კალათბურთელის ეს დემარში იმით იყო გამოწვეული, რომ მას ევროპის ჩემპიონატისთვის რუსეთის ნაკრებში არ დაუძახეს.

რახმატულინას არ დაუზუსტებია, როდის და რა გარემოებისას ჩააგდო მილერმა რუსული პასპორტი უნიტაზში. მისი სიტყვებით, რუსეთის ეროვნულ გუნდში მხოლოდ ის ნატურალიზებული კალათბურთელები უნდა თამაშობდნენ, რომლებიც *„პატივისცემას გამოხატავენ ჩვენი ქვეყნის მიმართ და ნაკრებში თამაშის სურვილი გააჩნიათ“*.

31 წლის მილერი 2005-10 წლებში რუსეთის კლუბ „სპარტაკში“ გამოდიოდა. მან რუსეთის მოქალაქეობა მიიღო და შესაბამისად, ამ ქვეყნის პირველ ნაკრებში თამაშის უფლება აქვს. რუსეთში ასეთი ნატურალიზებული კიდევ სამი ამერიკელი მოთამაშეა - **ბეკი ჰემონი**, **დაენა ნოლანი** და **ეპიფანი პრინსი**. აქამდე რუსეთის ნაკრებში მხოლოდ ჰემონს უთამაშია.

ქალებს შორის ევროპის ჩემპიონატში პოლონეთში 17 ივნისს დაიწყება. რუსების გუნდში ამჯერად არც ერთი ამერიკელი არ ირიცხება.

● კრივი

# ისევ მოკვეთილი თავის შესახებ

სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონები - უკრაინელი **ვლადიმერ კლიჩკო** და ბრიტანელი **დევიდ ჰეი** 2 ივლისისთვის დანიშნული ბრძოლისთვის ემზადებიან. WBO-სა და IBF-ის ჩემპიონი კლიჩკო კვლავინდებურად ავსტრიაშია და იქ 12 მოკრივესთან მართავს სპარინგებს. WBA-ის ჩემპიონი ჰეი კი თავისი არც ისე მრავალრიცხოვანი სპარინგ-პარტნიორების წყობიდან გამოყვანით არის დაკავებული. მაგალითად, შეკრების გაგრძელება ვერ შეძლო **რობერტ ჰელენიუსმა**, რომელმაც ბოლო ვარჯიშისას ხელი დაიზიანა. ასე რომ, ჰეის განკარგულებაში დარჩა ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი **დევიდ პრაისი** და კიდევ ორი სპარინგ-პარტნიორი.

ვარჯიშებისგან თავისუფალ დროს დევიდი აგრძელებს ვლადიმერის ნერვებზე თამაშს - ამჯერად ბრიტანელი რეკლამას უკეთებს მობილური ტელეფონებისთვის შექმნილ თამაშს.

თამაშის არსი საკმაოდ მარტივია - ჰეი ხელის ერთი მოქნევით აცლის თავს უკრაინელ მოკრივეს. როგორც ბრიტანელი ამბობს, ეს გასართობი უკვე მოხვდა 30 ყველაზე პოპულარულ თამაშს შორის.

ჰეის თქმით, რეალურ ცხოვრებაში იგივეს გასაკეთებლად 20 წამი ეყოფა, თუმცა მომავალ ბრძოლაში მეხუთე ან მეექვსე რაუნდში აქვს დაგეგმილი ვლადიმერის ნოკაუტში გაგზავნა.

*„ვლადიმერი სათანადოდ ვერ აფასებს ჩემს შესაძლებლობებს. როცა რინგზე გავალ, ის მიხვდება რეალურად ვისთან აქვს საქმე. დღეს არნახულად სწრაფი და ძლიერი ვარ“*, - ამბობს WBA-ის ჩემპიონი.

ჰეიმ კარგად იცის, რომ მომავალი ბრძოლისას ასი პროცენტით უნდა იყოს კონცენტრირებული: *„თუ დავუშვი, რომ მან საკუთარი რიტმი დაიჭირა რინგზე, ეს ჩემთვის, შესაძლოა, კატასტროფით დასრულდეს. რეალისტი ვარ და მესმის, რომ დაცვაში მცირეოდენი ხარვეზის შემთხვევაში ბრძოლა მცირე დროში მის სასარგებლოდ დასრულდება. მაგრამ საქმე აქამდე არ მივა - მზად ვარ მოვლენათა ყველანაირი განვითარებისთვის. მას არ უყვარს ძლიერი დარტყმები და ყოველთვის უხერხულად გრძნობს თავს მეტოქის მუდმივი შეტევების დროს. ჩემი წარმატების საწინდარი გახდება მის ყბაში მოხვედრილი მრავალრიცხოვანი „ჰეიმეიკერები“. სწორედ ასეთ ჯოჯოხეთს მოვუწყობ კლიჩკოს“*.



კლიჩკოს კიდევ ერთი მოკვეთილი თავი

შეგახსენებთ, რომ ორი წლის წინ ბრიტანელმა მოკრივემ სპეციალური მაისურა გამოუშვა, რომელზეც თავად იყო გამოსახული, ცალ ხელში ვიტალი კლიჩკოს მოკვეთილი თავი ეჭირა, მეორეში - ვლადიმერის.

NBA: ფინალის ექო

# კიდი წასვლას არ ჩქარობს

## მავერიქსს დალასის გარდა კლივლენდიც ქომაგობდა

კარიერაში პირველი საჩემპიონო ტიტულის მოგების შემდეგ „დალას მავერიქსის“ ვეტერანი **ჯეისონ კიდი** არ ჩქარობს დიდი სპორტიდან წასვლას. გამთამაშებლის თქმით, ის კიდევ 2-3 წელი დიდი სიამოვნებით ითამაშებს თავისი ამჟამინდელი კლუბის რიგებში.

*„მზად ვარ გუნდთან ერთად მომავალი 2-3 წელი გავატარო, - ამბობს კიდი. - შემიძლია ვთქვა, რომ ძველებურად კარგად ვგრძნობ თავს. ასევე მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს გაცილებით ახალგაზრდა პარტნიორებს, რომლებსაც კვლავინდებურად სჯერათ ჩემი შესაძლებლობების“.*

სავარაუდოდ, „დალასის“ რიგებში დარჩება **კერონ ბატლერიც**, რომელმაც სეზონის მეორე ნაწილი და პლეი ოფი მძიმე ტრავმის გამო გამოტოვა. მოთამაშემ მომავალ სეზონში ჩემპიონის რიგებში დარჩენის სურვილი გამოთქვა და თავად კლუბსაც სურს კონტრაქტი გააგრძელოს თავის ერთ-ერთ ლიდერთან.

■ ■ ■

დალასის მეტოქე ფინალში - „მაიამი ჰიტი“ კი ახალი სეზონისთვის ხეირიანი ცენტრის გაფორმებას აპირებს. როგორც გაზეთ „მაიამი ჰერალდისთვის“ გახდა ცნობილი, ფლორიდულ კლუბს „საკრამენტო კინგზის“ ცენტრთან **სამუელ დალემბერთან** სურს კონტრაქტის გაფორმება. მალე ეს კალათბურთელი თავისუფალი აგენტი გახდება.

„მაიამიში“ მიაჩნიათ, რომ დალემბერი ღირსეულად შეცვლის **ერიკ დამპიეს**, **ჯამალ მაგლოირსა** და **ჟიდრუნას ილგაუსკასს**, რომლებიც, სავარაუდოდ, სულ მალე დაასრულებენ კარიერას.

თუმცა „ჰიტის“ ხელმძღვანელობა შიშობს, რომ ცენტრს სხვა კლუბში უფრო მაღალ ხელფასს შესთავაზებენ, ვიდრე ეს „მაიამის“ შეუძლია.

■ ■ ■

დალასთან ერთად „მავერიქსის“ ჩემპიონობა კლივლენდშიც იზეიმეს. მოგეხსენებათ, შარშანდელ ზაფხულამდე სწორედ ამ ქალაქის გუნდში გამოდიოდა რეგულარული ჩემპიონატის ორგზის MVP **ლებრონ ჯეიმსი**, სანამ საჩემპიონო ტიტულის ძიებაში მან „მაიამი ჰიტში“ გადასვლა არ გადაწყვიტა.

„კლივლენდის“ განბილებული გულშემატკივრებისთვის სუპერვარსკვლავი ნამდვილ მტრად იქცა. ფინალურ სერიაში მთელი კლივლენდი „დალასს“ გულშემატკივრობდა. „კავალიერსის“ მფლობელმა **დენ გილბერტმა** „ტვიტერის“ სოციალური ქსელის მეშვეობით მიულოცა გამარჯვება „დალასს“, თან ლებრონ ჯეიმსსაც უკბინა ისე, რომ მისი გვარი არ უხსენებია: *„მავერიქსს“ არასოდეს მიუტოვებია გამარჯვებაზე ფიქრი და ახლა, ამ გუნდმა საჩემპიონო ბეჭდები მოიპოვა. ეს კარგი გაკვეთილია ყველასთვის: ჩემპიონობისკენ მოკლე გზა არ არსებობს. ასე არასოდეს ხდება“.*

კიდევ უფრო შორს წავიდა ოჰაიოს შტატის გუბერნატორი **ჯონ კეისიკი** - მან შესაბამისი ბრძანებით „დალასის“ ყველა მოთამაშეს შტატის საპატიო მაცხოვრებლის სტატუსი მიანიჭა.

■ ■ ■

გუშინ ცნობილი გახდა, რომ „დალას მავერიქსის“ მცველი **დეშოუნ სტივენსონი** ლას ვეგასის პოლიციამ დააკავა. სამშაბათს ღამით პოლიციაში დარეკა ერთ-ერთი საცხოვრებელი კომპლექსის ბინადარმა. მისი განცხადებით, ეზოში იმყოფებოდა კალათბურთელი, რომელიც ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ იყო და მაცხოვრებლებს ხმაურით აწუხებდა.

ადგილზე მისულმა პოლიციამ სტივენსონს კოორდინაციაზე ტესტის ჩატარება მოსთხოვა, რომელიც კალათბურთელმა ვერ გაიარა. ამის შემდეგ ის პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს. დალასელი 475 დოლარის ოდენობის ჯარიმის გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს.




● ევრობასკეტი 2011

# ფრანგები ჩამოყალიბდნენ

საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ვენსან კოლემ** გადაწყვიტა, ესპანური მოდელით დააკომპლექტოს ევროპის ჩემპიონატისთვის თავისი გუნდის შემადგენლობა. ამ მოდელის არსი შემდეგში მდგომარეობს: იმ 12 კალათბურთელის ვინაობა, რომლებიც ნამდვილად ითამაშებენ ლიტვაში, შეკრების დაწყებამდე ცხადდება, კიდევ ოთხ მოთამაშეს კი კანდიდატის რანგში აიყვანენ ეროვნულ გუნდში და სწორედ ამ კვარტეტიდან შეირჩევა ორი კალათბურთელი საბოლოო განაცხადისთვის.

ასე რომ, ფრანგების დამრიგებელმა მნიშვნელოვნად შეამცირა გაფართოებული შემადგენლობა და ლიტვაში წამსვლელთა რაოდენობა ამ ეტაპზე 16-მდე დაიყვანა. მათი სია ასე გამოიყურება:

**მცველები:** ტონი პარკერი (სან ანტონიო სპურსი, NBA), ანტუან დიო (ლე მანი), იანიკ ბოკოლო (გრაველენი), ნანდო დე კოლო (ვალენსია, ესპანეთი);

**ფორვარდები:** მიკაელ პიეტრუსი (ფინიქსი, NBA), ნიკოლა ბატუმი (პორტლენდი, NBA), მიკაელ ჟელაბალი (ვილერბანი), ბორის დიაო (შარლოტი, NBA), ფლორან პიეტრუსი (ვალენსია, ესპანეთი);

**ცენტრები:** ჟოაკიმ ნოა (ჩიკაგო, NBA), ალი ტრაორე (ვირტუსი, იტალია), რონი ტურიაფი (ნიუ იორკი, NBA).

კანდიდატთა ოთხეულში მოხვდნენ:

**მცველები:** ენდრიუ ალბისი (პარიზი), ფაბიენ კაზერი (შოლე);

**ფორვარდები:** შარლ-ლომბარდ კაუდი (ლე მანი), კევინ სერაფინი (ვაშინგტონი, NBA).

არ არის გამორიცხული, ამ სიაში შეიყვანონ „დალასის“ მცველი **როდრიგ ბობუა**, რომელსაც ტრავმის გამო თითქმის მთელი სეზონი გაუცდა და ჯერ მისი სპორტული ფორმის შესახებ არაფერია ცნობილი.

სავარაუდოდ, ნაკრების საბოლოო შემადგენლობა ლონდონის საერთაშორისო ტურნირის შემდეგ გამოცხადდება, რომლის გამართვა აგვისტოს შუაში იგეგმება.

■ ■ ■

ჯერ შორს არის საბოლოო განაცხადის გამოქვეყნებამდე ჯგუფში საფრანგეთის ერთ-ერთი მთავარი კონკურენტი - სერბეთის ნაკრები. ამ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **დუშან ივკოვიჩმა** 19 კალათბურთელი შეარჩია და მოგვიანებით გაარკვევს ხუთ ზედმეტ მოთამაშეს.

ჯგუფში სერბეთისა და საფრანგეთის მეტოქეები იქნებიან გერმანია, ლატვია, ისრაელი და იტალია.

სერბეთის გაფართოებული შემადგენლობა ასეთია:

**მცველები:** მილოშ ტეოდოშიჩი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), სტეფან მარკოვიჩი (ბენეტონი, იტალია), მილენკო ტეპიჩი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), ალექსანდარ რაშიჩი (ლეტუვოს რიტასი, ლიტვა), უროშ ტრიპკოვიჩი (უნიკახა, ესპანეთი), დრაგან მილოსავლევიჩი (პარტიზანი, სერბეთი), ივან პაუნიჩი (ნიჟნი ნოვგოროდი, რუსეთი);

**ფორვარდები:** მარკო კეშელი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), ნემანია ბიელიცა (კახა ლაბორალი, ესპანეთი), მილან მაჩვანი (მაკაბი, ისრაელი), მარკო ჩაკარევიჩი (რადნიჩკი, სერბეთი), დუშკო სავანოვიჩი (ეფესი, თურქეთი), ნოვიცა ველიჩკოვიჩი (რეალი, ესპანეთი);

**ცენტრები:** მილოვან რაკოვიჩი (მონტეპასკი, იტალია), ივან რადენოვიჩი (მენორკა, ესპანეთი), ნენად კრსტიჩი (ბოსტონი, NBA), კოსტა პეროვიჩი (ბარსელონა, ესპანეთი), მიროსლავ რადულიცა (ალბა, გერმანია), ბობან მარიანოვიჩი (ჟალგირისი, ლიტვა).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ქართული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# უიმბლდონს კლაისტერსი დააკლდება



ბელგიელმა **კიმ კლაისტერსმა** უარი განაცხადა უიმბლდონის ტურნირში გამოსვლაზე. „დიდი სლემის“ რიგით მესამე ჩემპიონატი ორშაბათს, 20 ივნისს დაიწყება.

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა თავის ოფიციალურ ვებგვერდზე დაწერა, რომ მისი გადაწყვეტილების მიზეზი ფეხის ტრავმა გახდა.

*„ძალიან იმედგაცრუებული ვარ იმის გამო, რომ უიმბლდონიდან განაცხადი გამოვიტანე. მიზეზი ფეხის ტრავმაა, რომელიც ჰერტოგენბოშის ტურნირის მსვლელობისას მივიღე. მიმძიმს ჩემი ერთ-ერთი საყვარელი ტურნირის გამოტოვება, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არის. იმისთვის, რომ სრულად აღვიდგინო საჭირო სპორტული ფორმა, 3-კვირიანი შესვენება დამჭირდება“*, - განაცხადა კლაისტერსმა, რომელიც დღეს WTA-ის რეიტინგში მეორე ადგილს იკავებს.

ახლა უიმბლდონზე მეორე განთესვის ნომერს რუსი **ვერა ზვონარევა** მიიღებს.

შეგახსენებთ, ჰერტოგენბოშის ტურნირის პირველ წრეში კლაისტერსმა ორ სეტში წააგო იტალიელ **რომინა ოპრანდისთან** - 6:7(5), 3:6.

■ ■ ■

დაახლოებით ანალოგიური პრობლემის წინაშე აღმოჩნდა მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **ლეიტონ ჰიუიტი**. უიმბლდონის ყოფილმა ჩემპიონმა ვერ შეძლო ისტბურნის ტურნირის პირველ წრეში ბელგიელ **ოლივიე როხუსთან** მატჩის დასრულება. ახლა ავსტრალიელის მონაწილეობა უიმბლდონის ტურნირზე კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

ლეიტონმა წააგო პირველი სეტი 2:6 და მეორეში 0:3-ს აგებდა, რის შემდეგაც გასულ კვირას ჰალეს ტურნირის დროს მიღებული დაზიანება გაიმიზეზა.

როგორც ავსტრალიელი ამბობს, ის ყველა ღონეს იხმარს სეზონის ერთ-ერთ მთავარ ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად.

■ ■ ■

გუშინ გვიან ცნობილი გახდა, რომ უიმბლდონს გამოტოვებს ამერიკელი **სემ კუერი** - მას ხელის ტრავმა აწუხებს. ეს დაზიანება ამერიკული ჩოგბურთის ერთ-ერთმა ლიდერმა გასულ კვირას ლონდონის ტურნირის დროს მიიღო.

კუერის კორტზე დაბრუნების თარიღი არ სახელდება.

# სერენამ წააგო, ვენუსმა მოიგო



ვენუს უილიამსი

დები უილიამსების ოფიციალურ ტურში დაბრუნებამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, თუმცა გუშინ ერთ-ერთს ნაადრევად მოუწია ისტბურნის ტურნირის დატოვებამ.

გუშინდელი დღის ერთ-ერთი მთავარი მატჩი **სერენა უილიამსსა** და მსოფლიოს მესამე ჩოგან **ვერა ზვონარევას** შორის გაიმართა. თამაშმა გაამართლა მაყურებლის მოლოდინი. ჩოგბურთელებმა კორტზე სამი საათი და 12 წუთი დაჰყვეს და რუსმა სამ სეტში - 3:6, 7:6(5), 7:5 გაიმარჯვა. ამით ზვონარევამ შეწყვიტა სერენასთან სამმატჩიანი მოუგებელი სერია. ახლა მათ შორის ურთიერთშეხვედრათა ანგარიშია - 6:2 ამერიკელის სასარგებლოდ.

უმცროს უილიამსს მეორე სეტში 5:4-ზე შეეძლო მატჩზე ჩაწოდება, მაგრამ მეტოქემ დროული ბრეიკი გააკეთა და ანგარიში გაათანაბრა. მესამე სეტში უკვე ამერიკელს მოუხდა ხასიათის სიმტკიცის გამოჩენა - ვერა 5:2-ს იგებდა, მაგრამ სერენამ ზედიზედ სამი გეიმი აიღო და თანაფარდობა აღადგინა. თანაც, მეათე გეიმში რუსს სამი მატჩბოლი ჰქონდა. ასეთ რთულ სიტუაციაში ზვონარევამ მატჩის სადავეები ხელიდან არ გაუშვა და ზედიზედ ორი გეიმის აღებით შეხვედრა თავის სასარგებლოდ დაასრულა.

მეოთხედფინალში რუსის მეტოქე იქნება ავსტრალიელი **სამანტა სტოსური**, რომელმაც გუშინ იოლად ჩამოიცილა გზიდან სერბი **ბოიანა იოვანოვსკი** - 6:3, 6:2.

სერენასგან განსხვავებით, მეოთხედფინალში გასვლა შეძლო უფროსმა უილიამსმა. 30 წლის ვენუსის მეტოქე იყო სერბი **ანა ივანოვიჩი**. მსოფლიოს ამჟამინდელმა 33-ე ნომერმა ყოველგვარი გართულების გარეშე მოუგო 23 წლის სერბს - 6:3, 6:2.

ვენუსს არც ერთხელ არ წაუგია საკუთარი მოწოდება, თავად კი სამი ბრეიკ-პოინტი გააკეთა და საათსა და ორ წუთში მოამთავრა საქმე. პირად შეხვედრებში უილიამსი სერბს 7:1-ს უგებს.

ამერიკელი მეოთხედფინალში სლოვაკ **დანიელა ჰანტუხოვას** შეხვდება, რომელმაც გუშინ ორ სეტში მოუგო როლან გაროსის ჩემპიონ **ნა ლის**. აღსანიშნავია, რომ ვენუს უილიამსი და დანიელა ჰანტუხოვა აქამდე 10-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და სლოვაკს ამერიკელისთვის მხოლოდ ორი სეტი (!) აქვს აღებული.

მეოთხედფინალში ჩოგბურთელები ასე დაწყვილდნენ: ვერა ზვონარევა-სამანტა სტოსური, **ვიქტორია აზარენკა-მარიონ ბარტოლი, პეტრა კვიტოვა-აგნიეშკა რადვანსკა**, ვენუს უილიამსი-დანიელა ჰანტუხოვა.

ავტოსპორტი

# ჰემილტონს ნასკარი მოეწონა



ჰემილტონი და სტიუარტი

კანადის გრანპრის შემდეგ „მაკლარენის“ პილოტი **ლუის ჰემილტონი** ამერიკის შეერთებულ შტატებს ეწვია და უოტკინსგლენის ავტოდრომზე ნასკარის მანქანის საჭეს მიუჯდა. ბრიტანელის მასპინძელი იყო NASCAR Sprint Cup-ის ცნობილი ამერიკელი პილოტი **ტონი სტიუარტი**. სწორედ მისი კუთვნილი Chevrolet Impala გამოსცადა ლუისმა, თავის მხრივ, სტიუარტმა რამდენიმე წრე „მაკლარენის“ ბოლიდით გაიარა. აქცია Exxon Mobil-ის მიერ იყო მოწყობილი და ცუდი ამინდის მიუხედავად, მაყურებლებმა და მონაწილეებმა დიდი სიამოვნება მიიღეს...

*„ბავშვივით ვიყავი. ის პერიოდი გამახსენდა, როცა პირველად მივუჯექი კარტინგის საჭეს. ჯერ კიდევ დილით თავს მახსენებდა ფორმულა 1-ის დაძაბული უქმეები, მაგრამ ტრასაზე გასვლის შემდეგ დაღლილობა გადამავიწყდა.*

*გასულ წლებში პილოტები ხშირად გამოდიოდნენ სხვადასხვა სარბოლო სერიაში და ტონის ვუთხარი - ცუდი არ იქნებოდა, თუ ის ფორმულა 1-ის რბოლაში მიიღებდა მონაწილეობას, მე კი მის ჩემპიონატში ვცდიდი ძალებს. ვიცი, რომ დღეს ეს შეუძლებელია, თუმცა საინტერესო გამოცდილება იქნებოდა.*

*Chevrolet Impala სამჯერ მძიმეა ფორმულა 1-ის ბოლიდზე, თუმცა ტრასაზე ის საკმაოდ მსუბუქი მეჩვენა. მუხრუჭები საოცრად ეფექტურია. ტონიმ ამიხსნა დამუხრუჭების მომენტი და მაშინვე ავუღე ალღო ამ თავისებურებას“*, - უზიარებდა ჟურნალისტებს შთაბეჭდილებებს ჰემილტონი.

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ევრო 2011** | |
| **UNDER 21** | |
| ჩეხეთი-ესპანეთი | 0:2 |
| უკრაინა-ინგლისი | 0:0 |
| **ესპანეთი** | |
| **II დივიზიონი. პლეი ოფი** | |
| გრანადა-ელჩე | 0:0 |
| **შვედეთის თასი** | |
| ატვიდაბერგი-ერებრუ | 0:3 |
| კალმარი-მალმიო | 1:1 |
| **ფინეთი** | |
| ჰაკა-კუოპიო | 1:0 |
| ჰიკ-როვანიემი | 5:1 |
| **ლატვია** | |
| სკონტო-იეგლავა | 4:0 |
| დაუგავა-მეტალურგსი | 2:1 |
| იურმალა-გულბენი | 5:3 |
| ვენტსპილსი-FC იურმალა | 4:0 |
| **ლიტვა** | |
| შიაულიაი-ბანგა | 1:3 |
| **ბელარუსის თასი** | |
| ზვეზდა-რუდენსკი | 1:2 |
| **არგენტინა** | |
| ნიუელსი-სან ლორენსო | 0:0 |
| **იაპონია** | |
| ვეგალტა-გამბა | 2:1 |
| სერეზო-იოკოჰამა | 0:1 |
| კაშიმა-კოფუ | 0:1 |
| კაშივა-ივატა | 0:3 |
| ნაგოია-ნიიგატა | 4:0 |
| ომიია-კავასაკი | 0:5 |
| ჰიროშიმა-ურავა | 0:0 |
| შიმიცუ-იამაგატა | 2:1 |
| კობე-ფუკუოკა | 0:0 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **იტალია** | |
| კანტუ-მონტეპასკი | 80:71 |

მანუჩარ მარკოიშვილი (კანტუ): 18 წუთი, 7 ქულა, 4 მოხსნა, 2 პასი.

სერიას იგებს „მონტეპასკი“ 2:1.

| რუსეთი | |
|---|---|
| ხიმკი-ცსკა | 58:70 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ისტბურნი** | |
| კუნიცინი-მარჩენკო | 6:3, 1:6, 6:2 |
| დიმიტროვი-ანდერსონი | 6:3, 6:2 |
| ტიპსარევიჩი-უორდი | 6:3, 4:6, 6:2 |
| იანგი-სეპი | 6:7, 3:6 |
| ბენეტო-დევარმანი | 7:6, 6:7, 6:3 |
| ცონგა-შტეპანეკი | 2:6, 3:6 |
| ო. როხუსი-ბერლოკი | გადაიდო |
| ნიშიკორი-შუტლერი | გადაიდო |
| ტიპსარევიჩი-კუკუშკინი | გადაიდო |
| **ATP. ჰერტოგენბოში** | |
| ტურსუნოვი-მაუ | 7:6, 3:6, 6:3 |
| ვოლანდრი-ბოგომოლოვი | 6:7, 2:6 |
| ბერერი-ხირალდო | 6:7, 3:6 |
| მალისე-ჰატუ გალუნგი | 7:6, 6:4 |
| ნიემინენ-გრემელმაირი | 6:7, 6:2, 6:7 |
| ბალდატისი-ჰაასე | 7:5, 6:4 |
| **WTA. ისტბურნი** | |
| კვიტოვა-მაკაროვა | 7:6, 7:6 |
| აზარენკა-ბალტაჩა | 6:1, 7:6 |
| ვ. უილიამსი-ივანოვიჩი | 6:3, 6:2 |
| იოვანოვსკი-სტოსური | 3:6, 2:6 |
| ზვონარევა-ს. უილიამსი | 3:6, 7:6, 7:5 |
| ა. რადვანსკა-სკიავონე | 6:3, 6:2 |
| მარტინეს სანჩესი-ბარტოლი | 3:6, 3:6 |
| ჰანტუხოვა-ნა ლი | 7:6, 6:3 |
| **WTA. ჰერტოგენბოში** | |
| პენეტა-დოკიჩი | 3:6, 4:6 |
| ციბულკოვა-ბაროისი | 6:0, 6:1 |
| პარა სანტონხა-ვიკმაიერი | 6:7, 7:6, 5:7 |
| ვინჩი-დულგერუ | 6:2, 6:1 |
| ლარსონი-ფლიპკენსი | 6:2, 5:7, 6:4 |
| ერანი-კუზნეცოვა | 6:3, 6:7, 1:6 |

TV პროგრამა

**16 ივნისი. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** სუპერ მატჩი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. დენ ჰააგი-როდა.
**12:00** ჩემპიონის გზა. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ბილბაო.
**14:00** ჩემპიონის გზა. საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ლილი.
**16:00** სუპერმატჩი. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-უდინეზე.
**18:00** არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**19:00** სეზონის შეჯამები. აიაქსი.
**20:30** ტელეჟურნალი - მსოფლიო ფეხბურთი.
**21:00** ჩემპიონის გზა. გერმანიის ჩემპიონატი. კაიზერსლაუტერნი-დორტმუნდი.
**23:00** სეზონის შეჯამები. მანჩესტერ იუნაიტედი.
**00:15** ჩემპიონის გზა. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-პარმა.

**GMG-სპორტი**

**10:00** ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. ჰოლანდია-კუბა. შვეიცარია.
**11:30** ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი - MONTREUX VOLLEY MASTERS. ქალები. ჩინეთი-პერუ. შვეიცარია.
**13:00** ჩოგბურთი. WTA-ის და ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ჰერტოგენბოში. ჰოლანდია (LIVE).
**21:00** ცურვა. ხმელთაშუა ზღვის სერია (Mare Nostrum). II ეტაპი. კანი. საფრანგეთი.

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

**13:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. ჰერტოგენბოში. ჰოლანდია (LIVE).
**17:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ჰერტოგენბოში. ჰოლანდია (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

**18:45** კალათბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ფინალი. ხიმკი- ცსკა. მეოთხე მატჩი (LIVE).
**03:00** WNBA. რეგულარული ჩემპიონატი. ვაშინგტონი-კონექტიკუტი (LIVE).

**EUROSPORT**

**14:30** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. ისტბურნი. ბრიტანეთი (LIVE).
**22:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ისტბურნი. ბრიტანეთი (LIVE).

ამბები

**მძლეოსნობა**

## ჩემპიონი მეორე ოქროსთვის ბრუნდება

სიმაღლეზე ხტომაში პეკინის ოლიმპიადის ჩემპიონმა, ბელგიელმა **ტია ელებომ** ოფიციალურად გამოაცხადა დიდ სპორტში დაბრუნების შესახებ, - წერს სააგენტო „როიტერი“.

მეორე შვილის დაბადებიდან ოთხი თვის თავზე ბელგიელმა მძლეოსანმა მიზნად დაისახა მეორე ოლიმპიური ოქროს მოგება. ელებომ სამი წლის წინათ პეკინში ჩემპიონობა ხორვატ **ბლანკა ვლასიჩის** სენსაციურად დამარცხების შემდეგ მოიპოვა. კარიერის დასრულება მან იმ ოლიმპიადის დასრულებისთანავე გადაწყვიტა.

**ოლიმპიზმი**

## კადაფის ლონდონში არ შეუშვებენ

ლიბიის პრეზიდენტ **მუამარ კადაფისა** და მის მომხრეებს არ მისცემენ ლონდონის ოლიმპიადაზე დასწრების უფლებას. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი აპირებს, ლიბიის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს გარკვეული რაოდენობის ბილეთები გამოუყოს, მაგრამ კადაფის ევროპაში გადაადგილების უფლება ჩამორთმეული აქვს. ამიტომაც ის ლონდონამდე ვერ ჩააღწევს.

**ფიგურული სრიალი**

## იაპონია ისევ დააფასეს

მოციგურავეთა საერთაშორისო კავშირმა იაპონიას მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება მიანიჭა. პლანეტის პირველობა „ამომავალი მზის ქვეყანაში“ 2014 წელს გაიმართება. ტურნირს ტოკიო ან დედაქალაქთან ახლოს მდებარე ქალაქი საიტამა უმასპინძლებს.

მსოფლიოს ჩემპიონატი იაპონიაში წელს უნდა გამართულიყო, მაგრამ ცნობილი მიწისძვრისა და ცუნამის გამო იქ პირველობის ჩატარება შეუძლებელი გახდა. ამიტომაც, საერთაშორისო კავშირმა ჩემპიონატი რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში გადაიტანა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრობასკეტი — დარჩა 76 დღე

**გ**ასულ კვირას კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის **ბესიკ ლიპარტელიანის** ინტერვიუ შემოგთავაზეთ, რომელშიც იგი ლიტვური ვიზიტის შესახებ მოგვითხრობდა. მან მოინახულა კლაიპედას არენა, სადაც საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის მატჩებს გამართავს.

გადავწყვიტეთ, ლიტვური ვოიაჟი ჩვენი მკითხველისთვისაც მოგვეწყო, გაგვეცნო როგორც ქალაქი კლაიპედა, ასევე მისი არენა და სასტუმრო, სადაც საქართველოს ნაკრები დაბინავდება. ამასთან, მკითხველს დააინტერესებს ქართველი გულშემატკივრებისთვის წინასწარ განსაზღვრული ადგილები ტრიბუნებზე.

# სად?



ამ სასტუმროში საქართველოს ნაკრები იცხოვრებს

## კლაიპედა

საქართველოში ვიზიტისას ევროპის ჩემპიონატის ორგანიზატორებმა გვითხრეს - გაგიმართლათ, საქართველოს ნაკრებს კლაიპედაში რომ უწევს თამაშიო. მათ მიგვახვედრეს, რომ ჩვენს გულშემატკივრებსა და კალათბურთელებს ლამაზ ქალაქში მოუწევთ ცხოვრება - კლაიპედა ხომ ლიტვის მთავარი საკურორტო ქალაქია ბალტიის ზღვის სანაპიროზე.

შესაბამისად, მაღალ დონეზეა განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურა, სასტუმროებიდან დაწყებული, სანახაობებით დამთავრებული. ქალაქში უამრავი მუზეუმი, პარკი და დასასვენებელი ადგილია. სასტუმროებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

*- საქართველოს ნაკრები დაბინავდება სასტუმრო „ამბერტონში", რომელიც ლიტვაში ვიზიტისას მოვინახულეთ. წუნს ვერ შევიტანთ, უმაღლესი დონის სასტუმროა. ჩვენი ჯგუფის ყველა გუნდი „ამბერტონში" იცხოვრებს. რაც მთავარია - იგი საკალათბურთო დარბაზთან ახლოსაა,* - გვითხრა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **მერაბ რატიშვილმა**.



კლაიპედაში: მერაბ რატიშვილი, ირაკლი სამყურაშვილი, ბესიკ ლიპარტელიანი

**კლაიპედა**
**სახელი:** კლაიპედა არენა
**ტევადობა:** 5.486
**მისამართი:** დუბისოს ქუჩა 10
**აშენდა:** 2011
**D ჯგუფი:** საქართველო, რუსეთი, სლოვენია, ბულგარეთი, უკრაინა, ბელგია.

## არენა

საინტერესოა, რომ ცნობილ კლაიპედელთა ჩამონათვალში მთავრი პოზიციები კალათბურთელებს უკავიათ. ამ ქალაქში დაიბადნენ **ჟუკაუსკასი, მაციაუსკასი, შტრომბერგასი, კარნიშოვასი...**

სხვათა შორის, ერთი სეზონი კლაიპედას არენაზე **სერგო ათუაშვილმაც** გაატარა. 2008 წელს მან „ნეპტუნასთან" ერთად ლიტვის ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა. მაშინ სერგოს გუნდი „ნეპტუნას არენაზე" თამაშობდა, საქართველოს ნაკრებს კი სხვა დარბაზში მოუწევს გამოსვლა, რომელიც სპეციალურად ევროპის ჩემპიონატისთვის აშენდა. ძირითადი სამუშაოები დასრულებულია და ოფიციალურად ივლისში გაიხსნება.

გაზეთ „ნეპტუნას დიენოში" ცალკე სტატია მიეძღვნა დარბაზის მდგომარეობასა და მის მნახველებს: ქართულ დელეგაციასთან ერთად კლაიპედას სტუმრობდნენ რუსი, ბელგიელი, სლოვენიელი, უკრაინელი და ბულგარელი სტუმრები.

აი, რა უთხრა მერაბ რატიშვილმა ლიტველებს:

- კლაიპედას შესახებ ბევრი კარგი გამიგია. აქ პირველად ვარ. ქალაქიც მშვენიერია და არენაც. მოხარული ვარ, რომ სწორედ კლაიპედაში გვიწევს თამაში. ლიტველებს სპორტული დარბაზების შენების დიდი გამოცდილება გაქვთ.




## ქომაგობა

ლიტვური გაზეთების სათაურში არაერთხელ მოხვდა სიტყვა „საქართველო". ევრობასკეტი არ დაწყებულა და უკვე რეკორდებს შევეჭიდეთ: D ჯგუფის ყველა მატჩის ბილეთი გაყიდულია, რომელთა 40 პროცენტი ჩვენი თანამემამულეების ხელშია.

*- ქართველების აქტიურობა ჩვენთვის სიურპრიზი იყო. თუმცა სიტუაციის გაანალიზებისას იოლი გასაგებია, ქართველთა დიდი ინტერესი - მათი ნაკრები ხომ ევროპის ჩემპიონატის დებიუტანტია. სხვათა შორის, ბილეთების შეძენის საკითხში ლატვიელებს სძინავთ. ალბათ აგვისტოში გამოიღვიძებენ,* - აღნიშნა საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელმა **დოვილე ლუკავიჩიუტემ.**

მისმა კომიტეტმა წინასწარ განსაზღვრა ტრიბუნების სექტორები, სადაც ამა თუ იმ ნაკრების გულშემატკივრები განლაგდებიან. ქართველი ქომაგების ადგილსამყოფელს სიტყვაზე უკეთ ფოტო გადმოსცემს...

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**



**ალიტუსი**
**სახელი:** ალიტუს არენა
**ტევადობა:** 5.500
**მისამართი:** Naujoji Str. 52, 62014 Alytus
**აშენდა:** 2011
**C ჯგუფი:** ჩერნოგორია, მაკედონია, ბოსნია, ხორვატია, საბერძნეთი, საკვალიფიკაციოდან.



**შიაულიაი**
**სახელი:** შიაულიაი არენა
**ტევადობა:** 5.500
**მისამართი:** Jablonskio 16, 78007 Siauliai
**აშენდა:** 2007
**B ჯგუფი:** სერბეთი, იტალია, საფრანგეთი, ლატვია, გერმანია, ისრაელი.



**პანევეჟისი**
**სახელი:** პანევეჟის არენა
**ტევადობა:** 5.684
**მისამართი:** Parko str. 12, LT-37310, Panevėžys
**აშენდა:** 2008
**A ჯგუფი:** ესპანეთი, პოლონეთი, თურქეთი, ლიტვა, დიდი ბრიტანეთი, საკვალიფიკაციო.




**ვილნიუსი**
**სახელი:** ვილნიუს არენა
**ტევადობა:** 11.000
**მისამართი:** 14 Ozo gatvė, Vilnius LT-08200
**აშენდა:** 2004
ჩატარდება მეორე ჯგუფური ეტაპი.



**კაუნასი**
**სახელი:** კაუნას არენა
**ტევადობა:** 14.400
**მისამართი:** Karaliaus Mindaugo prospektas
**აშენდა:** 2011
ჩატარდება პლეი ოფები და ფინალი.